www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი 8 აპრილი, 2009 წელი. №77 (2115) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

რამდენიმე მოსაზრება ამ 9 აპრილზე

A4



საცხრააპრილო შეგონებები აქტივისტებს, პოლიციას და დიპლომატებს

A2



თურქულ-ამერიკული "გადატვირთვა"

A7



# ფაქტები

## დემაგოგიის პირისპირ

დიმიტრი ავალიანი

*საქართველოსა და აშშ-ს შორის სამხედრო თანამშრომლობის გაგრძელებამ და საქართველოს მიმართ აშშ-ს ახალი ადმინისტრაციის მხარდაჭერის დეკლარირებამ კრემლი სერიოზულად შეაშფოთა. მოსკოვი საქართველოს კვლავ აგრესიულ გეგმებში და მილიტარიზებაში ადანაშაულებს. თუმცა, ავტორიტეტული საერთაშორისო ექსპერტების დასკვნით, საქართველოს მილიტარიზაცია ახლოსაც ვერ მივა ჯერ კიდევ აგვისტოს ომამდე აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთისათვის რუსეთის მიერ მიწოდებულ შეიარაღებასთან. ამ მხრივ საქართველოს სეპარატისტული რეგიონები მსოფლიო რეიტინგის პირველ ადგილებზე მოხვდნენ.*

გაგრძელება A3 გვერდზე

## ქაოსი მოლდოვაში

ივა შილაკაძე

### არჩევნების შედეგები - მღელვარების წინაპირობა

ხუთი აპრილის საპარლამენტო არჩევნების შედეგებმა მოლდოვას დედაქალაქში სერიოზული მღელვარება გამოიწვია. 6 აპრილს, დილას უკვე ცნობილი იყო წინასწარი შედეგები, რომლის თანახმადაც არჩევნებში ისევ მმართველმა კომუნისტურმა პარტიამ გაიმარჯვა. მათ დააგროვეს ხმების, დაახლოებით, ნახევარი 49,95 პროცენტი; ლიბერალურმა პარტიამ - 12,79; ლიბერალურ-დემოკრატიულმა - 12,26; ალიანსმა "ჩვენი მოლდოვა" - 9,81. დანარჩენმა პარტიებმა 6-პროცენტიანი ბარიერი ვერ გადალახეს, პარლამენტში ვერ მოხვდნენ ვერც დამოუკიდებელი დეპუტატები, რომელთაც ამომრჩეველთა ხმების, მინიმუმ, 3 პროცენტი უნდა მოეპოვებინათ.

გაგრძელება A7 გვერდზე




## იტალიის ტრაგედია

### მოსალოდნელ მიწისძვრაზე ჯერ კიდევ იანვარში საუბრობდნენ

დიანა ჩაჩუა
*რომიდან*

*6 აპრილს გამთენიისას მომხდარმა მიწისძვრამ თითქმის მიწასთან გაასწორა იტალიაში, აბრუცოს რეგიონში მდებარე ქალაქი ლაკვილა, რომელიც ამ სტიქიის ეპიცენტრში აღმოჩნდა. 200-ზე მეტი დაღუპული, 1500-მდე დაშავებული, 17 ათასამდე უსახლკარო, 50-მდე უგზო-უკვლოდ დაკარგული და ასობით დანგრეული საცხოვრებელი სახლი თუ ისტორიული შენობა - ასე გამოიყურება მიწისძვრის შემდეგ ისტორიული ქალაქი. თანაც ეს მაჩვენებლები ყოველ საათში იცვლება - სამწუხაროდ, მზარდი პროგრესიით.*

ორშაბათს გამთენიისას მომხდარი მიწისძვრის შემდეგ აბრუცოს რეგიონს სტიქიამ კვლავ შეახსენა თავი - გუშინ 4,7-ბალიანი განმეორებითი მიწისძვრა დაფიქსირდა. ამან კიდევ უფრო გაართულა დაკარგულთა ძიების პროცესი და ზოგადად სტიქიის შემდგომი სამუშაოები.

უნდა აღინიშნოს, რომ იტალიაში საქართველოს კონსულ ვახტანგ ანდღულაძის ინფორმაციით, აბრუცოში 100-მდე ქართველი მოღვაწეობს. მათგან 40 ადამიანი მიწისძვრის ეპიცენტრში - ლაკვილაში ცხოვრობს. კონსულის განცხადებით, გარდაცვლილთა შორის საქართველოს მოქალაქეები არ არიან. "რაც შეეხება დაშავებულებს, მათ შორის ქართველები არ აღმოგვიჩენია, თუმცა შესაძლოა ასეთებიც არიან, ეს უახლოეს პერიოდში გაირკვევა," - განაცხადა ლაკვილაში მყოფმა საქართველოს კონსულმა "24 საათთან" საუბარში.

ორშაბათს სტიქიის ეპიცენტრში ჩასული პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი დიდი მოცულობის თანხების საჭიროებაზე საუბრობდა, რაც დანგრეული სახლების აღდგენასა და რეგიონის აღმშენებლობას უნდა მოხმარდეს. და ეს მაშინ, როდესაც ბერლუსკონის მთავრობა ძლივს უმკლავდება ბიუჯეტის დეფიციტს და მოსახლეობის მიმართ არსებულ დავალიანებებს. რაც კიდევ უფრო საინტერესოა, იტალიის პრემიერ-მინისტრმა მიწისძვრის შედეგებთან გასამკლავებლად უცხოეთთან თანამშრომლობაზე ოფიციალურად განაცხადა უარი. გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, რომ იტალია მზად არის, სხვათა დახმარების გარეშე გაუმკლავდეს საკუთარ პრობლემებს. "ჩვენ მადლობას ვუხდით ყველა იმ ქვეყანას, რომელმაც სოლიდარობა გამოხატა, თუმცა ყველას ვთხოვთ, თავი შეიკავონ რაიმე დახმარებების გამოგზავნისგან. ჩვენ შეგვწევს ძალა, თავად გავუმკლავდეთ ჩვენს პრობლემებს, იტალიელები ამაყი ხალხია," - ასე მიმართა სილვიო ბერლუსკონიმ პრესკონფერენციაზე შეკრებილთ.

დღეს მეცამეტე საუკუნის დროინდელ ლაკვილაში სულ რამდენიმე შენობა დარჩა, თუმცა ზუსტად რამდენი, ამას ლაკვილას პროვინციის პრეზიდენტი სტეფანია პეძოპანე ვერ აკონკრეტებს. 6,3 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრამ, სხვა შენობებთან ერთად, მთავრობის სახლიც შეიწირა. სერიოზულად დაზიანდა, თუმცა ეს მსუბუქი ნათქვამია, მეცამეტე საუკუნის სანტა მარია დი კოლემაჯოს ბაზილიკა და მეთექვსმეტე საუკუნის ციხესიმაგრე, რომელიც რეგიონის ეროვნულ მუზეუმს წარმოდგენდა, ხოლო აბრუცოს რეგიონში უდიდესი, რენესანსის პერიოდის სან ბერნარდინოს ბაზილიკა მთლიანად დაინგრა.

გაგრძელება A8 გვერდზე

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჯი პი აი ვენის სადაზღვევო ჯგუფი

## საქართველოს პატრიარქი ერს ერთმანეთის მოსმენისაკენ მოუწოდებს

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ საზოგადოებას ერთმანეთის მოსმენისკენ მოუწოდა. ამ მოწოდებით პატრიარქმა გუშინ სამების საკათედრო ტაძარში შეკრებილებს ხარების დღესასწაულის გამო აღვლენილი წირვა-ლოცვის დროს მიმართა. პატრიარქმა იმედი გამოთქვა, რომ ქვეყანაში სიმშვიდე დაისადგურებს და ერი ერთმანეთის მოსმენას ისწავლის. "იმედი მაქვს, რომ მშვიდობა დაისადგურებს. იმედი მაქვს, რომ მოვუსმენთ ერთმანეთს, ჩვენი გავუგებთ ერთმანეთს. ვისწავლით ერთმანეთის მოსმენას. ნურავის იფიქრებს, რომ მას არ სჭირდება არავისი რჩევა და დარიგება. ჩვენ უნდა ვისწავლოთ დიდის და პატარის მოსმენა," - ბრძანა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## "დიალოგი ოპოზიციის ყველაზე რადიკალურ ჯგუფთანაც კი აუცილებელია"

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, დიალოგი აუცილებელია ოპოზიციის თუნდაც ყველაზე რადიკალურ ჯგუფთანაც კი.

ეს განცხადება სააკაშვილმა ფოთში გააკეთა, სადაც 24-საათიანი წყალმომარაგების პროექტის პრეზენტაციას დაესწრო. "იმაზე საუბარმა, რომ ჩვენ თქვენი აზრი არ გვაინტერესებს, რასაც გვინდა მაინც იმას ვიზამთ, მთავრობის მხრიდან, ოპოზიციის მხრიდან რამდენჯერმე ჩვენი ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანა. ჩვენი გამოცდილების გათვალისწინებით, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს 20 პროცენტი ოკუპირებულია, საფრთხე არ მოხსნილა და ტერიტორიები გვაქვს გასათავისუფლებელი, არის მსოფლიო კრიზისი, რომელიც ეხება თითოეულ ჩვენს ოჯახს, დიალოგს, ერთმანეთის მოსმენას, კომპრომისის ძიებას წინ არაფერი უდგას. ჩვენ ყველას აზრი უნდა გავითვალისწინოთ," - აცხადებს პრეზიდენტი. სააკაშვილის თქმით, ამ მხრივ სიტუაცია გაუმჯობესდა პარლამენტში, სადაც დაიწყო დიალოგი რეგიონულ საკითხებზე და არასამთავრობო სექტორში.

**მედიანიუსი**

## საქართველოს საგარეო უწყება იტალიაში მომხდარი მიწისძვრის გამო მწუხარებას გამოხატავს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო იტალიის სამხრეთში, აბრუცოს რეგიონის ქალაქ აკვილაში მომხდარი მიწისძვრის გამო ღრმა მწუხარებას გამოხატავს. "ტრაგედიას რამდენიმე ათეული ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, რომელთა შორის ბავშვებიც არიან. ათასობით ადამიანი ევაკუირებულია ტრაგედიის ადგილიდან, ხოლო იტალიის სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის წარმომადგენლები ამ დრომდე განაგრძობენ უგზოუკვლოდ დაკარგული ადამიანების ძებნას. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს სამძიმარს იტალიელი ხალხის და, განსაკუთრებით, მიწისძვრის დროს დაღუპულთა ოჯახების მიმართ," - ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## გორის რაიონში ნაღმზე აფეთქებული მოზარდის მდგომარეობა მძიმეა

15 წლის გიორგი მარიამიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. იარაღის ვაზნის აფეთქების შედეგად დაშავებული მოზარდი თბილისში მას შემდეგ გადაიყვანეს, რაც გორის საავადმყოფოში მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა, სადაც მას მარცხენა კიდურის ამპუტაცია ჩაუტარდა. უბედური შემთხვევა კონფლიქტის ზონის სოფელ სათემოში მოხდა. გიორგი მარიამიძეს მრავლობითი ჭრილობები თავისა და მუცლის არეში აქვს მიყენებული. ვაზნა მოზარდმა ეკლესიის ეზოში იპოვა, იმ ადგილას, სადაც აგვისტოში ოკუპანტების 58-ე არმიის ნაწილები იდგა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

# საცხრააპრილო შეგონებები აქტივისტებს, პოლიციას და დიპლომატებს

დათო გამისონია

*გუშინ ალიანსი საქართველოსთვის ლიდერებმა საკუთარ აქტივისტებთან გაფართოებულ შეხვედრაზე შუალედური ანგარიში და ერთობლივი გადაწყვეტილება წარმოადგინეს. ლიდერებმა განმარტეს, რომ ალიანსი საქართველოსთვის , სხვა ორგანიზატორებთან ერთად, იღებს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას საპროტესტო აქციის წარმართვაზე. თავის მხრივ, დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრის შემდეგ, განცხადება გააკეთა ლევან გაჩეჩილაძემ. მისი თქმით, საპროტესტო მიტინგები კონსტიტუციური და მშვიდობიანი იქნება.*



გუშინ ახალი მემარჯვენეების ოფისში ალიანსმა საქართველოსთვის 23-30 მარტს ჩატარებული სახალხო პლებისციტის შედეგად შეგროვებული ხელმოწერები წარმოადგინა. ალიანსმა მედიისა და საზოგადოების წარმომადგენლებს, სურვილის შემთხვევაში, სახალხო გამოკითხვის შედეგების უშუალო გადამოწმება შესთავაზა. ოფისში შეკრებილ ალიანსის აქტივისტებს სიტყვით მიმართა ალასანიას პოლიტიკური გუნდის წევრმა, ყოფილმა დიპლომატმა ლევან მიქელაძემ. მან ხელისუფლების მიერ ოპოზიციისთვის შეთავაზებულ დიალოგზე გააკეთა კომენტარი. **მიგვაჩნია, რომ უამრავი თემაა საქართველოში, რომელიც საჯაროდ განხილვას საჭიროებს, თუმცა ამას სათანადო ფორმატი სჭირდება. მაგრამ ჩვენთვის, რა თქმა უნდა, მიუღებელია დიალოგი, სადაც არათანაბარ პარტნიორებს შორის არის საუბარი. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს უაზრო შემოთავაზებასთან, რომელსაც პოზიტიური შედეგის მიღების პერსპექტივა არა აქვს,** - აღნიშნა ლევან მიქელაძემ.

ალიანსის ლიდერებმა პრეზიდენტ სააკაშვილს მოუწოდეს, გააცნობიეროს ქვეყნის სათავეში თავისუფალი არჩევნების გზით მოსული და მოსახლეობის ნდობის მქონე ხელისუფლების აუცილებლობა. ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ **დადგა ცვლილებების დრო, ხოლო ქვეყნის მთავარი სირთულეა საკუთარი ხალხის მიმართ სააკაშვილის უნდობლობა. ცხოვრების ასე გაგრძელება არც ერთ მოქალაქეს არ სურს. დოკუმენტურად შემიძლია ვთქვა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების და საქართველოში მოსახდენი ცვლილებების მოლოდინშია. ამას უნდა მოჰყვეს ქვეყნის სტაბილურობა, საერთაშორისო იმიჯის აღდგენა და, პირველ რიგში, თითოეული მოქალაქის მდგომარეობის გაუმჯობესება და მათზე სახელმწიფოს მხრიდან სერიოზული ზრუნვა. გარდა ამისა, საზოგადოება უფრო აიმაღლებს სახელმწიფოებრიობის განცდას,** - განმარტა ალასანიამ. მისი აზრით, ასეთი ცვლილება ერთად დგომის გარეშე შეუძლებელია. იგი დარწმუნებულია, რომ სასურველი ერთობა 9 აპრილს გამოჩნდება. მან ალიანსის აქტივისტებს მოუწოდა, რომ მაღალი ყურადღებით და ორგანიზებით მიუდგნენ 9 აპრილს დაწყებულ აქციებში ალიანსის მონაწილეობის საკითხს. ალასანიას აუცილებლად მიაჩნია, რომ ალიანსის კონკრეტულმა აქტივისტებმა ურთიერთობა იქონიონ ადგილობრივი პატრულისა და პოლიციის წარმომადგენლებთან. **ადამიანურად შესაძლებელი ყველა ზომა მივიღეთ, ახლა კი ძირითადი პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, ხელისუფლებას დაეკისრება, რადგან მისი უპირველესი მოვალეობაა საზოგადოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა,** - აღნიშნა ირაკლი ალასანიამ. 9 აპრილს დანიშნული საპროტესტო აქციის წინ ალასანიამ მიმართა საქართველოს ხელისუფლებაში, კერძოდ, სამართალდამცველ და უსაფრთხოების სტრუქტურებში მომუშავე ადამიანებს: **ამ ორგანოებში ბევრი პროფესიონალი და თავის ქვეყანაზე შეყვარებული პატრიოტი მუშაობს. მათ არ სურთ, რომ ქვეყანა გაებას არასტაბილურობაში, მათთან ერთად ჩვენც არ გვინდა დესტაბილიზაცია. ამიტომ ვთხოვ, რომ ადეკვატურად შეაფასონ შექმნილი ვითარება და იყვნენ კანონისა და საკუთარი ხალხის სამსახურში.**

გუშინვე არასაპარლამენტო ოპოზიცია საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს შეხვდა. ალიანსი საქართველოსთვის თანათავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა უცხოელი ელჩების პოზიციაზე ისაუბრა. **დიპლომატები დიპლომატიურ პოზიციაზე არიან. ასეთ დროს ისინი, რა თქმა უნდა, თავის შეხედულებებს არ გამოთქვამენ. მათ თავიანთი მთავრობებისგან მიღებული აქვთ თხოვნა, რომ მიმდინარე პროცესებს დიდი ყურადღებით დააკვირდნენ. ამ ხალხმრავალ აქციას მათი ყოველდღიური ყურადღება ექნება, რათა ზუსტი წარმოდგენა ჰქონდეთ მიმდინარე მოვლენებზე,** - განმარტა უსუფაშვილმა. დიპლომატებთან შეხვედრის შემდეგ კომენტარი გააკეთა არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ: **კიდევ ერთხელ ვთხოვე ყველა ქვეყნის წარმომადგენელს, არ ჩაერიონ ქვეყნის შიდა საქმეებში, რადგან ქართველი ხალხის გადასაწყვეტია, თუ ვინ უნდა ჰყავდეს ქვეყნის მმართველად.**

# ნატოს საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი

ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაცია, პრეზიდენტ ჯონ ტანერის ხელმძღვანელობით, 7 აპრილს თბილისში საქართველოს ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შეხვდა. ჯონ ტანერი ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტად ახლახანს დაინიშნა და საქართველოში ჩამოსვლა მისი ვიზიტების პროგრამაში ერთ-ერთი პირველი იყო.

ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის ახალი პრეზიდენტის ჯონ ტანერის შეფასებით, საქართველოში გატარებული და დაგეგმილი პოლიტიკური რეფორმები სწორი მიმართულებით ხორციელდება.

გუშინდელი შეხვედრისას ჯონ ტანერმა და პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ საქართველო-ნატოს ურთიერთობაზე და იმ ტრადიციულ, კარგ თანამშრომლობაზე ისაუბრეს, რომელიც ყოველთვის არსებობდა საქართველოს პარლამენტსა და ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეას შორის. შეხვედრისას მხარეებმა ასევე განიხილეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების მხრივ არსებული სიტუაცია და ის პრობლემები, რომლებიც საქართველოში რუსეთის პოლიტიკის გამო იქმნება. **შეხვედრა გულწრფელი და გულახდილი იყო. ჩვენი ხედვები ყველა საკითხში ძალიან ახლოს არის ერთმანეთთან და ვფიქრობ, მოვახერხებთ მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნებას, რაც დაგვეხმარება კიდევ უფრო უკეთეს და ინტენსიურ მუშაობაში,** - განაცხადა დავით ბაქრაძემ.

ამასთან ბაქრაძემ სიმბოლურ ჟესტად და მხარდაჭერის გამოხატულებად შეაფასა ის, რომ ჯონ ტანერს, რომელიც ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტად ახლახანს დაინიშნა, საქართველოში ჩამოსვლა თავისი ვიზიტების პროგრამაში ერთ-ერთ პირველ ადგილზე ჰქონდა.

გუშინვე ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი ჯონ ტანერი საპარლამენტო უმცირესობასაც შეხვდა და ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობაზე ესაუბრა.

უმცირესობის წარმომადგენელ ლევან ვეფხვაძის თქმით, ნატო-ს წარმომადგენლის მთავარი რეკომენდაცია პოლიტიკური პროცესების სწორად წარმართვაა. **პროცესები არ უნდა გასცდეს კონსტიტუციის ჩარჩოებს. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ დემოკრატია არის დიალოგის გზით პრობლემების მოგვარება და არა უმრავლესობის ნება,** - განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას ვეფხვაძემ.

საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელმა გია თორთლაძემ კი ყურადღება გაამახვილა საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების მნიშვნელობაზე. მისი თქმით, საუბარი იყო იმის შესახებ, რომ რუსეთთან საქართველოს პრობლემები ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანებით დასრულდება.

**საკუთარი ინფორმაცია**

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# ფაქტები დემაგოგიის პირისპირ

პირველი გვერდიდან

რუსეთმა აშშ სერიოზულად გააფრთხილა და მოსთხოვა საქართველოსთვის სამხედრო დახმარებაზე ხელი აიღოს.

ამის შესახებ სააგენტო "ასოშეიტედ პრესი" იუწყება. სააგენტოს მოჰყავს რუსეთის საგარეო უწყების განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველოსთვის იარაღის მიწოდება **"ძალიან საშიში"** იქნება და **"სხვა არაფერია, თუ არა აგრესორის წახალისება"**.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის ანდრეი ნესტერენკოს განცხადებით, აგვისტოს ომმა **"აჩვენა, თუ რამდენად საშიშია მეზობლებისთვის, მთელი რეგიონისთვის და თავად საქართველოსთვის თბილისის დღევანდელი ადმინისტრაციის შეიარაღება"**. მან იმედი გამოთქვა, რომ აშშ, უკრაინა და სხვა ქვეყნები, **"რომლებიც საკუთარ თავს საერთაშორისო პროცესის პასუხისმგებლობის მქონე მონაწილეებად მიიჩნევენ, ამას თავის პოლიტიკაში გაითვალისწინებენ"**.

შეშფოთება თბილისის მხრიდან სავარაუდო **"ძალისმიერი პროვოკაციების"** გამო რუსეთში საგარეო უწყების ხელმძღვანელმა სერგეი ლავროვმაც გამოთქვა. **"სამწუხაროა, რომ ამ ფონზე თბილისის ზოგიერთმა მეგობარმა სააკაშვილის რეჟიმის შეიარაღება დაიწყო,"** - განაცხადა ლავროვმა.

"ასოშეიტედ პრესი" აღნიშნავს, რომ ეს გაფრთხილებები მოსკოვის მხრიდან მას შემდეგ გაისმა, რაც საქართველოს აშშ-ს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილე ჯეიმს კარტრაითი ეწვია. ამერიკელ გენერალთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები მომზადებული იყო სამშვიდობო ოპერაციისთვის, **"ახლა კი ჩვენ თვისობრივად განსხვავებულ შეიარაღებულ ძალებს ვქმნით და ილუზიები ამის თაობაზე ნურავის ექნება"**.

ამას წინ უძღოდა აშშ-სა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა ლონდონში, რომელზეც მხარეებმა აგვისტოს ომის მიზეზების შესახებ უთანხმოება ღიად დააფიქსირეს. შეხვედრას ბარაკ ობამას რამდენიმე საჯარო განცხადებაც მოჰყვა. აშშ-ს პრეზიდენტმა გასული წლის აგვისტოში რუსეთის ქმედებებს **"საქართველოში შეჭრა"** უწოდა, მხარი დაუჭირა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და აღნიშნა, რომ აშშ ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობას არასდროს აღიარებს.

ობამას პოზიციის კომენტირებისას, საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საქართველო ვაშინგტონის მხრიდან კვლავაც სრული მხარდაჭერით სარგებლობს და **"შეერთებული შტატების წინა ადმინისტრაციას საქართველოს შესახებ იმ განცხადებების ნახევარიც არ გაუკეთებია, რაც მოკლე დროში ბარაკ ობამამ გააკეთა"**.

**"წინა ადმინისტრაცია რუსეთის შეტევას ძალის გადამეტებას უწოდებდა, ობამამ კი თქვა - ეს იყო შეჭრა, აგრესია, ოკუპაცია. მან ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

რუსეთის მცდელობები აგვისტოს ომის შემდეგ, ზეწოლა მოეხდინა დასავლეთის ქვეყნებზე საქართველოსთვის სამხედრო ემბარგოს დაწესების მიზნით, წარუმატებელი გამოდგა.

ბრალდებები საქართველოს გაუმართლებელი მილიტარიზაციისა და **"აგრესიისთვის მზადების"** თაობაზე მოსკოვიდან აგვისტოს ომზე კარგა ხნით ადრე ისმოდა. თუმცა, როგორც ექსპერტების შეფასებები მოწმობს, რუსეთის მიერ სეპარატისტების შეიარაღებამ მილიტარიზაციის ყველა რეკორდი მოხსნა.

რუსეთი, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა საქართველოს განიარაღებას, თავად ომისთვის აქტიურად ემზადებოდა და კონფლიქტურ ზონებში შეიარაღება დიდი რაოდენობით შეჰქონდა.

ლონდონში მოქმედმა სტრატეგიულ კვლევათა საერთაშორისო ინსტიტუტმა გასულ თვეში გამოაქვეყნა მოხსენება "სამხედრო ბალანსი 2009", რომელიც მსოფლიოს ყველა რეგიონში არსებული ვითარების ანალიზს მოიცავს.

ამ მოხსენების თანახმად, 2005 წლიდან 2008 წლის აგვისტომდე აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში მილიტარიზაციის მზარდი პროცესი შეინიშნებოდა. კერძოდ, სამხედროების რაოდენობა სამხრეთ ოსეთში 2 ათასიდან 7 ათასამდე გაიზარდა, ტანკების - ერთიდან 87-მდე, ჯავშანმანქანების - 30-დან 265-მდე, საარტილერიო სისტემების - 25-დან 210-მდე.

რაც შეეხება აფხაზეთს, იქ სამხედროების რაოდენობა 5 ათასიდან 10 ათასამდე გაიზარდა, ტანკების - 50-დან 60-მდე, ჯავშანმანქანების - 80-დან 120-მდე, არტილერიის - 80-დან 264-მდე.

ამავე ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველ ათას მცხოვრებზე ტანკებისა და ჯავშანმანქანების რაოდენობით სეპარატისტულმა სამხრეთ ოსეთმა მსოფლიო რეიტინგში პირველი ადგილი დაიკავა, აფხაზეთმა - მესამე. საქართველოს სეპარატისტური რეგიონები მსოფლიოს მასშტაბით მესამე და მეოთხე ადგილზე გავიდნენ საარტილერიო სისტემის რაოდენობითაც, მეშვიდე და მერვეზე - საბრძოლო თვითმფრინავების რაოდენობით.

მოხსენებაში გაანალიზებულია აგვისტოს ომის მიმდინარეობაც. ექსპერტების დასკვნით, რუსეთი ამ ომისთვის კარგად იყო მომზადებული. რუსულმა შტაბებმა ნაწილების მოქმედების კოორდინაციის მაღალი დონე გამოავლინეს. თუმცა, ტაქტიკურ დონეზე კოორდინაცია სუსტი იყო, ხოლო დაზვერვა - არაეფექტური.

გარდა ამისა, რუსეთმა სათანადოდ ვერ შეაფასა საქართველოს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის შესაძლებლობები, რაც შვიდი თვითმფრინავის დაკარგვის მიზეზი გახდა. რუსმა პილოტებმა ვერც ერთხელ ვერ შეძლეს ქართული ჰაერსაწინაღმდეგო ბატარეების განადგურება და სახმელეთო ჯარებისთვის უშუალო მხარდაჭერის გაწევა ვერ მოახერხეს.

დასკვნის თანახმად, ქართული შეიარაღებული ძალები მოწინააღმდეგეზე უფრო ეფექტურად მოქმედებდნენ ღამის პირობებში, რაც მათი უკეთესი აღჭურვით აიხსნება.

ექსპერტების დასკვნით, რუსეთის შეირაღებული ძალების მოდერნიზაციის მცდელობების მიუხედავად, აგვისტოს ომმა აჩვენა, რომ რუსულ სამხედრო დოქტრინაში სერიოზულად არაფერი შეიცვალა და რუსეთმა ერაყისა და ავღანეთის კონფლიქტების გაკვეთილები ვერ გაითვალისწინა.

# რეფერენდუმი და პრეზიდენტის იმპიჩმენტი

## ორი პოლიტიკური გასროლა ოპოზიციიდან

გიორგი ასანიშვილი

*პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილი კოლეგების წინაშე ორი პოლიტიკური ინიციატივით წარდგა, რომელთაგან პირველი პირადად მას ეკუთვნის, მეორე კი ლეიბორისტული პარტიის მოთხოვნას წარმოადგენს. საპარლამენტო უმრავლესობამ პოლიტიკური მოწინააღმდეგეების ინიციატივებს წაუყრუა, უმცირესობამ მათ მხარდაჭერამდე კონსულტაციების გამართვა ითხოვა. დამოუკიდებელი დეპუტატი ჯონდი ბაღათურია კი ცაგარეიშვილის ორივე წინადადებას უერთდება, მიუხედავად იმისა, რომ მათ ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიიჩნევს.*

ფრაქცია "ძლიერი საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ცაგარეიშვილის პირველი შეთავაზება ქვეყანაში რეფერენდუმის ჩატარებას ითვალისწინებს, რომლის დროსაც მოსახლეობამ უნდა გამოხატოს თავისი დამოკიდებულება 2010 წლის 1 იანვრამდე საქართველოში ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების მიმართ. რაც შეეხება ლეიბორისტული პარტიის "წიაღიდან" წამოსულ ინიციატივას, ის საქართველოს პარლამენტში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას გულისხმობს.

**"ორივე ამ ინიციატივას ახასიათებს საერთო სულისკვეთება: საქართველოში რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს ხელისუფლების ცვლა და ეს კონსტიტუციის ჩარჩოებში განხორციელდეს,"** - აღნიშნავს ცაგარეიშვილი, რომელიც იმედოვნებს, რომ 9 აპრილის აქციაზე ძალიან ბევრი ადამიანი მივა და **"ეს ხელისუფლებას გამოაფხიზლებს."**

გიორგი ცაგარეიშვილი ბოლო ხანს ხელისუფლების მხრიდან წამოსულ ინიციატივებსაც ეხმიანება და მიიჩნევს, რომ ისინი უკვე დაგვიანებული და შესაბამისად, არსებული ვითარების არაადეკვატურია.

გუშინ სახელისუფლებო ფრაქციის წარმომადგენლებმა ოპონენტის გამოსვლა მდუმარედ მოისმინეს.

ცაგარეიშვილის შეთავაზებების გარშემო კონსულტაციების დასაწყებად "ქრისტიან-დემოკრატები" მზად არიან. თუმცა, ისინი არ მალავენ, რომ ქვეყანაში სისტემური ცვლილებების განხორციელება და პოლიტიკური კრიზისის დაძლევა ახალი კონსტიტუციის მიღების გზით უფრო მისაღებია.

ვინაიდან 9 აპრილამდე ძალიან ცოტა დრო რჩება, გიორგი ახვლედიანი შიშობს, რომ ხელისუფლებასა და რადიკალურ ოპოზიციას შორის კონსტრუქციული დიალოგის წარმართვა და კონსენსუსის მიღწევა ვერ მოხერხდება. ამიტომ, ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატების" თავმჯდომარე ორივე დაპირისპირებულ მხარეს სთავაზობს იმის დაფიქსირებას, რომ საპროტესტო აქციაზე ანტიკონსტიტუციურ ქმედებებს ადგილი არ ექნება და ძალადობრივი მეთოდების გამოყენება არ მოხდება.

გუშინდელ პლენარულ სხდომაზე ოპოზიციის მიერ დაყენებულ რეფერენდუმისა და პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხებს უმრავლესობის მხრიდან მხოლოდ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი გამოეხმაურა.

იგი ურჩევს პოლიტიკური ინიციატივების ავტორებს, რომ გაითვალისწინონ, თუ რა არის დღეს საზოგადოებისთვის ყველაზე მტკივნეული პრობლემა.

**"მთავარი საზრუნავი სოციალურ, კერძოდ კი დასაქმების საკითხებს ეხება და შესაბამისად, სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს შორის დიალოგი სწორედ ამ თემებზე უნდა იყოს ფოკუსირებული. სამწუხაროა, რომ ზოგიერთი პოლიტიკური ლიდერი ცდილობს, პროცესები სხვა მიმართულებით წაიყვანოს,"** - აცხადებს კუბლაშვილი.

ასეთ რთულ სიტუაციებში "გამოსავალს", როგორც წესი, ჯონდი ბაღათურია პოულობს ხოლმე. ოქროს შუალედის პოვნას "ქართული დასის" ლიდერი, ცხადია, გუშინაც შეეცადა: ბაღათურია პავლე კუბლაშვილსა და მისი სახით, საქართველოს ხელისუფლებას, "შედეგზე ორიენტირებულ დიალოგს" სთავაზობს.

**"ვისაუბროთ იმ საკითხებზეც, რომლებიც თქვენ გაინტერესებთ და იმაზეც, თუ როგორ გამოვიყვანოთ ქვეყანა პოლიტიკური ჩიხიდან. სიტუაცია განიმუხტება, თუ საზოგადოება დაინახავს, რომ არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა შესაძლებელია. მოლაპარაკებების საგანიც სწორედ ის უნდა იყოს, თუ როგორ წარიმართოს ეს პროცესი,"** - აცხადებს ბაღათურია.

"ქართული დასის" ლიდერი გიორგი ცაგარეიშვილის მიერ გუშინ გაჟღერებულ ორივე ინიციატივას უერთდება, თუმცა იქვე შენიშნავს, რომ ისინი ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ამიტომ, იგი ურჩევს ცაგარეიშვილს, კარგად გაერკვეს, რა სურს და ორ ინიციატივას შორის არჩევანი გააკეთოს.

### გია მაისაშვილის დასკვნა

"მომავლის პარტიის" ლიდერ გია მაისაშვილის მტკიცებით, საქართველოს ხელისუფლების მიმართ ბუშისა და ობამას პოზიციები განსხვავებულია.

როგორც მაისაშვილმა სასტუმრო "თბილისი მარიოტში" ოპოზიციისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა შეხვედრის დაწყებამდე განაცხადა, ასეთი დაკვნა მან საქართველოში აშშ-ს ელჩ ჯონ ტეფტთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა. "ობამას ადმინისტრაციის მიდგომა ისეთივე არ არის, როგორიც ბუშის დროს იყო. კერძოდ აშშ-ს ახალი ხელისუფლება მზადყოფნას გამოთქვამს და მხარს უჭერს, რომ შეიცვალოს საქართველოს არსებული ხელისუფლება," - განაცხადა მაისაშვილმა, თუმცა არ დაუკონკრეტებია, მან ეს მხარდაჭერა ჯონ ტეფტისგან მიიღო თუ არა. "ელჩები ასეთ რაღაცებს არ ამბობენ, მაგრამ ეს დასკვნა მისი საუბრიდან ჩემი გამოცდილების საფუძველზე გამოვიტანე," - განაცხადა მაისაშვილმა. მისივე შეფასებით, საქართველო ახლა სრულ იზოლაციაშია და მისი გადარჩენის ერთადერთი გზა ხელისუფლების შეცვლაა. "საქართველოს ხელისუფლება აუცილებლად შეიცვლება. აქ, უბრალოდ, ტექნიკური საკითხია მოსაგვარებელი," - განაცხადა მაისაშვილმა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### სოფელ ჭიმითში ბრუცელოზის კიდევ ერთი შემთხვევა გამოვლინდა

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, გურჯაანის რაიონის სოფელ ჯიმითში ადამიანის ბრუცელოზით დაავადების კიდევ ერთი შემთხევა გამოვლინდა.

გამოკვლევის შედეგად დაავადება 39 წლის ვეფხია ბაბლოვანს დაუდგინდა. ავადმყოფი ამჟამად მკურნალობას გადის. ბაბლოვანი სოფელ ჯიმითში ცხვრის ფერმაში მუშაობდა. წინასწარი ინფორმაციით, ბრუცელოზით ის საქონლის ხორცის მიღების შედეგად დაავადდა. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში კახეთში ბრუცელოზის ყველაზე მეტი შემთხვევა გურჯაანის რაიონის სოფელ ჯიმითსა და მიმდებარე სოფლებში გამოვლინდა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### პატრიცია ფლორი და GTZ-ი ჟურნალისტებს დევნილებისთვის სახლების მშენებლობის სამუშაოს დასათვალიერებლად იწვევენ

დღეს გერმანიის ელჩი პატრიცია ფლორი და გერმანიის ტექნიკური თანმშრომლობის საზოგადოება (GTZ), ჟურნალისტებთან ერთად, დევნილი მოსახლეობისთვის სახლების მშენებლობის მიმდინარე სამუშაოებს დაათვალიერებენ. გორში გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ განსახორციელებელი პროექტის შესახებ ბრიფინგიც გაიმართება. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გორში დევნილი მოსახლეობისთვის 300 სახლის მშენებლობა წამოიწყო. მშენებლობა მიმდინარე წლის თებერვალში დაიწყო და ივლისამდე გაგრძელდება.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### იაფი დაზღვევის ფარგლებში კახელებს უფასოდ აზღვევენ

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, იაფი დაზღვევის ფარგლებში კახეთის რეგიონის სოფლებში მოსახლეობას უფასოდ აზღვევენ. ადგილობრივების განცხადებით, ხელისუფლების წარმომადგენლები და ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტები სოფლებში კარდაკარ დადიან და მოსახლეობას სამედიცინო დაზღვევის პაკეტს უფასოდ სთავაზობენ. სანაცვლოდ, მათგან მმართველი პარტიის მხარდაჭერას მოითხოვენ. იაფი დაზღვევის პროგრამა 1 ივლისს უნდა დასრულდეს. გათვალისწინებულია სულ 494 ათასი ადამიანის დაზღვევა, რაც, ექსპერტების მონაცემებით, იმას ნიშნავს, რომ დღეში, საშუალოდ - 7 200 ადამიანი, საათში კი 905 ადამიანი უნდა დაეზღვიოს. პრეზიდენტმა მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე რეგიონების გუბერნატორებს დაავალა, რომ დაზღვევის პროცესს მუნიციპალიტეტებში უშუალოდ გამგებლებმა უხელმძღვანელონ.

**ჯი-ეიჩ-ენი**

# რამდენიმე მოსაზრება ამ 9 აპრილზე

**ნიკოლოზ რურუა**
*საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი*



იმის თქმა, რაც ახლა მსურს, მგონია რომ ისედაც ნათელია, მაგრამ რატომღაც მეჩვენება, რომ ამას არავინ ამბობს. ან შეიძლება მე არ გამიგია ეს თვითცხადი ჭეშმარიტებები, რომელიც ძნელია ორიგინალურად გამოიხატოს მათივე სიცხადიდან გამომდინარე.

თბილისის მკვიდრთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი მოუთმენლად და ნერვიულად მოელის 9 აპრილის დემონსტრაციას და მისგან გამომდინარე ყველა შედეგს. მე არ ვეკუთვნი მათ რიცხვს. იმდენად ნათელია არაერთხელ დეკლარირებული მიზანი ამ მიტინგისა, რომ სამარჩიელო ცოტა რამ თუა დარჩენილი. ამდენად, ყველანაირი აჟიტირების გარეშე ველი დღეს, რომელიც ცხადყოფს, ერთი მხრივ ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის მოქალაქეობრივი შეგნების ხარისხს ან უხარისხობას, მეორე მხრივ ჩვენი სახელმწიფოს, როგორც ახალგაზრდა დემოკრატიის სიცოცხლისუნარიანობისა და სიმწიფის დონეს.

და მაინც, ვცდი ამ აქციის ანატომიაში გარკვევას. შევჩერდეთ დემონსტრაციის თარიღის შერჩევის კრიტერიუმზე. აქ ყველაფერი ნათელია. ორგანიზატორების შორსმჭვრეტელმა გამჭრიახობამ ეს დღე ორი მიზეზით შეარჩია: პირველი, ის რომ 9 აპრილს მათ თავისუფალი, ან სულაც უკანონო მოქმედების მეტი შესაძლებლობა ექნებათ და რომ მთავრობა უსიამოვნო პარალელების თავიდან ასაცილებლად მოერიდება რაიმე სახის თუნდაც აუცილებელ, მაგრამ გადამჭრელ ქმედებებს; და მეორე, რომ თუ მაინც გაბედა" ხელისუფლებამ საკუთარი პირდაპირი ვალდებულების შესრულება - კანონის, კონსტიტუციური წყობილების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას შეეცადა - მაშინ მას, ანუ დღევანდელ დამოუკიდებელ საქართველოს ხელისუფლებას წინა, ნამდვილი 9 აპრილის დამნაშავეების, ანუ რუსეთის წითელი არმიისა და ქართველი კომუნისტების მიმართ გამოტანილი, მაშინ სრულიად სამართლიანი და ამ სიტუაციაში სრულიად ყალბი განაჩენი - ქართველი ხალხის მტრის - განაჩენი უნდათ რომ გამოუტანონ. **ეს დრამატურგიული ეტიუდი დღესავით ნათელია.**

თუ გავიხსენებთ 1989 წლის 9 აპრილს, ცნობილია, რომ ეს დღე საბჭოთა იმპერიასთან ანუ გარე მტერთან ბრძოლის აქტიურ ფაზაში გადასვლის დღე იყო, სადაც სრულიად მშვიდობიანი დემონსტრაცია, რომელსაც არანაირი (თუნდაც საბჭოთა კანონმდებლობით) უკანონო ქმედებები არ ჰქონდა განზრახული, წითელი არმიის შენაერთებმა უმოწყალოდ დაარბიეს, რასაც 19 ადამიანის სიკვდილი და ათასობით ქართველი დასახიჩრება და ქიმიური გაზით მოწამლვა მოჰყვა. შესაბამისად, ამ თარიღის მიტაცების, მითვისების და პრივატიზების უფლება არც ერთ პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ჯგუფს, რაოდენ მრავალრიცხოვანიც არ უნდა იყოს იგი, არ აქვს: **ეს თარიღი მთელი ერის ისტორიის საკუთრებაა.** მით უმეტეს არავის აქვს ამ თარიღის პოლიტიკური მიზნების მიღწევისა და ექსტრემიზმისთვის გამოყენების უფლება. 9 აპრილის ისტორიის ფურცელი სავსეა - მას შევსება აღარ სჭირდება, მით უფრო შინაური დაპირისპირების ამბებით.

ანალოგია რომ გამოვიყენოთ, ამ დღეს, 9 აპრილს მასობრივი მიტინგის დაგეგმვა შინაარსობრივად ზუსტად იგივეა, რაც ვთქვათ, იქნებოდა 11 სექტემბერს ამერიკაში აშშ-ს პრეზიდენტის წინააღმდეგ საპროტესტო აქციის დაგეგმვა მისი პოლიტიკური ოპონენტების მიერ, რომ ამით ან ამერიკის ხელისუფლების ტერორისტებთან გაიგივების ირიბი მცდელობა მომხდარიყო, ან მიღწეულიყო დაუსჯელობის გარანტიის ინდულიგენციის მოპოვება მთავრობის დაკომპლექსებისა და დაშინების გზით.

მაგრამ ამერიკაში ამგვარი, რბილად რომ ვთქვათ, უსინდისობა ან პოლიტიკური უზნეობა გამორიცხულია - ამას აქაც, საქართველოშიც კარგად ვხვდებით, მაგრამ მიტინგის ამ დღეს დანიშვნას ანუ ზუსტად ანალოგიურ უმსგავსობას მაინც არ ვაპროტესტებთ, და ყველაფერს მომლოდინე პოზიციაში ველით: იმედით, რომ ჩვენს სათქმელს, არც თუ ისე ადვილს, ვიღაც იტყვის. რა არის ეს, საზოგადოებრივი გულგრილობა, თუ უუნარობა უმარტივესი ლოგიკური დასკვნის გაკეთებისა და ზოგადად კრიტიკული აზროვნების სრული დეფიციტი?

ყველა დემოკრატიულ ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, აქვს არა მხოლოდ უფლება, არამედ მოვალეობა, რომ მოთმინებით ადევნოს თვალი მიმდინარე მოვლენებს და უზრუნველყოს მშვიდობიანი თვითგამოხატვის კონსტიტუციური უფლების რეალიზაცია, თუნდაც ეს პროტესტი რადიკალურ მოთხოვნებს შეიცავდეს, და ფორმითაც ვერ აკმაყოფილებდეს მაინცადამაინც დახვეწილი გემოვნების სტანდარტს. ანუ, დემოკრატიაში სიტყვის თავისუფლების უფლება დაცული და გარანტირებული უნდა იყოს.

მიუხედავად თქმულისა, აუცილებლად მიმაჩნია მკითხველისათვის იმ არცთუ ისე პოპულარული რეალობის შეხსენება, რომ სიტყვისა და თავშეყრის უფლება ულიმიტო უფლებას არ წარმოადგენს - ანუ, **კატეგორიულად დაუშვებელია დემოკრატიული უფლებები, ამ შემთხვევაში სიტყვისა და თავშეყრის თავისუფლება გამოყენებულ იქნას მთლიანად დემოკრატიული სისტემისა და ჩვენი ქვეყნის თავისუფლების საზიანოდ**. ბანალური, მაგრამ უტყუარი ჭეშმარიტების ციტირება მსურს: თავისუფლება ძნელად მოსაპოვებელი, მაგრამ ადვილად დასაკარგი რამეა; და როდესაც ის იკარგება, დიდი ხნით იკარგება ხოლმე. **ჩვენ, ქართველებმა ჩვენი თავისუფლებისათვის ძალიან დიდი საფასური გადავიხადეთ, რომ ის დაუდევრად დავკარგოთ ან დავთმოთ.**

ახლა ორიოდ სიტყვით განვიხილოთ, თუ რატომ არ შეუძლია ამომრჩევლის ერთ ნაწილს დემოკრატიული პროცესის მოკლეზე მოჭრა", ანუ ხელოვნურად და საკუთარი სურვილის შესაბამისად კონსტიტუციით დადგენილი პროცედურებისა და ვადების უგულებელყოფა და მათი შემოკლება".

როგორც ცნობილია, დემოკრატია და მისი ორი სახეობა - არჩევითი და ლიბერალური დემოკრატია - გულისხმობს პოლიტიკურ სისტემას, რომელშიც ხელისუფლება გარკვეული ვადით ირჩევა ამომრჩეველთა უმრავლესობის, თუნდაც სულ მცირე უპირატესობის მქონე უმრავლესობის მიერ, და ხდება ხელისუფლებაზე ბევრი სხვა ფუნქციის გარდა, ძალაუფლების, ანუ ძალისა და მისი გამოყენების უფლების, დელეგირება. ამგვარად არჩეული ხელისუფლებაც ამ განსაზღვრული ვადის განმავლობაში იღებს იმ გადაწყვეტილებებს, რომელიც მას საუკეთესოდ მიაჩნია საზოგადო სიკეთისათვის. **მიუხედავად იმისა, მოსწონს თუ არა არჩევის შემდეგ ხელისუფლების გადაწყვეტილებები ამომრჩეველთა რომელიმე ერთ, თუნდაც რაოდენობრივად მნიშვნელოვან ნაწილს, ამ გადაწყვეტილებათა მიღების და მათი ცხოვრებაში გატარების არა მხოლოდ უფლება, არამედ ვალდებულება გარკვეული ვადით მხოლოდ ხელისუფლებას აკისრია და ამ სქემის ძალისმიერი, ან იძულებითი ხერხებით შეცვლის უფლება არავისთვის, თვით ხელისუფლების ჩათვლით, უბრალოდ არ არხებობს**. ნებისმიერი ხელისუფლება ვალდებულია, დაიცვას არჩევითი დემოკრატიის ეს ფუნდამენტური პრინციპი, ვინაიდან მისი დაუცველობა ქაოსისა და სახელმწიფოს საფუძვლების ნგრევის უებარი რეცეპტია. ამ, ერთი შეხედვით მარტივ სქემას, როგორც ვიცით, კონსტიტუციური ციკლი ეწოდება, რომლის დარღვევის უფლებაც, ვიმეორებ, ძალმომრეობით არავის არ გააჩნია. რომ არა ასე, მაშინ ვერც ერთი სახელმწიფო ვერ იარსებებდა განვითარების გრძელვადიან და სტაბილურ გარემოში, რადგანაც ყოველ ქვეყანაში მოიძებნებოდნენ არჩევნებში დამარცხებული კანდიდატის მომხრეები, ან უბრალოდ განაწყენებული ადამიანები, ვისაც შეეძლებოდა მინიმალური მობილიზებით და საარჩევნო სისტემის გვერდის ავლით, ანუ მოკლეზე გზის მოჭრით", მისთვის პოლიტიკურად მისაღები ხელისუფლების დასმა. ერთი შეხედვით ხომ მარტივად ჟღერს? ნამდვილად ასეა, მაგრამ წლევანდელი 9 აპრილის ორგანიზატორთა მხრიდან ამ ანბანური ჭეშმარიტებისადმი ხან სრულ უცოდინრობასთან, ხან მიზანმიმართულ მტრობასთან გვაქვს საქმე.

შემდეგი, რის განხილვასაც მკითხველს ვთავაზობ, ე.წ. აჯანყების უფლებაა", რომელიც ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერის მხრიდან ხშირად გაისმის ხოლმე. ამ ტერმინს, რომელსაც დადებითი კონოტაცია შეერთებული შტატების დამფუძნებელმა მამებმა მიანიჭეს, არაფერი აქვს საერთო საქართველოში არსებულ სიტუაციასთან. პირველ რიგში, დამფუძნებელი მამები, კერძოდ კი დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორი თომას ჯეფერსონი ამ უფლების გამოყენებას მაშინდელი დიდი ბრიტანეთისა და მისი ტირანი მმართველის პრინც ჯორჯის მიმართ გულისხმობდა, რომლის კოლონიასაც წარმოადგენდა მაშინდელი ამერიკა. **არც ჯეფერსონს და არც ერთ მის თანამებრძოლს არ დაუცავთ საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ აჯანყების უფლება", იმ მარტივი მიზეზით, რომ საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ აჯანყების უფლების მოთხოვნა არც მეტი, არც ნაკლები, მისი ფუნდამენტური ინტერესების მიმართ ღალატის უფლების" მოთხოვნაა.** ზედმეტია იმის თქმა, ბატონებო და ქალბატონებო, რომ საკუთარ სახელმწიფოს არ უჯანყდებიან, და თუ უჯანყდებიან, მაშინ უჯანყდებიან საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობასაც და მომავალსაც.

თუმცა, არსებობს ერთი პატარა გამონაკლისი, რომელსაც დემოკრატიულ ქვეყნებში აჯანყებას არა, მაგრამ დაუმორჩილებლობის უფლებას არქმევენ ხოლმე. ეს გამონაკლისი კი მხოლოდ მაშინაა დასაშვები, როდესაც დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლებაც კი, არჩევნების წაგების მიუხედავად, უარს ამბობს მისთვის დროებით მინიჭებული მართვის უფლების დათმობაზე. სწორედ ამიტომ მიიღო და აღიარა თავისუფალმა სამყარომ ვარდების რევოლუცია", რომელიც არჩევნების გაყალბებასა და ამ ფაქტის ობიექტურ საერთაშორისო დადასტურებას მოჰყვა. დღეს კი (უკვე მერამდენედ) საქმე გვაქვს ვარდების რევოლუციის" მექანიკური კოპირების კიდევ ერთ მცდელობასთან (არაერთხელ გაისმა ბავშვური განაწყენების მსგავსი შეძახილი: შენთვის თუ შეიძლებოდა, რა, ჩემთვის რატომ არ შეიძლება?! მაშინ კარგი იყო"?!). ამგვარი რამ შესაძლებელი, ვიმეორებ, მხოლოდ მაშინაა, როდესაც ხელისუფლება აგებს არჩევნებს, მაგრამ ძალაუფლების დათმობაზე მაინც უარს აცხადებს.

რამდენიმე პირად საუბარში (მგონი საჯაროდაც) ოპოზიციის წარმომადგენლებს განუცხადებიათ, რომ ისინი ე.წ. აჯანყების გზით იმ მიზეზით მიდიან, რომ მათ არჩევნებით წარმოუდგენლად მიაჩნიათ დღევანდელი ხელისუფლების დამარცხება. აქ მათთვის ორი რჩევა მაქვს - პირველ შემთხვევაში აღივსონ მოთმინებით და ერთადერთი არსებული გზით, ანუ ისევ და ისევ არჩევნებით სცადონ ხელისუფლებაში მოსვლის ტვირთის აღება (მცირემოთმინებიან პოლიტიკოსებს შევახსენებ, რომ აშშ-ს ერთ-ერთი უდიდესი პრეზიდენტი, აბრაამ ლინკოლნი საკუთარი შტატის, ილინოისის პარლამენტში ვერც ერთხელ ვერ მოხვდა; გაპრეზიდენტებამდე კი ზედიზედ ორჯერ წააგო აშშ-ს სენატის არჩევნები), და თუ მათ ან საჭირო მოთმინება არ გააჩნიათ, ან უბრალოდ არ სჯერათ საკუთარი შესაძლებლობებისა, პოლიტიკოსის პროფესია რაიმე სხვა, უფრო მყისიერად ემოციური კომპენსაციის მქონე საქმიანობით ჩაანაცვლონ. არ ვხუმრობ **- ნამდვილი და წარმატებული პოლიტიკოსები ისტორიულად არა სპრინტერები, არამედ მარათონელები არიან.** ცდილობენ მაინც. ვალდებულები ვართ, რომ ვცადოთ ჩვენც, ვინაიდან დაუმორჩილებლობის გამამართლებელი ერთადერთი რეალური მიზეზი - წაგებული არჩევნების მიუხედავად ძალაუფლების დათმობაზე უარი - უბრალოდ არ არსებობს მიუხედავად უამრავი ჰიპერბოლისა და ადგილზე დაჟინებული ფეხების ბაკუნით საპირისპიროს მტკიცებისა.

და ბოლოს, ვერ ვუძლებ ცდუნებას, რომ არაფერი ვთქვა დღევანდელი ხელისუფლების მიმართ გაკეთებულ ერთ-ერთ მთავარ ბრალდებაზე - იმაზე, რომ ომი ჩვენ დავიწყეთ, და წავაგეთ". ისევ ბანალურ ჭეშმარიტებას უნდა დავესესხო: წარმოუდგენელია საკუთარ ტერიტორიაზე ომი დაიწყო". **ომი საკუთარ ტერიტორიაზე მხოლოდ ერთ შემთხვევაში იმართება - როდესაც შენს ქვეყანას თავს ესხმიან და შენი სახელმწიფო შენთან ერთად და შენი დახმარებით თავს იცავს!**

საოცარი რამეა სიძულვილი, რომელზეც ამბობენ, რომ აბრმავებს. ის თურმე მართლაც აბრმავებს: როდესაც მსოფლიოსა და თავისუფალი სამყაროს ერთ-ერთი ლიდერი, შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა საქვეყნოდ აცხადებს, რომ სასტიკად გმობს რუსეთის საქართველოში ინტერვენციას (ლათ. interventio, ანუ სუვერენულ ქვეყანაში საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური წყობის ძალადობრივი ცვლილების მიზნით შეჭრა) და მავანი კი, საქართველოს მომავალზე ხმამაღლა მოსაუბრე ახირებული სიჯიუტით უტიფრად იმეორებს, რომ ომი საქართველომ დაიწყო", ამის რაიმე სახით გამართლება უბრალოდ შეუძლებელია. ამ საქციელის ახლანდელი შეფასება მკითხველისათვის მიმინდია.

აქ დავამთავრებ. რაც შეეხება იმას, თუ როგორ და რას იტყვის ამ ყველაფერზე ისტორია, ამაზე ძალიან კონკრეტული და ჩამოყალიბებული აზრი გამაჩნია - ის ამ ყველაფერს სამარცხვინო, მაგრამ დამაფიქრებელ მაგალითად დაიმახსოვრებს. დანარჩენზე მოგვიანებით, მანამდე კი გავუფრთხილდეთ საქართველოს და მის სიმწრით მოპოვებულ თავისუფლებას.

# სამოქალაქო რეესტრმა ახალი პროექტის განხორციელება დაიწყო

*UNICEF-ისა და UNHCR-ის თანადაფინანსებით, იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საქმიანობის ხელშეწყობისა და მონაცემების სრულყოფის მიზნით ახალი პროექტი იწყება.*




*მემორანდუმს ხელი გუშინ მოეწერა.*

შესაბამის მემორანდუმს ხელი მოაწერეს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი ვაშაძემ, გაერო-ს ბავშვთა ფონდის (UNICEF) წარმომადგენლის მოადგილემ ბენჯამენ პერკსმა და გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) წარმომადგენლის მოადგილემ კრისტოფ ბიერვირტმა.

პროექტი ხელს შეუწყობს ცხინვალის რეგიონიდან დევნილი ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციასა და დასაქმებას. 30 მათგანი სტაჟირებას სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სისტემაში გაივლის და პროექტში დასაქმდება. დევნილი ახალგაზრდებისგან მობილური ჯგუფები დაკომპლექტდება, რომლებიც პროექტის ფარგლებში ოჯახებს დაივლიან და დაბადების დაურეგისტრირებელ ფაქტებს აღრიცხავენ.

პროექტი არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლებრივი განვითარებისა და კონსულტაციების ჯგუფის" მიერ განხორციელდება, რაშიც ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები და სხვა ადგილობრივი ინსტიტუტები აქტიურად ჩაერთვებიან.

პროექტი, რომელიც საქართველოს ყველა რეგიონს მოიცავს, მიზნად ისახავს: აღურიცხავი, დაურეგისტრირებელი დაბადების ფაქტების სრულად გამოვლენას მთელი საქართველოს მასშტაბით და ამ პრობლემის მოგვარებას მოქალაქეობის არმქონე პირების, მათ შორის პანკისის ხეობაში მცხოვრები ლტოლვილებისთვის მოქალაქეობის საკითხებში დახმარების გაწევას; დაბადების რეგისტრაციის პრობლემის აქტუალიზაციას მოსახლეობაში, მოსახლეობის მოტივაციის გაზრდას და პრობლემის პრევენციას; მოქალაქეობის საკითხთა მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფას და ამ სფეროში ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობას.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს პრესსამსახურის ინფორმაციით, დაბადების რეგისტრაციის პრობლემის მოგვარება პირველ ეტაპზე დაიწყება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, გურიის მხარეში, შიდა ქართლში, კახეთსა (ლაგოდეხი, დედოფლისწყარო) და ახმეტის მუნიციპალიტეტში. შემდგომ ეტაპზე პროექტი დანარჩენ რეგიონებსაც მოიცავს. გაგრძელდება მუშაობა ქვემო ქართლის რეგიონსა და საგარეჯოს რაიონში, სადაც გაერო-ს ბავშვთა ფონდის (UNICEF) და გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) ფინანსური მხარდაჭერით წარმატებით ხორციელდებოდა პროექტი - "ქვემო ქართლის რეგიონისა და საგარეჯოს რაიონის მოსახლეობის დოკუმენტირება და დაბადების რეგისტრაციის პრობლემის პრევენცია."

როგორც სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი ვაშაძემ განაცხადა, ახალი პროგრამისთვის პარტნიორმა ორგანიზაციებმა ნახევარი მილიონი ლარი გაიღეს. **"მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თვითონ ის ადამიანები, რომელთაც თავის დროზე ჰქონდათ რეგისტრაციის პრობლემები, ამ შემთხვევაში ცხინვალის რეგიონიდან დევნილები, ადგილზე მივლენ მოსახლეობასთან და მოუგვარებენ მათ დოკუმენტაციის პრობლემებს,"** - განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) წარმომადგენლის მოადგილე კრისტოფ ბიერვირტის თქმით, **UNHCR აღნიშნულ პროექტში ორი მიზნის გამო არის ჩართული - დახმარება აღმოუჩინონ, როგორც იძულებით გადაადგილებულ პირებს, ისე მოქალაქეობის არმქონე ადამიანებს.** მისი ინფორმაციით, პროექტი ორ ნაწილად არის გაყოფილი: დევნილებს, რომელთაც დოკუმენტაციის პრობლემები აქვთ, საბუთები დაუმზადდებათ და ის ადამიანები, რომელთაც დაბადების მოწმობები არ ჰქონდათ, დარეგისტრირდებიან სამოქალაქო რეესტრის ბაზაში და გადაეცემათ შესაბამისი დოკუმენტები.

**"მთელ მსოფლიოში UNICEF-ის გამოცდილება ცხადყოფს, რომ იმ ადამიანებს, რომელთაც არ აქვთ დაბადების რეგისტრაცია, პრაქტიკულად, შეზღუდული შანსები აქვთ სოციალური დაცვის და განათლების სხვადასხვა მექანიზმებთან დაკავშირებით. სწორედ, ამიტომ UNICEF სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დაეხმარება დაბადების რეგისტრაციის პრობლემის აღმოფხვრაში,"** - განაცხადა გაერო-ს ბავშვთა ფონდის (UNICEF) წარმომადგენლის მოადგილემ ბენჯამენ პერკსმა.

**საკუთარი ინფორმაცია**

*სასამართლო დარბაზი*

# არასრულწლოვნები სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობები და არასრულწლოვნებს კობა რაშოევსა და გელა ქუხილავას, რომლებსაც ბრალი ედებოდათ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად, საცავში უკანონო შეღწევით ჩადენილ ქურდობაში, პირობითი მსჯავრი დაუდგინა.

2008 წლის 12 ნოემბერს გელა ქუხილავამ თანამზრახველ რაშოევთან ერთად თბილისში, რუსთაველის გამზირ N20-ში მდებარე მაღაზიის ვიტრინა ჩაამტვრია, შეაღწია მაღაზიაში და ფულად თანხას და თამბაქოს ნაწარმს, ასევე 300 ლარად ღირებულ სალარო აპარატსა და მაღაზიაში არსებულ სხვა სარეალიზაციო პროდუქციას ფარულად დაეუფლა. ქუხილავა და რაშოევი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

მსჯავრდებულების მიმართ სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ გაითვალისწინა, რომ გ.ქუხილავამ და კ.რაშოევმა ჩადენილი დანაშაული აღიარეს და მოინანიეს, ითანამშრომლეს გამოძიებასთან, წარსულში ნასამართლევი არ იყვნენ, გ.ქუხილავა დაკავებამდე მონასტერში ცხოვრობდა. გელა ქუხილავას სასამართლომ სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, რაც ჩაუთვალა პირობითად, გამოსაცდელ ვადად 5 წელი დაუდგინა და სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლა, ხოლო არასრულწლოვან კობა რაშოევს თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 9 თვის ვადით მიუსაჯა, რაც პირობითად ჩაუთვალა და გამოსაცდელ ვადად 5 წელი დაუდგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ განიხილა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის წარდგინება მსჯავრდებულ თამარ ფანჩვიძის პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ. თამარ ფანჩვიძე, არაერთგზის ჩადენილი ქურდობისთვის, გორის რაიონულმა სასამართლომ გაასამართლა და 3 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი. სასამართლომ შუამდგომლობის მოთხოვნა დააკმაყოფილა და თამარ ფანჩვიძე დარჩენილი სასჯელის მოხდისგან (1 წლით, 1 თვით და 8 დღით) პირობით ვადამდე ადრე გაათავისუფლა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ განიხილა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შუამდგომლობები მსჯავრდებულების: ელიზბარ გუგუტიშვილის, ზაზა ჩხაიძის, დავით მჭედლურის, ზურაბ ჯანანაშვილის, გაიოზ ბალათურიას, ალექსანდრე მიქაელიანის, ბადრი გოგოხიას, დავით გოგოლაურის და ილია ლუცუფიძის მიმართ განაჩენის აღსრულების გადავადების თაობაზე. სასამართლომ გაიზიარა შუამდგომლობების მოთხოვნა ხსენებულ პირთა მიმართ და მითითებულ მსჯავრდებულებს შეფარდებული სასჯელის დარჩენილი ნაწილის მოხდა გადაევადათ გამოჯანმრთელებამდე ან ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებამდე. სასამართლოს დადგენილების საფუძველზე მსჯავრდებულები სასჯელის მოხდის ადგილიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლდებიან.

### კერძო პირების სასარგებლოდ დასრულებული დავები

ბოლო ორი დღის მანძილზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ორი საქმე კერძო პირების სასარგებლოდ დაასრულა.

სასამართლოს 6 აპრილის გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა როზა ზაიაევას სარჩელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და თბილისის მერიის მიმართ. ამ სარჩელით, კერძო პირი 1991-1992 წლის დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა.

სასამართლომ აღნიშნული სარჩელი საფუძვლიანად მიიჩნია და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და თბილისის მერიას მოქალაქე როზა ზაიაევას სასარგებლოდ სოლიდარულად დააკისრა 44 558 აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში) გადახდა.

ხოლო 7 აპრილს იგივე სასამართლომ განიხილა მოსარჩელის - ალექსანდრე ახატნელის სარჩელი მოპასუხის - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წინააღმდეგ, ფულადი თანხის 81 070 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ალექსანდრე ახატნელის სასარჩელო მოთხოვნა.

კერძოდ, მოპასუხეს - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაეკისრა მოსარჩელის მიერ ს.ს. თბილისის ნავთობპროდუქტის აქციის შესყიდვის მიზნით გადახდილი თანხის - 71 070 აშშ დოლარის ანაზღაურება.

ამავე გადაწყვეტილებით, მოსარჩელე ალექსანდრე ახატნელს მატერიალური და მორალური ზიანის სახით 10 000 ლარის ანაზღაურებაზე, მოთხოვნის უსაფუძვლობის გამო, უარი ეთქვა.

### პროექტ "საზოგადოებრივი დამცველის" განხორციელება იწყება

არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია, ადვოკატთა პროფკავშირები და ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაცია პროეტს "საზოგადოებრივი დამცველი" იწყებენ.

დღეიდან 20 დღის განმავლობაში აღნიშნული ორგანიზაციები მონიტორინგს განახორციელებენ. კერძოდ, მანქანით მუდმივად იმოძრავებს თითო ადვოკატი, უფლებადამცველი და ოპერატორი, რომლებიც კანონდარღვევების შესახებ ინფორმაციას ოპერატიულად ადგილზე გადაამოწმებენ.

"ჩვენ დავაფიქსირებთ ფაქტს და დაზარალებულს იურიდიულ დახმარებას გავუწევთ", - განუცხადა "პირველს" არასამთავრობო ორგანიზაციის "ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის" თავმჯდომარემ ნანა კაკაბაძემ.

დაზარალებულებს ინფორმაციის მიწოდება ცხელ ხაზზე" შეეძლებათ, რომლის ნომრებია: 890-108-108; 890-109-109.

**პირველი**

### დედაქალაქის მერია ტრანსპორტის გადაადგილების ალტერნატიულ გეგმაზე მუშაობს

დედაქალაქის მერია 9 აპრილისთვის დაგეგმილ აქციებთან დაკავშირებით თბილისში ტრანსპორტის გადაადგილების ალტერნატიულ გეგმაზე მუშაობს. "იმ შემთხვევაში, თუ 9 აპრილის აქციებზე თბილისში გზის ზოგიერთი მონაკვეთი გადაიკეტება, საჭიროებიდან გამომდინარე, მოსახლეობას საქალაქო ტრანსპორტის გადაადგილების ალტერნატიულ გეგმას შევთავაზებთ," - განუცხადეს "პირველს" თბილისის მთავრობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში.

მათი თქმით, აღნიშული ალტერნატიული გეგმა მოგვიანებით მერიის ვებ-გვერდზე www.tbilisi.gov.ge დაიდება.

**პირველი**

### პატიმარი სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა

პატიმარი იოსებ ჩოხელი, რომელიც გირაოს სახით დაკისრებული თანხის, 2000 ლარის გადაუხდელობის გამო იმყოფებოდა ციხეში, თბილისის საქალაქო სასამართლომ დარბაზიდან გაათავისუფლა.

როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოში აცხადებენ, მართლმსაჯულებამ გაითვალისწინა განსასჯელის მიერ დანაშაულის გულწრფელი აღიარება და იგი პატიმრობიდან სასამართლოს სხდომის დარბაზიდან გათავისუფლდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 3 აპრილის განაჩენით, იოსებ ჩოხელი დამნაშავედ ცნეს წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენისათვის და ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჩოხელის მიმართ დანიშნული სასჯელი პირობით არ იქნა გამოყენებული და მას გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა ერთი წელი. მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

**მედიანიუსი**

### მაგდა ანიკაშვილი ადამიანის უფლებათა დარღვევების ფაქტების იგნორირებას საშიშს უწოდებს

ფრაქცია ქრისტიან-დემოკრატების, წევრი მაგდა ანიკაშვილი საშიშს უწოდებს ადამიანის უფლებათა დარღვევების ფაქტების იგნორირებას.

საზოგადოებამ უკვე გამოხატა, რომ ეს ასე არაა. ხელისუფლების ასეთი მიდგომა ძალიან საშიშია. ხოლო, რაც შეეხება სოციალურ პრობლემებს ხელისუფლება ამაზე მხოლოდ საუბრობს და არ აგვარებს," - აღნიშნა ანიკაშვილმა.

დეპუტატმა დაგმო საზოგადოებრივ ტელევიზიასთან მომხდარი ინციდენტი პატრულსა და აქციის მონაწილეთა შორის და ხელისუფლება ამ ფაქტის იგნორირებაში დაადანაშაულა.

ანიკაშვილის განცხადებას გამოეხმაურა საპარლამენტო უმრავლესობის წევრი პალიკო კუბლაშვილი, რომელმაც მიუღებლად მიიჩნია მსგავსი შენიშვნა და აღნიშნა, რომ საზოგადოების სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად უკანასკნელი 3 თვის მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა. კუბლაშვილის მტკიცებით, მომხდარი ინციდენტი რეაგირების გარეშე არ დარჩება.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### გურჯაანის პოლიციას ახალი უფროსი ჰყავს

შს გურჯაანის სამმართველოს ახალი უფროსი ჰყავს. ამ თანამდებობაზე რუსთავის კრიმინალური პოლიციის ყოფილი ხელმძღვანელი ლევან ბიწკინაშვილი დაინიშნა.

გურჯაანის პოლიციის უფროსის თანამდებობა ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც სოსო მარტაშვილი რეგიონული ჟურნალისტების სიტყვიერი შეურაცხყოფისა და მუქარების გამო თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### აფხაზური მილიციის თანამშრომელმა გალის რაიონის მცხოვრები დაჭრა

გალის რაიონის სოფელ ლეკუხონაში აფხაზური მილიციის თანამშრომელმა ვაჟა ლეჟავა დაჭრა. შემთხვევა საგუშაგოზე მოხდა. ოკუპანტებმა ლეჟავას ოჯახს საკვები პროდუქტების მიტანა მოთხოვეს. დაგვიანებამ შელაპარაკება გამოიწვია, რასაც ლეჟავას მისამართით სროლა მოჰყვა. ლეჟავა ბარძაყის არეშია დაჭრილი.

წუხელვე სამხედრო კატარღამ, რომელიც საქართველოს ტერიტორიულ წყლებში სოფელ ფიჩორის მხრიდან შემოვიდა განმუხურში ქართული საგუშაგოს მიმართულებით გრადის ტიპის სამი ყუმბარა ისროლა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### ლევან ვეფხვაძე საქმის გამოძიებას ითხოვს

"ქრისტიან-დემოკრატების" წარმომდგენელი ლევან ვეფხვაძე ჟურნალისტებზე ფიზიკური ზეწოლის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ითხოვს.

მან საზოგადოებრივი მაუწყებლის წინ გაზეთ "ვერსიის" ჟურნალისტებზე, ანი ხავთასსა და ნინო კომახიძეზე განხორციელებული ფიზიკური ზეწოლის ფაქტი გააპროტესტა.

მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საპატრულო პოლიციამ ამ ადამიანების პროფესიის შესახებ იცოდა, მათ მაინც მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა და ერთ-ერთ მათგანს მანქანაშიც კი "ტენიდნენ".

ვეფხვაძე აცხადებს, რომ ამ ფაქტზე საქმე მინიმუმ ორი მუხლით მაინც უნდა აღიძრას - ჟურნალისტის საქმიანობის ხელისშეშლისა და უფლებამოსილების გადაჭარბებისთვის.

"ამ ფაქტისთვის აუცილებლად უნდა დაისაჯოს ვინმე, რადგან საქართველოში ჟურნალისტების ფიზიკური შეურაცყოფის ფაქტები აღარ განმეორდეს," - მოითხოვს ვეფხვაძე.

ვეფხვაძეს ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი გამოეხმაურა და განაცხადა, რომ "დეტალები აუცილებლად გაირკვევა".

**ჯი-ეიჩ-ენი**

### კადიროვმა ბერეზოვსკი ადამიანების გატაცებაში დაადანაშაულა

ჩეჩნეთის პრეზიდენტის რამზან კადიროვის განცხადებით, ბიზნესმენ ბორის ბერეზოვსკი ჩეჩნეთში ადამიანების გატაცებას აფინანსებდა.

როგორც კადიროვმა "რასიისკაია გაზეტას" განუცხადა, ბერეზოვსკიმ, როდესაც მას პრეზიდენტ ელცინის დროს რუსეთის უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობა ეკავა, მისი თანდასწრებით საველე მეთაურებს რადუევსა და ბასაევს ადამიანების გატაცება შესთავაზა, რომელთაც ბერეზოვსკი გამოისყიდიდა და ამით რეკლამას გაიკეთებდა.

კადიროვის მტკიცებით, თუ რადუევისა და ბასაევის გარდა სხვა საველე მეთაური იტაცებდა ადამიანებს, ბერეზოვსკი მათ გამოსასყიდს არ უხდიდა.

"რასიისკაია გაზეტასთან" ინტერვიუში კადიროვმა ისიც აღნიშნა, რომ ჩეჩნეთს სუვერენიტეტი არ სჭირდება.

ჩეჩნეთის პრეზიდენტის თქმით, რომ არა პუტინი, ჩეჩნეთი არ იარსებებდა. კადიროვის განცხადებით, პუტინი მისთვის ყველაზე წმიდა ადამიანად დარჩება და მნიშვნელობა არ აქვს, თუ ვინ იქნება ის - დურგალი თუ კომბაინის მძღოლი.

**მედიანიუსი**

# დეპუტატი 13 პატიმრის გათავისუფლებას ითხოვს

*პარლამენტარ ჯონდი ბაღათურიას განცხადებით, თუ ხელისუფლებას დიალოგი მართლაც სურს, მაშინ საუბარი უნდა დაიწყოს პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლებაზე.*

ჯონდი ბაღათურიამ პარლამენტს 13 პატიმრის სია წარუდგინა და აღდგომის დღესასწაულისთვის მათი გათავისუფლება მოითხოვა. სიაში არიან: ნორა კვიციანი, მაია თოფურია, თემურ ჟორჟოლიანი, ვახტანგ ტალახაძე, ზაზა დავითაია, რევაზ ბულია, გიორგი მეტრეველი, იაკობ კვინიკაძე, რამაზ სამნიძე, ვარლამ გალდავა, კახა ქანთარია, გურამ პაპუკაშვილი, გიორგი ახობაძე. დეპუტატის თქმით, რამდენიმე გვარი ზუსტდება.

რიგი ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციების მიერ პოლიტიკურ დევნილად გამოცხადებულ მერაბ რატიშვილის ადვოკატებმა კი, სისხლის სამართლის საქმეში არსებული დარღვევებისა და მტკიცებულებითი ბაზის არარსებობის გამო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრეს.

მერაბ რატიშვილი ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვისთვის დააკავეს და 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

**"სისხლის სამართლის საქმეში არ არსებობდა უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც დაადასტურებდა მერაბ რატიშვილის მიერ ხსენებული დანაშაულის ჩადენის ფაქტს. ისეთი საგამოძიებო მოქმედება, როგორიცაა ჩხრეკა-ამოღება, რომელიც წარმოადგენს მსგავსი კატეგორიის საქმეთა პოსტულატს, სისხლის სამართლის მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის უხეში დარღვევით ჩატარდა,"** - აცხადებენ რატიშვილის ადვოკატები.

მათივე განმარტებით, ამ პოზიციას სისხლის სამართლის საქმის მასალების გარდა, საქართველოს სახალხო დამცველის 2008 წლის პირველი ნახევრის ანგარიში, ადამიანის უფლებათა ცენტრის 2009 წლის ანგარიში, საქართველოში მოქმედი თითქმის ყველა არასამთავრობო ორგანიზაციის დასკვნა-ანგარიშები და, რაც მთავარია, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2008 წლის ანგარიშიც ადასტურებს.

**"თითოეულ ზემოხსენებულ დოკუმენტში მერაბ რატიშვილი ნახსენებია პოლიტიკური ნიშნით დევნილის სტატუსით,"** - განაცხადეს მერაბ რატიშვილის ადვოკატებმა.

**საკუთარი ინფორმაცია**

# პოლიტკოვსკაიას მკვლელობის საქმეში გამართლებული ხელახლა დააკავეს

*ნოვაია გაზეტას ჟურნალისტის ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის ორგანიზებაში ბრალდებული და ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტით გამართლებული სერგეი ხაჯიყურბანოვი სამართალდამცველებმა ხელახლა დააპატიმრეს. სერგეი ხაჯიყურბანოვი ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობაში კიდევ ორ ბრალებულთან - ძმებ იბრაგიმ და ჯაბრაილ მახმუდოვებთან ერთად, სასამართლო დარბაზიდან დაახლოებით ორი თვის წინ გათავისუფლდა. ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის საქმე მოსამართლემ პროკურატურას უკან დაუბრუნა ხელახლა გამოსაძიებლად.*



*სერგეი ხაჯიყურბანოვი სამართალდამცველებმა ხელახლა დააპატიმრეს.*

სერგეი ხაჯიყურბანოვის ხელახლა დაპატიმრების სანქცია სასამართლომ რამდენიმე დღის წინ გასცა. რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ თანამშრომელს გამოძიება ამჯერად ფულის გამოძალვას ედავება.

საუბარია 350 ათას დოლარზე, რომელსაც, გამოძიების მტკიცებით, სერგეი ხაჯიყურბანოვი ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის საქმეში ერთ-ერთ მთავარ მოწმეს, სამართალდამცველ დიმიტრი პავლუჩენკოს სძალავდა.

სერგეი ხაჯიყურბანოვს გამოძალვაში რომ ადანაშაულებდნენ, ჯერ კიდევ 2008 წლის დეკემბერში, ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის საქმის სასამართლო გამოძიების დაწყებისთანავე გახდა ცნობილი. ხაჯიყურბანოვის ინტერესების დამცველი ანდრეი ლიტვინი მაშინ აცხადებდა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის ახალ ბრალდებას გამოძიება იმ შემთხვევაში გამოიყენებდა, თუკი სასამართლო მას ჟურნალისტის მკვლელობის ორგანიზებაში მონაწილეობას ვერ დაუდასტურებდა. ადვოკატი ახლა ირწმუნება, რომ გამოძიება ახალ მიზეზს ეძებს მისი დაცვის ქვეშ მყოფის ციხეში გამოსამწყვდევად.

რუსული პრესა წერს, რომ შესაძლებელი გახდა ხაჯიყურბანოვისა და პავლუჩენკოს სატელეფონო ჩანაწერების მოპოვება, რომელთა საშუალებითაც ადვილად შეიძლება ასეთი დასკვნის გაკეთება - ხაჯიყურბანოვი პავლუჩენკოს ფულს კი არ სძალავდა, არამედ ვალის დაბრუნებას სთხოვდა. ეს ჩანაწერები ახლა ექსპერტიზას გადის. არის საუბარი იმაზეც, რომ, შესძლოა, პასუხისმგებლობა თავად დიმიტრი პავლუჩენკოს, სერგეი ხაჯიყურბანოვის შესახებ ცრუ ჩვენებების მიცემისთვის დაეკისროს.

როგორც ირკვევა, გამოძალვის ბრალდებით, ხაჯიყურბანოვის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე 2008 წლის აპრილში აღიძრა. ახალი ბრალდების საფუძველი დიმიტრი პავლუჩენკოს ჩვენებებია. ხაჯიყურბანოვის განცხადებით, მისმა ყოფილმა მეგობარმა სამართალდამცველებს ცრუ ჩვენებები შეგნებულად მისცა, რათა მისთვის ვალის დაბრუნებისთვის თავი აერიდებინა.

დიმიტრი პავლუჩენკო ამ დროისთვის მოწმის დაცვის პროგრამით სარგებლობს, ხაჯიყურბანოვი კი დაკავებულია. გაცვლიან თუ არა ისინი ადგილებს, დრო გვიჩვენებს, - წერს რუსული პრესა.

ძმებ იბრაგიმ და ჯაბრაილ მახმუდოვებთან ერთად სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლებულ სერგეი ხაჯიყურბანოვს მიმალვა არ უცდია და არც გამოძიებისთვის აურიდებია თავი. მის წინააღმდეგ აღძრულ ახალ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, ის საკუთარი ფეხით მიდიოდა დაკითხვებზე. პროკურატურის მოთხოვნით, სასამართლომ მისი დაპატიმრების სანქცია ასეთი მოტივით გასცა - სერგეი ხაჯიყურბანოვი არსად მუშაობს, არ აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და შესაძლოა, გამოძიებას დაემალოს.

რუსული პრესის ინფორმაციით, ხაჯიყურბანოვი მილიციელთა რიგებიდან 2003 წელს გარიცხეს. ის მაშინ დამნაშავედ ცნეს თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებაში. გამოძიების მასალებით, სერგეი ხაჯიყურბანოვმა უცხოელ ნარკომომხმარებელს ჰეროინი ჩაუდო. ამ დანაშაულისთვის მაშინ ყოფილ მილიციელს სასამართლომ ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. 2006 წელს მისი საქმის გადახედვა მოხდა და ის პატიმრობიდან გათავისუფლდა.

# "უსპენსკიმ" აფხაზეთში ბენზინი შეიტანა

გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს სანაპირო დაცვის მიერ კამბოჯის დროშის ქვეშ მცურავი რუსული გემის "უსპენსკის" დაკავების ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ გემმა აფხაზეთში ბენზინი შეიტანა.

"უსპენსკი" საქართველოს ტერიტორიული წყლების დახურულ ზონაში შევიდა.

საქართველოს სანაპირო დაცვამ გემის ბორტზე დესანტი გადასხა, რომელთაც გემის დოკუმენტაცია ამოიღეს და "უსპენსკი" 14-კაციანი ეკიპაჟით ბათუმის პორტში გადაიყვანეს.

"მედიანიუსის" ინფორმაციით, "უსპენსკის" კაპიტანმა საქართველოს სანაპირო დაცვის ოფიცრების შეცდომაში შეყვანა სცადა და მიუთითა, თითქოს გემი ხოფიდან აზოვის პორტისკენ მოძრაობდა.

სანაპირო დაცვის სამსახურისთვის ცრუ ინფორმაციის მიწოდება ცალკე სასჯელს ითვალისწინებს.

მოგვიანებით, გემის კაპიტანმა ისიც განაცხადა, რომ ხომალდი საქართველოს ტერიტორიული წყლების დახურულ ზონაში საწვავის ეკონომიის მიზნით შევიდა.

ქართულმა მხარემ აღნიშნული ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობა შვეიცარიის საელჩოს რუსეთის ინტერესების სექციას.

ბოლო პერიოდში საქართველოს სანაპირო დაცვის სამსახურმა გაამკაცრა კონტროლი იმ ხომალდებზე, რომელთაც საქართველოს ხელისუფლების ნებართვის გარეშე, რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე საწვავი ან სხვა რაიმე სახის პროდუქტი შეაქვთ.

სწორედ ამ მიზეზით, საქართველოს სანაპირო დაცვის ხომალდებმა 5 აპრილს დააკავეს თურქული სეინერი "დენფა დემეთი". თურქულმა გემმა აფხაზეთში 1 ტონა მაზუთი შეიტანა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ოპერაციების მართვის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, გატარებული ღონისძიების შედეგად, საქართველოს ტერიტორიული წყლების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლის წესის დარღვევის ფაქტზე, დააკავეს თურქეთის დროშის ქვეშ მცურავი ნავთობმზიდი ტანკერი, რომელზეც იმყოფებოდა ეკიპაჟის ათი წევრი.

ჩხრეკის შედეგად ამოღებულია ადრე გადაზიდული ტვირთის დოკუმენტაცია. მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

# ქაოსი მოლდოვაში

პირველი გვერდიდან

არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა, დაახლოებით, 60 პროცენტმა და შესაბამისად, არჩევნები ჩატარებულად მიიჩნევა. კანონით საკმარისი იქნებოდა საარჩევნო უბნებში ამომრჩეველთა 50 პროცენტის მისვლაც. ეს შედეგები, თავისუფალი 15 პროცენტის პროპორციული გადანაწილებით, კომუნისტებს საშუალებას აძლევს 101-ადგილიან პარლამენტში, სხვადასხვა გამოთვლით, 61-დან 63 მანდატამდე მიიღონ. შესაბამისად, მათ შეუძლიათ, დამოუკიდებლად დააკომპლექტონ მთავრობაც და აირჩიონ პრეზიდენტიც, რომელსაც დაპუტატთა ხმების სამი მეხუთედი ანუ 61 მანდატი სჭირდება (მოლდოვა საპარლამენტო რესპუბლიკაა და პრეზიდენტს პარლამენტი ირჩევს). ეს კომუნისტებისთვის 2005 წლის არჩევნებზე უკეთესი შედეგია, მაშინ მათ ვორონინის მეორე ვადით ასარჩევად ოპოზიციონერების გადაბირება დასჭირდათ.

არჩევნებს აკვირდებოდა რამდენიმე ათასი ადგილობრივი დამკვირვებელი, აგრეთვე ეუთო-ს და დსთ-ს სადამკვირვებლო მისიები. დსთ-ს დამკვირვებლებს, ფაქტობრივად (როგორც ეს მოსალოდნელიც იყო), შენიშვნები არ ჰქონიათ და არჩევნები დემოკრატიულად შეაფასეს. რაიმე განსაკუთრებული პროტესტი არც ევროპელებს გამოუთქვამთ, რომლებიც, როგორც წესი, მხოლოდ პროცესს აკვირდებიან. ევროკავშირის კომისარმა საგარეო ურთიერთობებისა და კეთილმეზობლობის საკითხებში ბენიტა ფერერო ვალდნერმა განაცხადა, რომ არჩევნებმა ჩაიარა მშვიდ, წყნარ და მთლიანობაში პლურალისტურ ატმოსფეროში. თუმცა იქვე მიანიშნა ეუთო-ს მისიის წინასწარ დასკვნაში გამოთქმულ შენიშვნებზე: მომავალში მოლდოვას სერიოზული მუშაობა მოუწევს, მათ შორის საკანონმდებლო დონეზე, რათა გაათავისუფლოს საარჩევნო პროცესი გაუმართლებელი ადმინისტრაციული ჩარევისგან, შექმნას აზრის თავისუფალი გამოთქმისა და ინფორმაციის მოპოვების გარანტია, აგრეთვე აამაღლოს საზოგადოების ნდობა ამ პროცესის მიმართ...



AFP ' 2009

### პროტესტი

იმავე 6 აპრილის საღამოს კიშინიოვში სტიქიური საპროტესტო მსვლელობა და მიტინგი გაიმართა. ხალხი არჩევნების შედეგებს აპროტესტებდა, გარკვეული ხნით გადაიკეტა ცენტრალური ქუჩა და მთავრობის შენობის წინ მდებარე მოედანი. ძირითადი ლოზუნგები იყო: "ძირს კომუნიზმი", "ძირს ფალსიფიკაცია", "გაუმარჯოს თავისუფლებას". ოპოზიციის ლიდერები მიტინგს მოგვიანებით შეუერთდნენ. მიტინგზე მოითხოვეს ხმების ხელახალი გადათვლა, არჩევნების შედეგების გაუქმება და ხელახალი ხმის მიცემის დანიშვნა. ოპოზიციური პარტიები აცხადებდნენ, რომ კომუნისტებმა გააყალბეს არჩევნები და ოპოზიციას ხმების, სულ ცოტა, 10 პროცენტი მოპარეს. გვიან საღამოს მიტინგი ექსცესების გარეშე დამთავრდა და ხალხი დაიშალა, ოღონდ მეორე დღისთვის ანუ 7 აპრილისთვის მიტინგი კვლავ დაინიშნა.

### პროტესტიდან ქაოსამდე

გუშინ ხალხი მთავრობის შენობის წინ, დიდი ეროვნული კრების მოედანზე შეიკრიბა და მათი რაოდენობა ჯერ კიდევ დილას 7 ათასი იყო. ხალხის რაოდენობა თანდათან მატულობდა და მალე 20 ათასს გადააჭარბა. აქციას დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებიც შეუერთდნენ. მალე საპროტესტო გამოსვლა ოპოზიციონერი ლიდერების კონტროლიდან გამოვიდა და ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა სამართალდამცავებთან, რომლებიც სამთავრობო შენობებს იცავდნენ. პოლიციამ მანიფესტანტების წინააღმდეგ წყლის ჭავლი და ცრემლსადენი გაზი გამოიყენა, დემონსტრანტებმა სამართალდამცავებს ქვები და ბოთლები დაუშინეს. პოლიციამ შეტევას ვერ გაუძლო და აქციის მონაწილეებმა პარლამენტის შენობაში შეჭრა მოახერხეს, სადაც ქვედა სართულებზე შუშები ჩაამტვრიეს, ავეჯი გარეთ გამოიტანეს და დაწვეს. ცეცხლი მოედო პარლამენტის 10-სართულიანი შენობის ქვედა სართულებსაც, დაიწვა პოლიციის რამდენიმე მანქანაც. დემონსტრანტებმა პარლამენტის დაცვა და პოლიციელები შენობიდან ცოცხალ დერეფანში გამოატარეს. ხანძარსაწინააღმდეგო მანქანები შენობასთან ცეცხლის ჩასაქრობად ხალხმრავლობის გამო ადვილად ვერ მივიდნენ. მოგვიანებით აქციის მონაწილეებმა პრეზიდენტის სასახლის დაცვის გარღვევა და მის ეზოში შეჭრაც მოახერხეს, პოლიციამ შენობის შიგნით გადაინაცვლა. იქაც ჩაილეწა ფანჯრები, ზოგი მონაცემებით დემონსტრანტებმა მცირე ხნით პრეზიდენტის სასახლეც დაიკავეს, მაგრამ ეს ინფორმაცია სხვა წყაროებით არ დასტურდება. ცნობილია, რომ პრეზიდენტის სასახლის შესასვლელში მომიტინგეებმა რუმინეთის დროშა, ხოლო შენობის თავზე ევროკავშირის დროშა დაკიდეს. დღის განმავლობაში უცნობი იყო პრეზიდენტ ვორონინის ადგილსამყოფელი, რომელიც ამ დღეებში უნდა გადადგეს. მას აღარ აქვს მესამე ვადით არჩევის უფლება, მაგრამ პოლიტიკაში დარჩენას აპირებს.

შეტაკებებში, სხვადასხვა მონაცემებით, 20-დან 30-კაცამდე დაშავდა, როგორც პოლიციის, ასევე დემონსტრანტების მხრიდან. რამდენიმე მათგანი მძიმედ არის დაჭრილი. ზოგი მონაცემით დაშავებული გაცილებით მეტია. დღის განმავლობაში ვრცელდებოდა ინფორმაცია 2-5 კაცის დაღუპვის შესახებ, საღამოსკენ თითქოს დადასტურდა ერთი გოგონას დაღუპვის ფაქტი, შინაგან საქმეთა სამინისტროს გაურკვეველ წყაროზე დაყრდნობით.

მოგვიანებით, "როიტერის" ცნობით, ხელისუფლებასა და დემონსტრანტებს შორის ზავის "გაფორმება" მოხერხდა. მოლაპარაკებების საწყის ეტაპზე ხელისუფლება 10 დღის განმავლობაში ხმების გადათვლას დათანხმდა, თუმცა მოგვიანებით მოლაპარაკება ჩაიშალა. ოპოზიცია ახალი არჩევნების დანიშვნას ითხოვს. ისინი იმუქრებიან, რომ აქციები ხელახალი არჩევნების დანიშვნამდე გაგრძელდება. ალიანს "ჩვენი მოლდოვას" ლიდერი სერაფიმ ურეკიანუ, ლიბერალური პარტიის ლიდერები დორინ კირტოაკე (კიშნიოვის მერი) და მიხაი გიმპუ, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ვლადიმირ ფილატი ირწმუნებიან, რომ ახალ პატიოსან არჩევნებში ისინი გაიმარჯვებენ. ბოლო ორი დასახელებული პარტია მკვეთრად პროდასავლურია. ისინი მოლდოვას რუმინეთთან და ევროკავშირთან, ასევე ნატო-სთან დაახლოებას ემხრობიან. ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ გაყალბებებისა და მმართველი პარტიის მხრიდან მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შესახებ კონკრეტული ფაქტები აქვთ. კერძოდ ლაპარაკია იმაზე, რომ არჩევნებში "მონაწილეობდნენ" "მკვდარი სულები" და უცხოეთში მყოფი მოქალაქეები. ოპოზიციის ლიდერები ამტკიცებენ, რომ შენობების დარბევასთან კავშირი არ აქვთ, მაგრამ ხელისუფლება სხვანაირად ფიქრობს და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაზე საუბრობს.

ევროკავშირის უმაღლესმა კომისარმა საგარეო პოლიტიკის საკითხებში ხავიერ სოლანამ აქციის მონაწილეებს მოუწოდა, თავი შეიკავონ ძალადობისაგან, ხოლო ხელისუფლებას - ხელი არ შეუშალოს მშვიდობიან მანიფესტაციებს.


**მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე**
**საქართველო**
**რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი**

კრედიტის ნომერი: N4516 GE
დაბა ლენტეხის ქუჩების რეაბილიტაციის ქვეპროექტი
RMIDP/Lentekhi/CW/NCB/19-2009

წინამდებარე მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე მოჰყვება ზოგად სატენდერო განცხადებას მოცემული პროექტისათვის, რომელიც გამოქვეყნდა Development Business-ის N729 ნომერში 2008 წლის 30 ივნისს.

საქართველომ მიიღო კრედიტი საერთაშორისო განვითარების ასოციაციისაგან (IDA) რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და განზრახული აქვს ამ კრედიტის სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდებისთვის: დაბა ლენტეხის ქუჩების რეაბილიტაცია (კონტრაქტის # RMIDP/Lentekhi/CW/NCB/19-2009).

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ და კვალიფიცირებულ კონკურსის მონაწილეებს დაბა ლენტეხის ქუჩების რეაბლიტაციის სამუშაოების ჩასატარებლად.

კაპიტალურ შეკეთებას ექვემდებარება დაბა ლენტეხის 10 ქუჩა: სტალინის, ახალგაზრდული, ხერგიანის, დ. აღმაშენებლის, სვანეთის, გოგებაშვილის, კოსტავას, 9 აპრილის, ჭავჭავაძის ქუჩებისა და გამგეობის წინა მოედნის რეაბილიტაციას. სამუშაოები მოიცავს გზის საფარის აღდგენასა და ხელოვნური ნაგებობების შეკეთებას.

**ძირითად სამუშაოთა მოცულობები:**

1. ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი 3591 კუბ.მ;
2. ფრაქციული ღორღი 1825 კუბ.მ;
3. თხევადი ბიტუმი 11 ტ;
4. მსხვილმარცვლოვანი ასფალტობეტონის ფენა 3 985 კვ.მ;
5. წვრილმარცვლოვანი ასფალტობეტონის ფენა 24 673 კვ.მ;
6. ქვიშოვანი ასფალტობეტონის ნარევი 6 850 კვ.მ;
7. ბეტონის ბორდიური 2396 გრძ.მ;
8. 2 ც. ლითონის მილის მოწყობა.

საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება მსოფლიო ბანკის მიერ 2004 წლის მაისში გამოცემული და 2006 წლის ოქტომბერში კორექტირებული „რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებითა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებით განხორციელებული შესყიდვების სახელმძღვანელო დებულებაში" აღწერილი საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესაბამისად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს, სახელმძღვანელო დებულებაში განსაზღვრული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება შეუძლიათ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00-დან 18:00 საათამდე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში ქვემოთ მოცემულ მისამართზე, ელ. მისამართი: procurement@mdf.org.ge; აღმასრულებელი დირექტორი - ბ-ნი ლაშა გოცირიძე.

დაინტერესებულ კონსკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტი ქართულ ენაზე ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის არაანაზღაურებადი 200 ლარის (ან თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის) გადახდის შემდეგ, რასაც დაემატება კურიერის მომსახურების ხარჯები (კურიერის საჭიროების შემთხვევაში). გადახდა ხორციელდება თანხის გადარიცხვით საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შემდეგ საბანკო ანაგარიშზე:

**მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

**მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი, საქართველო**

**უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)**

**ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)**

**SWIFT Code: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company Americas, NY**

**SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104**

საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს შემდეგს:

კონტრაქტის მისაღებად კონკურსის მონაწილემ უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი კრიტერიუმები და წარმოადგინოს ქვემოთ მოცემული მინიმალური მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტები:

1. კონკურსანტის საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს არანაკლებ 5.0 მილიონი ლარის ექვივალენტი;
2. კონტრაქტის განხორციელებისათვის საჭირო ლიკვიდური აქტივების ან საბრუნავი კაპიტალის მინიმალური ოდენობა, უნდა იყოს 1.1 მილიონი ლარი.

საკონკურსო წინადადები ქვემოთ მოცემულ მისამართზე წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 2009 წლის 6 მაისის 15:00 საათისა. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება.

საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს 42 000 (ორმოცდაორი ათასი) ლარის ოდენობის ან კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის ოდენობის საკონკურსო წინადადების გარანტია.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმ კონკურსის მონაწილეთა წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირის თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ პირად დასწრებას ქვემოთ მოცემულ მისამართზე 2009 წლის 6 მაისის 15:00 საათზე.

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**ბ-ნი ლაშა გოცირიძე, აღმასრულებელი დირექტორი**

მისამართი: ოთახი 413, მეოთხე სართული, დ. აღმაშენებლის გამზირი 150, 0112, თბილისი, საქართველო,
ტელ: +995-32-306189
ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

# იტალიის ტრაგედია


AFP ' 2009

პირველი გვერდიდან

"აბრუცოს მიწისძვრა" უკანასკნელი 30 წლის მანძილზე იტალიისთვის ყველაზე დამანგრეველი აღმოჩნდა. ლაკვილადან 90 კილომეტრში მდებარე რომმა მიწისძვრა არანაკლებ იგრძნო, თუმცა დედაქალაქი ნგრევასა და მსხვერპლს გადაურჩა.

აღსანიშნავია, რომ მოსალოდნელ მიწისძვრაზე აბრუცოში ჯერ კიდევ იანვრის დასაწყისში საუბრობდნენ. ლაკვილასთან ახლოს მდებარე "გრან შასსო ნაციონალ ლაბორატორ"-ის მკვლევარი ჯამპაოლო ჯულიანი ადგილობრივ მოსახლეობას ევაკუაციას ურჩევდა. მან ინტერნეტში ვიდეომოწოდებაც გაავრცელა, სადაც მოახლოებულ საფრთხეზე საუბრობდა. საპასუხოდ ადგილობრივმა მთავრობამ, პანიკის გავრცელების მოტივით, იგი პოლიციაში დაასმინა. შედეგად ჯულიანის ინტერნეტში მის მიერ გავრცელებული ყველა წერილის თუ ვიდეოს წაშლა მოსთხოვეს. დღეს, როცა მისი ვარაუდი გამართლდა, იგივე საჯარო მოხელეები ამ ფაქტს დამთხვევას უწოდებენ.

ამ დღეებში სილვიო ბერლუსკონიც აწყდებოდა ხალხის უკმაყოფილებას და აგრესიას იმის გამო, თუ რატომ ვერ მოახერხა მთავრობამ მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილება და მოსახლეობის დროული ევაკუაცია. "მომხდარს სხვას ვერაფერს ვუწოდებ, თუ არა სკანდალს. ბოლო სამი თვის მანძილზე განუწყვეტლივ ვრცელდებოდა ხმები მოსალოდნელი მიწისძვრის შესახებ, თუმცა მთავრობა ამას უარყოფდა. მათ კარგად იცოდნენ, რაც მოხდებოდა..." - ამბობს ლაკვილას მოსახლე მარია ფრანჩესკო.

თავის მხრივ, ჯამპაოლო ჯულიანი ხელისუფლებისგან ოფიციალურ ბოდიშს ითხოვს და აცხადებს, რომ მოსალოდნელი მიწისძვრის წინასწარ დადგენა სრულიადაც არ არის შეუძლებელი. "უკვე ათი წელია, ჩვენი ლაბორატორიის დეტექტორიდან 150 კილომეტრის რადიუსში მოსალოდნელი ბუნებრივი მოვლენების წინასწარმეტყველება შეგვიძლია. მიწისძვრამდე სამი დღით ადრე რადონმა დასაშვებ ზღვარს გადააჭარბა, რაც მოსალოდნელ ძლიერ მიწისძვრაზე მეტყველებდა. მოსალოდნელი სტიქიის აღბეჭდვა კლასიკურ ტექნოლოგიებსაც კი შეეძლოთ..."

აბრუცოს რეგიონის საზოგადოებრივი დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელ გვიდო ბერტოლასოს განცხადებით, მან 31 მარტს ქვეყნის საუკეთესო მეცნიერები შეკრიბა და განხილვის შედეგადაც დადგინდა, რომ "მოსალოდნელი მიწისძვრის შესახებ არანაირი სანდო მონაცემები არ არსებობს და ყველაფერი ამ ფაქტის არარეალურობაზე მეტყველებს." ჯულიანის ბრალდებებს იტალიის გეოფიზიკის ეროვნული ინსტიტუტის ხელმძღვანელი ენცო ბოსკიც უარყოფს. იგი მიწისძვრების წინასწარმეტყველების შეუძლებლობაზე ამახვილებს ყურადღებას.

ხსენებული ბრალდებების საპასუხოდ, სილვიო ბერლუსკონიმ მეცნიერული არგუმენტების არარსებობაზე ისაუბრა, რის გამოც მთავრობას მოსალოდნელი სტიქიის წინასწარმეტყველება და შესაბამისად საჭირო ზომების მიღება არ შეეძლო. საინტერესოა, რომ ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით, მომხდარი ტრაგედია ბერლუსკონის თავისი მთავრობის სიცოცხლისუნარიანობის დამტკიცებასა და რეიტინგის ზრდაში წაადგება.

# თურქულ-ამერიკული "გადატვირთვა"

მარიკა იაშვილი

ბარაკ ობამას ევროპული ტურნე დასრულდა. ბოლო ქვეყანა, რომელიც აშშ-ს პრეზიდენტმა მოინახულა, თურქეთი იყო. თავისი ვიზიტით ობამამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ სურს, თურქეთი დასავლეთსა და ისლამურ სამყაროს შორის შუამავლად აქციოს.

ორი დღის განმავლობაში აშშ-ს პრეზიდენტმა ანკარასთან ჯორჯ ბუშის მიერ გაფუჭებული ურთიერთობების გამოსწორება მოახერხა. თუმცა თურქეთსა და სომხეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების პერსპექტივამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოლაპრაკება ჩაშალა: სტამბულის ფორმუზე ჩასვლაზე უარი განაცხადა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა, რის გამოც ნაბუკოს გაზსადენის შესახებ დიალოგი აღარ შედგება.

ობამას თურქეთში ჩასვლა შეიძლება მის პირველ მნიშვნელოვან საზღვარგარეთულ ვიზიტადაც იქნას მიჩნეული. ევროპული ტურნეს ფარგლებში, ლონდონში "ოცეულის ჯგუფის" სამიტზე, სტრასბურგსა და კელში ნატო-ს საიუბილეო სამიტზე და პრაღაში ევროკავშირის სამიტზე დასწრება სავალდებულო იყო და მათი გადადების უფლება, პროტოკოლის მიხედვით, ობამას არ ჰქონდა. აი, თურქეთის მონახულება კი პრეზიდენტის პირად არჩევანს წარმოადგენდა.

ანკარასა და ვაშინგტონის ურთიერთობის გაუარესების ათვლის წერტილად იქცა თურქეთის პარლამენტის 2003 წლის გადაწყვეტილება ერაყში ოპერაციების საწარმოებლად თურქეთის ტერიტორიის გამოყენების აკრძალვის შესახებ. ამჯერად ობამა, სავარაუდოდ, მიაღწევს თურქეთის თანხმობის მიღებას ერაყიდან ჯარების გამოსაყვანად ქვეყნის სამხედრო ბაზების გამოყენებაზე.

თურქეთთან მოლაპარაკებებში წარმატების მიღწევის მნიშვნელოვან გარანტად აშშ-ს პრეზიდენტის მიერ პრაღაში გაკეთებული განცხადება იქცა: მან ევროკავშირის წევრ ქვეყნებს მოუწოდა, თავიანთ რიგებში თურქეთი მალე გააწევრიანონ.

თურქეთის ევროინტეგრაციის ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგე საფრანგეთია. ნიკოლა სარკოზიმ ობამას უპასუხა, რომ მსგავსი გადაწყვეტილებები არა ვაშინგტონში, არამედ ევროპაში უნდა მიიღონ. მიუხედავად იმისა, რომ ობამას დემარშს, სავარაუდოდ, არავითარი შედეგი არ მოჰყვება, ამერიკელმა პრეზიდენტმა თურქების სიმპათია ადვილად მოიპოვა.

თურქეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ობამას საზეიმო სათაურებით შეეგებნენ: "ბრავო, ობამა!" აღფრთოვანებამ თურქებს ისიც კი დაავიწყა, რომ ობამამ საარჩევნო კამპანიის დროს ამერიკელ სომეხთა ხმების მოპოვების მიზნით პირობა დადო, რომ ოსმანთა იმპერიის მიერ სომხების გენოციდს აღიარებდა.

ანკარაში ჩასვლის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ობამამ განაცხადა, რომ ამ ფაქტს შეფასებას არ მისცემს, რადგან არ სურს თურქეთისა და სომხეთის მოლაპარაკებებისთვის ხელის შეშლა და უახლოეს მომავალში ამ სფეროში სერიოზულ წინსვლას ელის.

მასმედიის ცნობით, თურქეთსა და სომხეთს შორის საზღვრის გახსნა და დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა შესაძლოა, უკვე ამ კვირაში მოხდეს. სწორედ ეს არის მიზეზი, რის გამოც ფორუმს, სახელწოდებით "ცივილიზაციის ალიანსი", არ დაესწრო ილჰამ ალიევი. თურქეთის ხელისუფლებამ ის სტამბულში არაერთხელ მიიწვია, მას აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმაც კი დაურეკა და მოუწოდა, ობამასთან მოსალაპარაკებლად ჩასულიყო. თუმცა ალიევმა განაცხადა, რომ თურქეთ-სომხეთის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის წინ თურქეთში ჩასვლა უადგილო იქნებოდა. სწორედ ალიევის არჩასვლის გამო თურქეთში ობამას ვიზიტის ფარგლებში არ განუხილავთ ნაბუკო-ს გაზსადენის თემა, რომელიც შეიძლებოდა მთავარ თემადაც ქცეულიყო. მხარეებს მიაჩნიათ, რომ აზერბაიჯანის დაუსწრებლად ამ საკითხის განხილვას აზრი არა აქვს, ამიტომ მასზე ყურადღება არ გამახვილებულა.

ანკარაში ვიზიტი ობამამ თანამედროვე თურქეთის დამფუძნებელ მუსტაფა ქემალ ათათურქის მავზოლეუმის მონახულებით დაიწყო. თუმცა, როგორც ობამას, ისე თურქეთის ხელისუფლებას შესანიშნავად ესმით, რომ თურქეთის რესპუბლიკა მოლაპარაკებებს არა თავისი, არამედ მთელი ისლამური სამყაროს სახელით აწარმოებს. ბოლო თვეების განმავლობაში ოფიციალური სტამბული ცდილობს, მუსულმანურ სამყაროსა და აშშ-ს შორის შუამავლის როლი გაიმყაროს. ამის შესანიშნავი მაგალითი იყო თურქეთის წინააღმდეგობა ნატო-ს გენერალური მდივნის თანამდებობაზე დანიის პრემიერ-მინისტრ ანდრეს ფოგ რასმუსენის დანიშვნაზე. თურქეთის უკმაყოფილების მიზეზი ის გახდა, რომ სამი წლის წინათ რასმუსენმა უარი თქვა, ბოდიში მოეხადა დანიურ გაზეთში მუჰამედ წინასწარმეტყველის კარიკატურების დაბეჭდვის გამო.

თავის მხრივ ობამამ თურქეთის პარლამენტში გამოსვლა იმისთვის გამოიყენა, რომ მთელი ისლამური სამყაროსთვის კიდევ ერთხელ მიემართა. მან განაცხადა, რომ აშშ არასდროს ყოფილა საბრძოლო მდგომარეობაში ისლამთან და უფრო მეტიც, მუდმივად ცდილობს, მათთან თანამშრომლობას და ურთიერთპატივისცემას მიაღწიოს. ობამას გამოსვლა "ალ-ჯაზირასა" და "ალ-არაბიას" პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა.


FREE INDUSTRIAL ZONE
RAKIA GEORGIA
No limits
Absolute freedom for your business
Easy business set up
First free industrial zone in Caucasus
Strategic location beside the Poti Sea Port
No tax on profit for foreign companies
POTI FIZ
www.rakiageorgia-freezone.com
RAKIA Georgia FIZ LLC (Poti Head Office)
47 Agmashenebeli str, 4400, Poti, Georgia
Tel: (995 393) 25 25 4/5/6
Fax: (995 393) 25 25 1/9
RAKIA Georgia FIZ LLC (Tbilisi Representative)
20 Telavi str, 0103, Tbilisi, Georgia
Tel: (995 32) 27 77 33
Fax: (995 32) 27 73 73
E-mail: info@rakiageorgia-freezone.com
www.rakiageorgia-freezone.com

# მაყურებლისთვის გაზიარებული სიხარული დოკუმენტური კინოს ფორმატში

ბელა ჩეკურიშვილი



რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე ორშაბათის შეხვედრები ტრადიციად იქცა და დაინეტრესებულ საზოგადოებას თეატრისა და კინოს მოღვაწეებთან პირდაპირი დიალოგის საშუალება მიეცა. ჟურნალისტებიც დაინტერესებულთა რიცხვში ვართ, მით უფრო, როცა საქმე ხოლოვნებას ეხება.

ხელოვნებას აქვს ძალა, სიხარული მოგვანიჭოს და მნიშვნელობა არ აქვს, რა თემატიკაზეა შექმნილი ნაწარმოები. თუმცა, არსებობს თემები, თავისთავად რომ იწვევენ ჩვენში დღესასწაულის შეგრძნებას.

მერაბ კოკოჩაშვილმა თავის ახალ დოკუმენტურ ფილმს სახლი სიხარულისა" უწოდა და იმ დღესასწაულის შესახებ მოგვიყვა, რეჟისორმა ვახტანგ ტაბლიაშვილმა ქეთო და კოტეს" გადაღებით ქართველ ხალხს რომ აჩუქა.

ფილმი სახლის სიხარულისა" პროდიუსერ არჩილ გელოვანის იდეით შეიქმნა, რომელსაც სურს, გააკეთოს დოკუმენტური ფილმები ქართული კინოს შესახებ და გადაწყვიტა, ეს პროექტი ქეთო და კოტეთი" დაეწყო. მერაბ კოკოჩაშვილის წინაშე კი ასეთი ამოცანა იდგა: როგორ გადაეღო დოკუმენტური კინოს ფორმატში ფილმი ისე, რომ არ დაკარგულიყო ის განწყობა და სიხარული, რასაც მაყურებელი ქეთო და კოტეს" ნახვისას განიცდის. ამისათვის რეჟისრმა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის გაცოცხლება გადაწყვიტა, ამბის მთხრობელად კი რამაზ ჩხიკვაძე შემოიყვანა, რომლის აკოფ დარდიმანდიანცი მაყურებელს ახსოვს სტურუას სპექტაკლიდან ხანუმა" და მისი დანახვისას ქვეცნობიერად ქეთო და კოტეც" ახსენდება.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის თბილისში კი თეატრალური ბუმი იდგა და მოყვარულთა თითო დასი ყველა ეზოში თამაშობდა. კოკოჩაშვილმა არაფერი არ დაიშურა, რომ გვეგრძნო მაშინდელი თბილისის კოლორიტი შუაბაზრითა და აბანოებით, ყარაჩოღელებით, ფანტიშვილებითა და კოტრიაშვილებით, გართობით, ცეკვებითა და სიმღერებით, ისევე როგორც თავის დროზე ვახტანგ ტაბლიაშვილმა, რომელსაც ომში გამარჯვებული ხალხისათვის ლაღი ცხოვრების მაჩვენებელი ფილმი უნდა გადაეღო.

ქეთო და კოტე" 1948 წელს გამოვიდა. მისი დაკვეთა თვით ქვეყნის პირველი პირისგან, იოსებ სტალინისგან მოდიოდა, რომელმაც მიხეილ ჭიაურელს უთხრა, რომ დასრულდა კინოში ქვეყნისათვის თავდადებული გმირების ჩვენება, ახლა ხალხმა ტკბილი ცხოვრებით უნდა იცხოვროსო და მისივე გადაწყვეტილებით, ფილმად უნდა ექციათ ვიქტორ დოლიძის ოპერა ქეთო და კოტე".

მერაბ კოკოჩაშვილი გვიყვება, რომ ვახტანგ ტაბლიაშვილი მაშინ მარჯანიშვილის თეატრში დგამდა სპექტაკლებს და ნიკოლოზ ბარათაშვილზე ფილმის გადაღებაზე ოცნებობდაო. ჭიაურელის ამ წინადადებაზე ჯერ კი დიდად იუარა, მაგრამ სტალინის ხელმოწერა რომ ნახა, გონება გაუნათდა" და გადაწყვიტა, ნოკოლოზ ბარათაშვილი თუ არა, მისი ეპოქის თბილისი მაინც გაეცოცხლებინა. ჰოდა, დაიწყო და დაიწყო: ტაბლიაშვილTან ერთად სამუშაოდ მიიწვიეს საფრანგეთიდან დაბრუნებული შალვა გედევანიშვილი, სცენარის დაწერა ცნობილ იომორისტ პოეტს სიკო ფასალიშვილს დაევალა, მუსიკა არჩილ კერესელიძეს უნდა დაემუშავებინა ვიქტორ დოლიძისა და ქალაქური რომანსების მიხედვით, კინოსტუდიის მხატვრებმა მე-19 საუკუნის თბილისი გააცოცხლეს და პავილიონები შექმნეს.

ომი ახალი დამთავრებული იყო, თბილისს სციოდა და შიოდა. მაგრამ გადასაღებ მოედანზე ნამდვილი დღესასწაული იდგა: აქ შეკრებილი იყო იმ დროის ყველა ლამაზი ქალი და მამაკაცი, მსახიობები თუ ტიპაჟები.

ძველი თბილისური კოლორიტის გაცოცხლების გარდა, მერაბ კოკოჩაშვილს, როგორც დოკუმენტალისტს, იმ ისტორიების გამოტანაც სურდა, რაც ფილმის გარშემო ხდებოდა.

იცოდით, რომ ქეთო და კოტეს" გადაღება ორ ენაზე მიმდინარეობდა: ქართულად და რუსულად? ფილმი შემდეგ კი არ გაუხმოვანებიათ, მსახიობები თვითონ ლაპარაკობდნენ რუსულად გადასაღებ მოედანზე.

მიხეილ ჭიაურელმა კარგად იცოდა რა სურდა ბელადს, ბელადმა კი ის, რომ 250 მილიონი საბჭოთა მოქალაქე რუსულ ენაზე უფრო კარგად გაიგებდა მის ჩანაფიქრს.

იცოდით, რომ ცენზურამ სცანარიდან ამოიღო ეკლესიაში ჯვერისწერის სცენა, მაგრამ ტაბლიაშვილმა ეს სცენები მაინც გადაიღო? მართალია, ფირი არ შემორჩა, მაგრამ შემორჩა ფოტოები, საიდანაც ერთი ფოტო მაშინდელ გაზეთშიც კი მოხვდა.

იცოდით, რომ ჭიაურელმა ტაბლიაშვილს დაუწუნა ხანუმას და ქეთოს ტიპაჟები, ანუ, თამარ ჭავჭავაძე და მედეა ჯაფარიძე? ტაბლიაშვილი ჯიუტი კახელი იყო, კანდიდ ჩარკვიანს ჩააკითხა გაგრაში და ფილმი გადაარჩინა".

იცოდით, რომ ფილმი, რომლის გადაღებაც ასეთი აჟიოტაჟით დაიწყო, მხოლოდ ორი კვირა გადიოდა თბილისის კინოთეარებში, და სტალინისთვის იგი საერთოდ არ უჩვენებიათ? 1953 წლამდე ქეთო და კოტე" თაროზე იდო. ესეც მიხეილ ჭიაურელის დამსახურება იყო. სტალინთან დაახლოვებულმა ამ რეჟისორმა კარგად იცოდა, რომ თუ ბელადს ფილმი არ მოეწონებოდა, მას განადგურება არ ასცდებოდა. ჭიაურელმა ქეთო და კოტე" ამისათვის არ გაიმეტა და საერთოდ გადამალა. მერე კი, როცა ეს ფილმი ამერიკაში, სტენლის კინოთეატრსი გადიოდა, მის შესახებ გაზეთი ძდეილი უორკერი" წერდა: ჰოლივუდს ამგვარი არაფერი შეუქმნია, 2 კვირაა ქართული ფილმი გადის და ყველაზე შემოსავლიანიაო.

1997 წელს ქართველმა კინემატოგრაფისტებმა ქეთო და კოტე" საუკუნის ფილმად აღიარეს.

ავქსენტი ცაგარელის პიესა ხანუმა"კი, რომელიც ვიქტორ დოლიძის ოპერას დაედო საფუძვლად, თავისი ხალისიანი და უშუალო გმირებით ყველა დროის სპექტაკლად იქცა. ქართულმა კინემატოგრაფმა მას ჯერ კიდევ 1927 წელს მიმართა. სცეანაზე კი, მას შემდეგ რაც გიორგი ტოვსტონოგოვმა ის ლენინგრადის თეატრში დადგა, მთელ საბჭოთა კავშირს ეპიდემიასავით მოედო და 90-მდე თეატრმა შეიტანა თავის რეპერტუარში. აღარაფერს ვიტყვით რობერტ სტურუას სპექტაკლზე, საიდანაც მხოლოდ რამდენიმე სცენის ჩანაწერი შემოგვრჩა და რომლის შესახებ დღესაც ლეგენდები დადის.

ეს ფილმი თქვენი იყო, ახლა ჩვენია!" - აცხადებენ კოკოჩაშვილის ფილმის გმირები და ზღაპარი სრულდება. მისი სახელი კი მარადისობაა, ისევე როგორც მარადიულია ხელოვნება და ადამიანის სურვილი - იყოს ბედნიერი.

ამის საჩვენებლად ამჯერად უკვე არჩილ გელოვანმა არ დაიშურა თანხა და ფილმს სახლი სიხარულისა" არც ფერიერვერკები აკლია, არც კოსტუმები და მოკაზმული დარბაზები, არც მოცეკვავეები, არც ეტლები და ორთქლმავალი, რომელიც, სუვენირად ქცეული, მუშტაიდის ბაღიდან გადმოტანეს გადასაღებ მოედანზე.

არჩილ გელოვანს უნდოდა, ისეთი ფილმი გამოსულიყო, რომელსაც მხატვრული ღირებულების გარდა კომერციული ხიბლიც ექნებოდა და კინობაზარზე კარგად გაიყიდებოდა. ფილმი უკვე 7 ქვეყანაშია გაყიდული, ასევე იყიდა რამდენიმე რუსულმა ტელეარხმა, თუმცა კი, მოსკოვში მისი ჩვენება ვერ მოხერხდა, აგვისტოს საომარი კონფლიქტის შემდეგ რუსეთის მხარესთან დადებული ყველა ხელშეკრულება გაუქმდა.

ვენ კი, თუ ფილმში ჩადებულ კომერციულ მარცვალს გავითვალისწინებთ და იმასაც, რომ იგი საერთაშორისო ბაზრისათვის არის განკუთვნილი, მაშინ კიდევ უფრო გასაგები იქნება რეჟისირის გულმოდგინეობა, ყურადღების მიღმა არ დარჩენოდა არაფერი, რაც კი ძველ თბილისს უკავშირდებოდა და რაც ქართველ მაყურებელში ცოტა ზედმეტობის განცდას იწვევს.

რაც შეეხება არჩილ გელოვანის პროექტს - გადაიღოს ფილმები ქართულ კინოზე, როგორც მერაბ კოკოჩაშვილი ამბობს, არანაკლებ საინტერესო იქნება ფილმი მუნჯი კინოს შესახებ, ვინაიდან ამ დროს შედევრებია შექმნილი ქართულ კინოში. საილუსტრაციოდ შენგელაიას ელისო" და კალატოზოვის ძჯიმ შვანთე" და მიქაბერიძის ჩემი ბებიაც" კმარა.

# იტალიაში მიწისძვრის შედეგად ისტორიული ძეგლებიც დაზიანდა

იტალიის ქალაქი ლ აკუილა დამანგრეველი მიწისძვრის გამო მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა. უკანასკნელი ინფორმაციით მსხვერპლის რიცხვი 180 ადამიანამდე გაიზარდა, უძველესი ქალაქი კი თითქმის მიწასთანაა გასწორებული. საცხოვრებელ სახლებთან ერთად კი ცხადია ისტორიული ძეგლები და კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებიც განადგურდა.

ქალაქის ისტორია მე-13 საუკუნიდან იწყება, ამიტომ იქ არსებული ძეგლები იტალიისა და მსოფლიოს კულტურულ მემკვიდრეობას განეკუთვნებოდა. ჯერჯერობით ნაადრევია დანაკარგის ამ მიმართულებით დათვლა, რადგან საცხოვრებელი სახლების ნანგრევებში ჯერ კიდევ პოულობენ გარდაცვლილებს, თუმცა უკვე გამოქვეყნდა ყველაზე მეტად დაზიანებული ძეგლების სია და ინფორმაცია მათი მდგომარეობის შესახებ.



თითქმის განადგურებულია ლ აკუილას ეროვნული მუზეუმი, რომელშიც უნიკალური საგანძური ინახებოდა. ამჟამად მიმდინარეობს არა მხოლოდ მუზეუმის ნანგრევებიდან გარდაცვლილი თანამშრომლების ამოყვანის პროცესი, არამედ ეძებენ საგანძურსაც. მუზეუმის ნანგრევებს კი კარაბინერების სპეციალური ქვედანაყოფი იცავს, რათა მოროდიორებმა ძვირფასი ნივთები არ დაიტაცონ. მუზეუმის შენობა XVI საუკუნეში აგებულ სასახლეში იყო განთავსებული, რაც თავის მხრივაც წარმოადგენდა ეროვნულ საგანძურს. მის საცავებში ინახებოდა შუა საუკუნეების ფერწერული ტილოები, საეკლესიო დოკუმენტაცია და ლ აკუილას შემოგარენში 1950 წელს აღმოჩნეილი პრეისტორიული ცხოველების ჩონჩხები.

სერიოზულადაა დაზიანებული XIII საუკუნის ბაზილიკა სანტა მარია დი კოლემაჯო. მას ჩამოენგრა წინა ფასადი და თითქმის აღარ არსებობს სახურავი. ტაძარი 1208 წელს რომის პაპის ბრძანებით აიგო და რომაული არქიტექტურის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად მიიჩნეოდა. ასევე დანგრეულია XVI საუკუნით დათარიღებული კარიბჭე "პორტა ნაპოლი", პრაქტიკულად აღარ არსებობს სულიწმინდას ტაძრის გუმბათი და სან ბერნარდინო დი სიენას სამრეკლო. გუმბათი ჩამოენგრა ასევე XVI საკუნის შუა წლებით დათარიღებულ წმინდა ავგუსტინეს ეკლესიასაც. გუმბათის ნანგრევებმა კი თავის მხრივ ლ აკუილას ცენტრალური არქივის შენობაც დააზიანა, სადაც არანაკლებ ძვირფასი დოკუმენტაცია ინახებოდა.

ჯერჯერობით ცნობილი არაა, რა მდგომარეობაა ლ აკუილას გარშემო მდებარე პატარა დასახლებებში მდებარე ისტორიულ ძეგლებთან დაკავშირებით, თუმცა მიწისქვეშა ბიძგები იმდენად მძლავრი იყო, რომ არ არის გამორიცხული სერიოზული დაზიანებები ქალაქიდან მოშორებითაც შეინიშნებოდეს.

"ამჟამად ჩვენი ყურადღება მთლიანად ადამიანებისკენაა მიმართული. როგორც კი ნანგრევებიდან ყველა გარდაცვლილს ამოვიყვანთ, ხოლო ცოცხლებს უსაფრთხოდ დავაბინავებთ, მას შემდეგ ისტორიულ ძეგლებსაც მივხედავთ", - განაცხადა ლ აკვილას ეპისკოპოსმა ჯუზეპე მოლინარიმ, რომელმაც ისიც განაცხადა, რომ სრულებით არ დაზიანებულა ქალაქის მთავარი საკათედრო ტაძარი, რომელიც 1703 წლის მიწისძვრის შემდეგ პრაქტიკულად თავიდან ააგეს.

# ვინ მოიპარა X ადამიანები

Fox New-ის ჟურნალისტმა რეცენზია ფილმის მეკობრულ ვერსიაზე დაწერა

ია ვეკუა



მოცემულ მომენტში მსოფლიოს რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი აწუხებს: ეკონომიკური კრიზისი, ობამას მოგზაურობა ევროპაში და ის, თუ ვინ მოიპარა სტუდია 20th Century Fox-იდან ფილმ "X ადამიანები: დასაწყისის" დაუსრულებელი ასლი. ამ ფილმის პრემიერა 1 მაისს იყო დაგეგმილი, თუმცა ოფიციალურ პრემიერამდე ერთი თვით ადრე იგი არა თუ ქართულ, არამედ მთელი მსოფლიოს ინტერნეტსივრცეში გამოჩნდა.

ქართული ინტერნეტი ასე განსაკუთრებულად იმიტომ ვახსენე, რომ ჩვენთან, ისევე როგორც ინტერნეტ მეკობრეობის ამკრძალავი კანონის არ მქონე ქვეყნებში, ბევრი ფილმი ოფიციალურ რელიზამდე გაცილებით ადრე ხვდება. სხვა საქმეა, როგორია მათი ხარისხი, მთავარია, რომ ასეთი გზით მოპოვებული ფილმის ნახვის შემდეგ თავი ერთგვარ კოლუმბებად წარმოგვიდგენია და ისიც გვგონია, რომ დროს წინ ვუსწრებთ. თუმცა ამ შემთხვევაში ინტერნეტმეკობრეების გამართლება სრულიად ლოგიკურია - ჩვენს კინოთეატრებში ყველაზე ცნობილი ფილმების ერთი მეასედი გამოდის, ისიც ისეთი დაგვიანებით, რომ ველარც კი იხსენებ, როდის ელოდი მის პრემიერას.

მოკლედ, მსოფლიო აქეთ დაგვეწია და ჩვენს მსგავსად იხილეს ინტერნეტიდან "გადმოქაჩული" ფილმი. ყველაზე საინტერესო კი ახლა იწყება: როგორც წესი, ოფიციალურ პრემიერამდე ინტერნეტში გამოჩენილი ფილმის ხარისხი ძალიან დაბალია, რის შესახებაც მისი ამტვირთველები პატიოსნად იუწყებიან და ხარისხის გრაფაში წერენ - CamRip, TS და ასე შემდეგ. "X ადამიანები: დასაწყისის" შემთხვევაში კი DVDRip იყო მითითებული, რისი გადამოწმებაც მოხლოდ ერთი გზით შეიძლება - ფილმი უნდა გადმოწერო და ნახო. დაახლოებით 10 წუთის შემდეგ, იმ ეპიზოდებში, როდესაც კომპიუტერული გრაფიკა ადამიანსაც ცვლის და გარემოსაც, ეკრანზე საკმაოდ უცნაურმა კადრებმა გაირბინეს - სპეცეფექტების სრულიად დაუმუშავებელი, შავი მასალა გამოჩნდა. ფილმის მსვლელობისას მსგავსი რამ რამდენჯერმე მეორდება, ამიტომ ძნელია მისი ტექნოლოგიური ღირსებების ბოლომდე აღქმა (ამაში დარწმუნება თუ გსურთ, ფილმის გადმოწერა ნებისმიერი ტორენტ და სხვა ჰოსტინგ საიტიდან შეგიძლიათ).

მას შემდეგ, რაც ფილმის დაუსრულებელი, თუმცა მაღალი ხარისხის ვერსიის მოპარვისა და ინტერნეტში გავრცელების შესახებ გახდა ცნობილი, 20th Century Fox-მა მასშტაბური აქცია წამოიწყო პოტენციური მაყურებლის გადაბირებისთვის, რათა ისინი დაელოდონ 1 მაისს და ფილმი დიდ ეკრანზე ნახონ. პარალელურად მიმდინარეობს გამოძიებაც, რომელსაც ამერიკის გამოძიების ფედერალური ბიურო აწარმოებს. როგორც ცნობილია, ბიუროს უკვე ჰყავს სავარაუდო ეჭვმიტანილი, რომელიც სტუდიის თანამშრომელია, თუმცა საუბარია იმაზეც, რომ ამ საქმეში მთელი დაჯგუფებაა ჩართული, რადგან უმაღლეს დონეზე დაცული კინოსტუდიიდან ფილმის ასლის გატანა ადვილი ნამდვილად არაა.

"Xადამიანები: დასაწყისის" ამგვარ კურიოზულ ისტორიას Fox New-ის ცნობილი ჟურნალისტის, როჯერ ფრიდმანის კარიერაც შეეწირა. საქმე ისაა, რომ ფრიდმანმა ფილმი ჩემსავით ინტერნეტში ნახა და მის შესახებ რეცენზიაც დაწერა. მართალია, მისი ტექსტი მალევე ამოიღეს, თუმცა ამან ჟურნალისტს ვერ უშველა და სულსწრაფი ფრიდმანი უმუშევარი დარჩა.

საქმეში ფილმის მთავარი გმირის, ლოგანის როლის შემსრულებელი ჰიუ ჯეკმანიცაა ჩართული, რომელმაც თავის ინტერნეტ გვერდზე ღია წერილი გამოაქვეყნა: "ნუ მიაქცევთ ყურადღებას, ფილმის გარშემო ამტყდარ სკანდალს. გარწმუნებთ, რომ 1 მაისს თქვენ მართლაც არაჩვეულებრივი სანახაობა გელით. ამიტომ გირჩევთ, ცოტაც მოითმინოთ და ფილმს დიდ ეკრანზე უყუროთ."

"X ადამიანები: დასაწყისი" ცნობილი კომპანიის, MARVEL-ის კომიქსების ერთ-ერთი გმირის შესახებ მოგვითხრობს. ალბათ გახსოვთ 2000 წელს ბრაიან სინგერის მიერ გადაღებული "XMადამიანები", რომელსაც მომდევნო წლებში კიდევ ორი გაგრძელება მოჰყვა. ფილმი, ისევე როგორც კომიქსი, განსაკუთრებული შესაძლებლობების მქონე ადამიანების შესახებაა. ზოგს ფრენა შეუძლია, ზოგი მაგნიტივით იზიდავს მეტალის ნივთებს, ლოგანი კი ყველასგან განსხვავებული და განსაკუთრებულია - მას მეტალის ჩონჩხი აქვს, მძვინვარებისას კი თითებს შორის ფოლადის კლანჭები ეზრდება. თუმცა მას არ ახსოვს, საიდან აქვს ფოლადის ჩონჩხი - "X ადამიანები: დასაწყისი" კი სწორედ ამ საიდუმლოს ხსნის.

ფილმის რეჟისორია გევინ ჰუდი, რომლის ყველაზე ცნობილი ფილმია "ცოცი" - 2005 წლის "ოსკაროსანი" ნამუშევარი საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციაში. ლოგანის როლს ნახსენები სამი ფილმის მსგავსად აქაც ჰიუ ჯეკმანი თამაშობს, ხოლო მისი ძმისა და დაუძინებელი მტრის როლში ლივ შრაიბერი გვევლინება.

# დილანი ყველასთვის



ბობ დილანმა საკუთარ ახალ ალბომში - Together Through Life შესული მეორე ტრეკის პრეზენტაცია მოაწყო. კომპოზიცია Feel A Change Comin'On', ჟურნალ Newsweek-ის საიტზე ექსკლუზიურად დაიდო, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია ახალი სიმღერა მოისმინოს და შეაფასოს. სიმღერაში დილანი იმის შესახებ მღერის, რომ "ბილი ჯო შეივერს უსმენს და ჯეიმს ჯოისს კითხულობს", ასევე გვატყობინებს, რომ "მის ხმაში სამყაროს სისხლია დამალული". დილანის სხვა კომპოზიციების ჩაწერაში მონაწილეობას იღებდა დევიდ იდალგო, ჯგუფიდან Los Lobos, რომელმაც აკორდეონის პარტია შეასრულა.

მუსიკოსმა ადრე უკვე გამოაქვეყნა ალბომ Together Through Life-ში შესული ერთ-ერთი ახალი სიმღერა Beyond Here Lies Nothin, რომლის გადმოწერაც დილანის ოფიციალურ საიტზე 30 მარტის ჩათვლით უფასოდ იყო შესაძლებელი.

ბობ დილანის ახალი 33-ე სტუდიური ალბომი 28 აპრილს გამოვა. დისკში 10 კომპოზიციაა შესული. დისკის პროდიუსერობა დილანმა თვითონ ითავა. Together Through Life-ში შესულია სიმღერები: Beyond Here Lies Nothin, Life is Hard, My Wife's Home Town, Shake Shake Mama, I Feel A Change Comin'On და ა.შ.

ახალი ალბომის გამოშვება დილანის პატარა ევროპულ ტურნესთან იქნება დაკავშირებული. აპრილის ბოლოს და მაისის დასაწყისში შემსრულებელი შვიდ კონცერტს გამართავს: შეფილდში, ლონდონში, კარდიფში, ბირმინგემში, ლივერპულში, გლაზგოსა და ედინბურგში.

ამერიკელი მომღერლის წინა სტუდიური ალბომი Modern Times-ი, 2006 წლის აგვისტოში გამოვიდა და მუსიკოსის პირველ დისკად იქცა, რომელმაც ამერიკულ ჩარტებში უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში მაშინვე პირველი ადგილი დაიკავა. ამ ალბომის გამოშვებით, 67 წლის მუსიკოსი ერთ-ერთ ხანში შესულ მუსიკოსად იქცა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ჰიტ-პარადების სათავეში აღმოჩნდა. ხშირად გამართული დისკუსიების მიუხედავად, რომ მომღერლმა თითქოსდა ხმა დაკარგა, დისკი Modern Times-ი გამოუშვა. ამ წელსვე, საუკეთესო მამაკაცური ვოკალისთვის დილანმა პრემია "გრემი" მიიღო. გარდა ამისა, გასულ წელს დილანმა ბუტლეგების სერიის მორიგი ნაწილი გამოუშვა, სახელწოდებით - Tell Tale Sings. უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში მუსიკოსი აქტიურად დადის გასტროლებზე და წელიწადში დაახლოებით 100 კონცერტს მართავს. კრიტიკოსებმა ბობ დილანი XX-ე საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვან მუსიკოსად აღიარეს, რომელმაც არსებითი გავლენა იქონია არა მარტო მუსიკის, არამედ ლიტერატურული კულტურის განვითარებაზე. დილანი სიმღერების უკანასკნელი ავტორია, რომლის სახელიც არა ერთხელ დასახელებულა ნობელის პრემიის შესაძლო კანდიდატებს შორის, ლიტერატურის დარგში.



## აფიშა

**8 აპრილი**

**თეატრი**

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი**
გედების ტბა
დასაწყისი: 19.00

**შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი**
სულიერი არსებები
რეჟისორი დავით საყვარელიძე
დასაწყისი: 19.00

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი**
Romal - ბოშები
რეჟისორი კობა სხილაძე
დასაწყისი: 20.00

**თეატრალური სარდაფი**
სექსუალური რევოლუცია
რეჟისორი ნინო ბასილია
დასაწყისი: 20.00

**თავისუფალი თეატრი**
სოხუმის თეატრის სპექტაკლი
ირმების უკანასკნელი ბრავილი
რეჟისორი ნუგზარ ლორთქიფანიძე
დასაწყისი: 20.00

**კინო**

**"რუსთაველი"**
გასეირნება ყარაბახში 2:კონფლიქტის ზონა
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00; 20.00; 22.00
"მადაგასკარი 2"
დასაწყისი: 12.14; 14.00; 15.45; 17.30
"დასპეროს თავგადასავალი"
დასაწყისი: 13.00; 15.00; 17.00; 19.00; 21.00
მილიონერი გარეუბნიდან
დასაწყისი: 13.15; 15.30; 17.45; 20.00; 22.15
"ვიკი, კრისტინა, ბარსელონა"
დასაწყისი : 19.30; 21.30

**"ამირანი"**
გასეირნება ყარაბახში 2: კონფლიქტის ზონა
დასაწყისი: 12.30; 14.30; 16.30; 18.30; 20.30; 22.15
ვარდისფერი პანტერა 2
დასაწყისი: 22.15
"დასპეროს თავგადასავალი"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00; 20.00

**გამოფენა**

**TBC ბანკის გალერეა**
ზაალ სულაკაურის სტუდიის მოსწავლეთა გამოფენა

**ქარვასლა**
იტალიის საელჩოს მიერ ორგანიზებული გამოფენა
იტალიური სტილი

**ბაია**
ქეთი ნიკოლაიშვილის პერსონალური გამოფენა

**"შარდენი"**
ტიხრული მინანქრის გამოფენა

**გოეთეს ინსტიტუტი**
ბეჭდვითი კომუნიკაციების დიზაინი
შექმნილი გერმანიაში

# პროზაიკოსის ჰაე

## გამომცემლობა ინტელექტში ზვიად კვარაცხელიას წიგნის პრეზენტაცია მოეწყო

თამარ კიკნაველიძე



*ზვიად კვარაცხელია, გენო კალანდია და ფრიდონ ხალვაში*

ინტელექტის ახალი წიგნების გამოცემას პრეზენტაციები მოსდევს. შეხვედრები ტრადიციად ჩამოყალიბებულ ფორმატში მიმდინარეობს: იქ ამ გამომცემლობის გულშემატკივრები იკრიბებიან (მათ შორის არიან: ტარიელ ჭანტურია, როსტომ ჩხეიძე, ვახტანგ ჯავახაძე, გენო კალანდია, ზაზა აბზიანიძე, სოსო ჭუმბურიძე, რეზო ადამია და სხვები), რომლებიც თავიანთ მოსაზრებებს საჯაროდ გამოთქვამენ, ახალ გამოცემასა და მის ავტორს თამამად აფასებენ და კახური ღვინით ილოცებიან.

ამ გამომცემლობაში მოწყობილი ბოლო პრეზენტაცია 22 წლის პროზაიკოსის, ზვიად კვარაცხელიას წიგნს - ჰაე მიეძღვნა. მწერლებმა ავტორი ისე შეაქეს, რომ მისი წაკითხვის სურვილი გამიჩნდა.

ჰაე ლევან ბრეგაძის წინასიტყვაობით იწყება და ოთარ ჭილაძის შეფასებით ბოლოვდება, რაც იმის მანიშნებელია, რომ ახალგაზრდა ავტორი, სულ ცოტა, საინტერესო მაინც უნდა იყოს.

ამ წიგნის ავტორი მაძიებელი კაცია , - ასე იწყებს ლევან ბრეგაძე წინასიტყვაობას. მიმაჩნია, რომ ზვიად კვარაცხელია, უპირველესად, გამომსახველობითი ფორმის მაძიებელია. მისი სათქმელი უჩვეულოდაა მოწოდებული. მასთან სიუჟეტი მეორეხარისხოვანია, იქ მთავარია განწყობა და ამბავი, რომელიც ნაწარმოებიდან ნაწარმოებში გადადის, გზადაგზა მეტ სატკივარს იტევს და ფერებად იშლება ან ცრემლად იღვრება.

**მათ ერთად იხილეს ცის პორტრეტი, მიწის პალიტრა, ერთად წაუსვეს ხელი ცხოვრების მოლბერტზე, ერთად წაიცხეს ადამიანურობის ფერ-უმარილი. მათ გზა ელოდათ** , - წერს ზვიად კვარაცხელია. ის 1986 წლის 22 აპრილს, ზუგდიდში დაიბადა. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის იურიდიული ფაკულტეტი. წერა ადრეულ ასაკში დაიწყო. როდესაც მისი ნაწერი ჯემალ მონიავამ წაიკითხა, ოთარ და თამაზ ჭილაძეებს გააცნო. მათ ზვიადის გაცნობის სურვილი გაუჩნდათ. ბ-მა თამაზმა ზვიადის პროზა 2006 წლის მნათობის მესამე ნომერში დაბეჭდა და ზედ ოთარ ჭილაძის წინასიტყვაობა - ულმობელ დროში მოსული ბალღი - დაურთო.

ზვიად კვარაცხელიას ეს ნაადრევი" დებიუტი ჟურნალ მნათობის" ფურცლებზე, ალბათ მისმა ასაკმაც განაპირობა. ის ჯერ კიდევ ცხრამეტი წლისაა, როგორც თვითონვე უწოდებს თავს, ულმობელ დროში მოსული ბალღია", მწერალი კი გზაში იზრდება, რაც უფრო ღრმად შედის ის თავისი პროფესიის სახიფათოდ იდუმალ სივრცეებში, მით უფრო ნათლად იკვეთება მისი მწერლური მრწამსი და პოზიცია, რის გარეშეც საერთოდ არ არსებობს მწერლობა. სხვათაშორის, მწერლის მიერ განვლილი გზა განსაზღვრავს მწერლური პოტენციის მარაგსაც და სიძლიერესაც, მაგრამ როცა ცხრამეტი წლის ბიჭი ასე სალად ფიქრობს, ასე მძაფრად გრძნობს და ასე მტკივნეულად განიცდის საკუთარი ქვეყნის, მშობლიური ხალხის ბედსა და უბედობას, რასაკვირველია, აუცილებლად მიიპყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას. ეს ხომ, უპირველეს ყოვლისა, მწერლობის და, ამ შემთხვევაში, კერძოდ ჩვენი ეროვნული მწერლობის სიცოცხლისუნარიანობას ადასტურებს, ამ მწერლობის ბებერ ფესვებს კვლავაც რომ შეუძლიათ ახალი სიცოცხლის აღმოცენება, გამოტანა ახალი ყლორტისა, რომელიც მთლიანად იწოვს მის გაჩენამდე განვლილი თუ ჩავლილი ცხოვრების ავან-ჩავანს, ტყუილს და მართალს, სატირალსაც და სასაცილოსაც და, რაც მთავარია, ახლა უკვე მისი მეშვეობით, მისი შეუპოვრობისა და სიჯიუტის წყალობით გრძელდება ჩვენი სამშობლოს უბოლოო თავგადასავალი...

პატრიოტიზმი, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, მართლაც სისხლხორცეულად აუცილებელია მწერლობისთვის. ამ მარად მფეთქავი, მარად ფხიზელი ნერვის გარეშე, ნებისმიერი ტექსტი, პოეტურიც და პროზაულიც, შეიძლება, გარეგნულ მომხიბვლელობას არ კარგავს, მაგრამ აშკარად კარგავს შინაგან მუხტსა და დაძაბულობას. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, აღარ ძალუძს ძველებურად ჩვენი აღელვება. აი, სწორედ ამ პატრიოტული, გნებავთ, ეროვნული ნერვის სიმძაფრით გამოირჩევა ზვიად კვარაცხელიას ნაწერი, ვითომ ნოვატორულ, ვითომ მოდერნისტულ, ვითომ თამამ და თავისუფალ, ნამდვილად კი, ათასჯერ გადაღეჭილ, გაცვეთილ, დაშრეტილ და ყველა სიკეთესთან" ერთად, თითიდან გამოწოვილ პრობლემებით გაძიძგულ წიგნების ზღვაში.

რასაკვირველია, დღეს ძნელია იმის თქმა, თუ როგორ განვითარდება, რა სახეს მიიღებს ხვალ და ზეგ ზვიად კვარაცხელიას შემოქმედება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მისი გამოჩენა სამწერლო ასპარეზზე მხოლოდ იმის იმედს განუმტკიცებს ყველა ჩვენგანს,რომ არასოდეს რომ არ დაძაბუნდება ქართული სიტყვა, იგივე ქართული სული, ქართული ცნობიერება... , - ასე დაულოცა გზა მას ოთარ ჭილაძემ.

ჰაე ზვიად კვარაცხელიას მესამე წიგნია. პირველი, სახელწოდებით - მარჯვენა , აპლიკაციური რომანია, რომელიც 2005 წელს გამომცემლობა ინოვაციამ გამოუშვა, მეორეა - ქარაგმა , ავტორის განმარტებით, მუხლებად დაწერილი მხატვრული კონსტიტუცია (ქართულ-ევროპული უნივერსიტეტის გამოცემა). როგორც თავად აღნიშნა, მას მხატვრულ-დოკუმენტურ ნაწარმოებებზე მუშაობა იტაცებს. რამდენიმე წლის წინათ, ჟურნალში ჩვენი მწერლობა მისი ილიას მოგზაურობა სამეგრელოში გამოქვეყნდა. წერა, თითქმის, დაამთავრა მასალაზე, რომელიც ვაჟაფშაველს ტაო-კლარჯეთში მოგზაურობას ასახავს. საქართველო თურქეთის ტყვეობისგან 1879 წელს გათავისუფლდა. 1879-1921 წლებში ტაო-კლარჯეთი სულ რამდენიმე ქართველმა საზოგადო მოღვაწემ მოინახულა. მათ შორის იყო ვაჟაფშაველა, რომელიც იქ სულ სხვა მიზეზით ჩავიდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ ფეხით მოიარა მთელი მთიანი აჭარა და ტაო-კლარჯეთი , - გვიყვება ზვიადი. მას სურვილი აქვს, მომავალში, აფხაზეთის თემას შეეხოს და ეპისკოპოს ალექსანდრეს მიერ გაზრდილი აფხაზის ამბავი მოგვიყვეს.

პრეზენტაციის დასაწყისში ახალგაზრდა მსახიობებმა ზვიად კვარაცხელიას სამი მცირე პროზის ნიმუში - თავიდან , ჭირის ოფლი , პინგ-პონგი წაიკითხეს, რამაც მსმენელის მოწონება დაიმსახურა. გამომცემლობა ინტელექტის ხელმძღვანელმა კახმეგ კუდავამ გაგვიმხილა, რომ ჰაე , თავდაპირველად, 500 ცალის ოდენობით გამოიცა, მაგრამ იმდენად სწრაფად გავრცელდა, რომ მოგვიანებით კიდევ 1000 ეგზემპლარი დაიბეჭდა. დამწყები პროზაიკოსი, რომ ამდენ წიგნს გაყიდის, ე.ი. კარგად არის საქმე , - აღნიშნა გამომცემელმა. ტარიელ ჭანტურიამ კი იხუმრა: - საქართველოში 15 ათასი კვარაცხელიაა და გამოდის, რომ 15 ათასი მკითხველი გარანტირებული გყავსო .

ამ წიგნმა ლიტერატორთა კრიტიკას მხოლოდ ავტორის ახალგაზრდული ასაკის მიზეზით როდი გაუძლო. პროზაიკოსის შესაძლებლობებზე მოსაზრება იქ არაერთმა გამოთქვა:

**როსტომ ჩხეიძე:** - გამომცემლობა ინტელექტი მოწოდებულია იმისათვის, რომ ქართულ ლიტერატურაზე სასიკეთო გავლენა მოახდინოს. რაც დაბეჭდა, მხოლოდ კარგი და საუკეთესო... ამ წიგნის ავტორს რომ არ იცნობდე, რადგან ინტელექტის გამოცემულია, უნდა იგულისხმო, რომ არაორდინალურ მოვლენასთან გვაქვს საქმე... ზვიად კვარაცხელია საკმაოდ ხელხვავიანი კაცია. მას უკვე დაწერილი აქვს ორი რომანი, მთელი ციკლი ნოველებისა, მინიატურები, თხზულებები... ის ლიტერატურული ცხოვრების შუაგულში ტრიალებს. მის ნიჭიერებას ვერაფერი შეაჩერებს... ბ-ნი ლევანის წინასიტყვაობაში აღნიშნულია ზვიადის ფაქიზი იუმორი, რომელსაც ლირიზმს მიუმატებდი, რაც აქ ერთმანეთშია გადახლართული. მის ასაკში ნამდვილად იშვიათია ასეთი სერიოზული დამოკიდებულება სიტყვისადმი, საქართველოსადმი და საკუთარი თავისადმი... .

**ვახტანგ ჯავახაძე:** - ახალგაზრდას მწერლის სირთულეებით გამორჩეულ გზაზე იმდენი ელაპარაკეს, მინდა გავამხნევო და დავარწმუნო, რომ ადამიანი თუ ნიჭიერია, მისი შემოქმედებითი პროცესი თავისთავად წარიმართება.

**ფრიდონ ხალვაში:** როდესაც ბ-მა კახმეგმა დამირეკა და ამ წიგნის დაბადება მამცნო, მაშინვე მოვწყდი აჭარის მიწას და აქ ჩამოვედი, მიუხედავად იმისა, რომ კაი გაყოლა წელიწადების ვარ... მე კარგად მახსოვს 1946 წლის გაზაფხული, როდესაც პირველად ჩამოვედი თბილისში და მწერალთა სახლში ანა კალანდაძის ლექსების კითხვას დავესწარი... ამ საღამომ, რაღაც, ანა კალანდაძის გამოჩენა მომაგონა... .

იმ დღეს ბევრი ითქვა პროზაიკოსზე, რომელსაც დაკვირვებული თვალი აქვს, მაგალითად: მელნისფრად რომ მიეკიბება სათქმელი სათქმელს, აზრი აზრს, კალმით დაიფრქვევა შემოქმედებითი შემოქნევა ანდა შენი ხმა დამაკლდა, უშენოდ არ შედგება ჩემში ადამიანი, ათასიც რომ მოიყაროს, უშენოდ არაფრად ღირს ის ათასი ხმა ; აღნიშნეს, რომ მასთან მთავარი მოქმედი პირია ქართული ენა, რომელსაც კარგად იცნობს, მაგალითად: ქართულ ენაში დაბადების რამდენიმე სახიერი სიტყვისმიერი იგივეობა გვაქვს. შობა რელიგიურ მხარეს წარმოაჩენს, უზენაესის ხატებას დაგვინთებს თვალწინ. მე ცრემლი ვარ და უფრო განცდათა საყვირად მოვიაზრები, ამიტომ, არა მგონია, გაზიარებულ ჭეშმარიტებას შეეწინააღმდეგოს, თუ ვიტყვი: ადამიანი თავისი დაბადებით ეცხადება სამყაროს, დედამიწას, სხვა ადამიანებს. ესაა დროისდრო, როცა სულიერ ხორცისეულად ხარ შეულახავი, შედარებით სუფთა და ორი სამყაროს მებოძირზე გახიდული: სააქაოსა და საიქიოს, ცასა და მიწას შორის... ; მისი ნაწერი ღრმად მოფიქრალი ადამიანის გულისტკივილს გამოხატავს, მაგალითად: ისევ ვკლავთ ძმას, ვხრწნით დას, ვყიდით დედ-მამას, ღმერთს და ზედ, ხურდად, სამშობლოს ვაყოლებთ, რამეთუ სამშობლო ღვთისგან კაცისათვის ჩაგონებული ზენაგრძნობათა ანთოლოგია გახლავთ, დღეს რომ არავინ კითხულობს, დღეს რომ არავის აინტერესებს, არავის აღელვებს არჩევანი - ან ეს, ან ის, ან მარჯვნივ, ან მარცხნივ, ან სიგრძივ, ან სისწვრივ, ან მაღლა, ან - დაბლა, ან დიახ, ან - არა, ან ზეცაში, ან - მიწაზე, ან შენ, ან - მე... ან - ლოგინმა დაამახინჯა სიყვარული. ლოგინისთვის უყვარდებათ, თუ ატყობ. ლოგინიდან ამდგარი, ჩვილის მომლოგინებელი, თანდათან შესჯავრდებათ მერე, ახალ სალოგინეებს დაეძებენ და ბოლოს და ბოლოს კიდეც თავსდებიან ყვავილებით მოქუფრულ ლამაზ საგებელში, მამაოს სულთათანის ქვეშ ; ასეთი ასაკის მიუხედავად, უსაშველოდ იცნობს ქალის ბუნებას და მისდამი მიძღვნილი ყოველი ეპითეტი პატივისცემის გამომხატველია, მაგალითად: თავისი გულის საჯაროდ, საყოველთაოდ გამოტანა ქალს სიკვდილად უღირს, ამიტომაც მამაკაციც არ უნდა ეცადოს გაალარიბოს იგი, რადგან ქალის სიმდიდრე მისი საიდუმლოა ;

ახლა ზვიად კვარაცხელია თბილისშია და მომდევნო შეხვედრისთვის ემზადება, რომელიც, როგორც პრეზენტაციაზე შევიტყვეთ, 11 აპრილს, 12:00 საათზე, ქალაქ რუსთავში გაიმართება. იქ მისი ახალი წიგნის ირგვლივ ისაუბრებენ. ჯერ თბილისი, მერე რუსთავი და ბოლოს ზუგდიდშიც დაგაფასებენო - გაეხუმრა ბოლოს კახმეგ კუდავა. ამ ავტორის წიგნის წაკითხვა ღირს , - მოუწოდებს მკითხველს ლევან ბრეგაძე, რომელსაც ვუერთდები და თუ იკითხავთ, როგორ წერს ის, რევაზ ინანიშვილის სიტყვებით გიპასუხებთ: - არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მწერალი გრძლად წერს თუ მოკლედ, მთავარია მწველად წერდეს ...

# სპორტი

## ერთა თასის ნაცვლად - ჩერჩილის თასზე

რაგბის გულშემატკივარს კარგად მოეხსენება, რომ აგერ უკვე ორი წელია ზაფხულობით ბორჯღალოსნები ერთა თასის გათამაშებაში მონაწილეობენ. ტურნირი ტრადიციულად რუმინეთში იმართება და ამ მხრივ გამონაკლისი არც ამჯერად მოხდება.

12-21 ივნისს რუმინეთის დედაქალაქი ბუქარესტი ტრადიციულ ერთა თასის გათამაშებას უმასპინძლებს, თუმცა წლევანდელი ტურნირი საქართველოს სარაგბო ნაკრების გარეშე ჩაივლის.

ბორჯღალოსნებმა შარშანდელ ტურნირში ჩინებულად ითამაშეს და ჩემპიონ სამხრეთ აფრიკის A გუნდის კვალად მეორე ადგილი დაიკავეს.

ცხადია, ქართველთა წარმატებები არც რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) ხელმძღვანელებს გამორჩენიათ და 2009 წელს ქართველები უფრო პრესტიჟულად მიჩნეულ ჩერჩილის თასზე მიიწვიეს.

ეს ტურნირი 6-29 ივნისს აშშ-ში ჩატარდება და, საქართველოს ნაკრების გარდა, მასპინძელი ამერიკა, კანადა, არგენტინა, ირლანდიის A და ინგლისის საქსონიის ნაკრებები ითამაშებენ.

რაც შეეხება ერთა თასს , მასში საქართველოს და სამხრეთ აფრიკის A გუნდები საფრანგეთისა და შოტლანდიის A ნაკრებებმა ჩაანაცვლეს.



*საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიოს მე-13 გუნდის სტატუსი შეინარჩუნა.*

საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიოს მე-13 გუნდის სტატუსი შეინარჩუნა. რაგბის საერთაშორისო საბჭოს ახალ რეიტინგში ბორჯღალოსნებს 70.39 ქულა შერჩათ და კვლავაც იტალიასა და ტონგას შორის იმყოფებიან.

ქართველი მორაგბეების მსგავსად, გასულ კვირაში საერთაშორისო მატჩები არც სხვა მოწინავე გუნდებს ჩაუტარებიათ. ასე რომ, ცვლილებები არც რეიტინგის ლიდერთა შორის მომხდარა.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1.ახალი ზელანდია | 92.68 | 14.ტონგა | 70.05 |
| 2.სამხრეთ აფრიკა | 89.45 | 15.კანადა | 69.12 |
| 3.ავსტრალია | 85.86 | 16.იაპონია | 68.05 |
| 4.ირლანდია | 83.27 | 17.რუსეთი | 66.18 |
| 5.არგენტინა | 81.56 | 18.რუმინეთი | 64.26 |
| 6.ინგლისი | 80.96 | 19.აშშ | 63.55 |
| 7.უელსი | 80.59 | 20.ურუგვაი | 62.78 |
| 8.საფრანგეთი | 79.94 | 21.პორტუგალია | 62.16 |
| 9.ფიჯი | 75.24 | 22.ს.კორეა | 59.02 |
| 10.შოტლანდია | 75.23 | 23.ესპანეთი | 59.01 |
| 11.სამოა | 72.57 | 24.ჩილე | 56.84 |
| 12.იტალია | 71.23 | 25.ნამიბია | 56.82 |
| **13.საქართველო** | **70.39** | 26.გერმანია | 55.74 |

## შოთა იამანიძე

მიხეილ აბაიშვილი

"სლავას დონის ფეხბურთელი ქართველებს არ გვყოლია. იგი ნამდვილი უნივერსალი იყო. მეტრეველს თანაბარი ძალით, უმაღლეს დონეზე შეეძლო თამაში ნებისმიერ პოზიციაზე როგორც ნახევარდაცვაში, ისე შეტევაში. მიშა მესხი პირადად მე ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მარცხენა გარემარბად მიმაჩნია. ამ ორ ბუმბერაზ ფეხბურთელს ნახევარდაცვის ცენტრში "კრავდა" შოთა იამანიძე. წარმოიდგინე, მარცხნივ მიხეილ მესხი თავისი თავბრუსხვევით, მარჯვნივ - უნივერსალი სლავა, მოედნის ცენტრში კი ფეხბურთის ნამდვილი რაინდი შოთა იამანიძე. ასეთ შემტევ ტრიოს ვერც ერთი მოწინააღმდეგე ვერ უძლებდა", - მითხრა რამდენიმე დღის წინ ალექსანდრე ჩივაძემ საქართველო-ჩერნოგორიის მატჩის შესვენების დროს, როცა ჩვენი ეროვნული ნაკრების უსახური თამაშის შემყურენი ძველს მივტიროდით და ლეგენდარულ ქართველ ფეხბურთელებს ვიხსენებდით. იყო კაპიტანი გუნდში, რომელშიც თამაშობდნენ მესხი, მეტრეველი, ბარქაია, დათუნაშვილი, კოტრიკაძე, სიჭინავა, ჩოხელი და იმ დროის სხვა გამორჩეული ფეხბურთელები, თან ამ გუნდთან ერთად გახდე საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ერთი წამით წარმოვიდგინოთ, რომ მაშინ საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა ყოფილიყო და ეროვნული ნაკრების მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე გამოყვანა შეგვძლებოდა. მერწმუნეთ, საქართველოს ნაკრები აუცილებლად ფავორიტებს შორის იქნებოდა და წარმატების დიდი შანსიც ექნებოდა.

სამწუხაროდ, ახალმა თაობებმა ძალიან ცოტა იციან გასული საუკუნის 60-იანი წლების იმ ფეხბურთელებზე, რომლებსაც ქართველი ქომაგები მართლაც რომ აღმერთებდნენ. დღე, როცა თბილისის "დინამო" საშინაო თამაშს ატარებდა, ნამდვილი მოვლენა იყო და ზეიმი რამდენიმე დღით ადრე იწყებოდა. იმ პერიოდში "დინამოს" ვარჯიშებზე გაცილებით მეტი ხალხი დადიოდა, ვიდრე დღეს - მის თამაშებზე. ყველაზე ბედნიერი კი ის იყო, ვინც ბილეთის შოვნას მოახერხებდა. საზოგადოება დაყოფილი იყო რამდენიმე ბანაკად. იყვნენ მესხისტები, მეტრეველისტები, იამანიძისტები, ბარქაიისტები და მთელი დღეები იყო დავა-კამათი, მესხი უფრო მაგარია თუ მეტრეველი, იამანიძე თუ ბარქაია. ქართველი ბავშვები, რომლებიც დღეს, ეზოში თამაშისას, ხან რონალდინიოები არიან და ხან მესები, მაშინ პელე ვარ ან დი სტეფანოო, სულაც არ ამბობდნენ და საკუთარი, ქართველი კერპები ჰყავდათ, კერპები, რომლებსაც არა მხოლოდ საქართველო ან საბჭოთა კავშირი აღიარებდა ნამდვილ ჯადოქრებად, არამედ მთელი მსოფლიო. იმ პერიოდში განა ვიღაც ჩერნოგორიებს, ლუქსემბურგებს ან კვიპროსებს, არამედ "რეალებს", "ინტერებს", "ლივერპულებს" და ევროპის სხვა გამორჩეულ გუნდებს ვეთამაშებოდით ტოლსწორად. თაობები იზრდებიან და ჰგონიათ, რომ ადგილი, რომელიც საქართველოს თანამედროვე ფეხბურთში უკავია, მეტნაკლებად შეგვეფერება, რომ ტრადიციები და ისტორია უკეთესის უფლებას არ გვაძლევს. სინამდვილეში ქართულ ფეხბურთს აქვს უმდიდრესი ტრადიცია და ისტორია, ჰყავს ნამდვილი ლეგენდები, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია შოთა იამანიძეს, ნამდვილ კაპიტანს, ქართველ რაინდს როგორც მწვანე მინდორზე, ისე მის ფარგლებს გარეთ.

სწორედ შოთა იამანიძეს ეძღვნება ბიოგრაფიული ხასიათის გამოცემა, რომლის ავტორი, რა თქმა უნდა, იმ ეპოქის ქართული ფეხბურთის მემატიანე დემიკო ლოლაძეა. ბატონმა დემიკომ "ოქროს ბიჭების" თაობის თითქმის ყველა ფეხბურთელზე გამოსცა წიგნები, რომლებიც იმ ეპოქის ნამდვილი ისტორიაა. 120-გვერდიანი ნაშრომი ამომწურავ ინფორმაციას იძლევა არა მხოლოდ შოთა იამანიძეზე, არამედ იმ ეპოქის თბილისის "დინამოსა" და იმ სულისკვეთებაზე, რომელიც ქართულ ფეხბურთში სუფევდა. წიგნი გამოვიდა შოთა იამანიძის მეგობრებისა და თაყვანისმცემლების ფინანსური ხელშეწყობით. მსურველებს მისი შეძენა შეუძლიათ ყაზბეგის ქუჩა №4-ში, რუსთაველის №24 და №40-ში მდებარე წიგნის მაღაზიებში.

### 16 ქართველი რეიტინგში

ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის (WTA) მიერ გამოქვეყნებულ ახალ რეიტინგში ქართველ ჩოგბურთელთა უმეტესობამ უკუსვლა განიცადა. საუკეთესო შედეგი აქვს ანა ტატიშვილს, რომელიც 392 ქულით 158-ე ადგილზეა. 158 (150). ანა ტატიშვილი - 392; 215 (206); მაკა ჩახნაშვილი - 246; 254 (244). სოფო შაფათავა - 200; 351 (351). ოქსანა კალაშნიკოვა - 126; 602 (600). ეკატერინე გორგოძე - 46; 684 (658). სოფო ქვაცაბაია - 34; 726 (714). მანანა შაფაქიძე - 29; 735 (739). სალომე დევიძე - 28; 897 (903). სოფო მელიქიშვილი - 16;

7 ქართველი ვაჟი მოხვდა პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (ATP) ახალ კლასიფიკაციაში, რომლის სათავეში კვლავ ირაკლი ლაბაძეა.

513 (515). ირაკლი ლაბაძე - 96; 904 (909). ლაზარე კუხალაშვილი - 24; 1002 (1005). ლადო ჩიხლაძე - 17; 1016 (1018). ნიკოლოზ ბასილაშვილი - 16; 1311 (1312). ნოდარ ითონიშვილი - 6; 1554 (1555). ბექა ბუჩუკური - 2; 1641 (1644). დემეტრე თაქთაქიშვილი - 2;

### კაკა "რეალში" გადადის

მადრიდის რეალის პრეზიდენტის ვაკანტური თანამდებობის დაკავების ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატი ფლორენტინო პერესი იტალიის მილანს ბრაზილიელი შემტევი ნახევარმცველის კაკას შეძენის თაობაზე უკვე შეუთანხმდა. ავტორიტეტული ესპანური სპორტული გამოცემა Marca იუწყება, რომ მიმდინარე წლის 16 მარტს პერესი მილანელთა ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის შეხვდა. მხარეების შეთანხმების თანახმად, სენიორ ფლორენტინოს გაპრეზიდენტების შემთხვევაში სამეფო კლუბი კაკას 60 მილიონ ევროდ შეიძენს. 2001 წელს, სწორედ პერესის პრეზიდენტობის დროს, რეალმა დღემდე სარეკორდო სატრანსფერო თანხად - 66 მილიონ ევროდ ტურინის იუვენტუსიდან საფრანგეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების შემტევი ნახევარმცველი ზინედინ ზიდანი შეიძინა. სამეფო კლუბის პრეზიდენტის არჩევნები 2009 წლის ივნისში გაიმართება.

### კრუიფის აზრით, "ბარსა" რიბერის უნდა უფრთხოდეს

ბარსელონას ყოფილი მოთამაშე და მწვრთნელი, ლეგენდარული ჰოლანდიელი იოჰან კრუიფი მიიჩნევს, რომ კატალონიელები ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში მეტოქის - მიუნხენის ბაიერნის მოთამაშეთაგან ყველაზე მეტად ფრანკ რიბერისა და ლუკა ტონის ნეიტრალიზებას უნდა ეცადონ.

ყველამ იცის, რომ რიბერი დიდებული მოთამაშეა, მაგრამ ის დიდებულია მხოლოდ მაშინ, როცა ბურთს ფლობს, - წერს კრუიფი თავის ყოველკვირეულ სვეტში, - ჩვენ თუ შევძლებთ, შევზღუდოთ იგი და თამაშს გამოვთიშოთ, უსიამოვნებებს თავიდან ავირიდებთ. საშუალოდ რამდენჯერ ეხება ის ბურთს მატჩის მსვლელობისას? ოცდაათჯერ? ოცჯერ? თუ მოვახერხებთ, რომ ბურთი მან მხოლოდ ათჯერ მიიღოს, მისგან მომდინარე საფრთხეს 50 პროცენტით შევამცირებთ. მაგრამ მაშინაც კი ძალიან ფხიზლად უნდა ვიყოთ. ეს ეხება მათ შეტევასაც. მაგრამ აქ ტონი განსაკუთრებული შემთხვევაა. მას სულაც არ სჭირდება ბევრი ბურთი, რომ საკუთარი თავისთვის ან თანაგუნდელებისთვის შანსი შექმნას. მასთან დაკავშირებით მთავარი კითხვა ის კი არ არის, თუ ვინ აიყვანს მას პერსონალურად, არამედ ის, თუ რამდენად კარგად მოვახერხებთ ჩვენ ის, რაც შეიძლება, მეტხანს ვამყოფოთ საჯარიმოს გარეთ. საერთოდ, პირადად მე ვარჩევდი, მათ კამპ ნოუზე ჩამოსვლამდე მოეგოთ და არა 1:5 დამარცხებულიყვნენ. ეს წაგება ჩვენ მათი ახლანდელი რეალური ფორმის თაობაზე დასკვნის გაკეთებას გვიძნელებს. თანაც, არაფერია დაკოდილ და თავმოყვარეობაშელახულ ამაყ მეტოქეზე უარესი. თუმცა, მეორე მხრივ, ეს გვიბიძგებს, მეტი ყურადღება გამოვიჩინოთ, რაც ჩვენი კონკურენტუნარიანობის გაზრდაშიც დაგვეხმარება, - დაასკვნის კრუიფი.

### იანკოვი "ჰანოვერს" 4-6 კვირით გამოაკლდა

ექიმთა დასკვნით, ჰანოვერის 25 წლის ბულგარელი ნახევარმცველი ჩავდარ იანკოვი, რომელმაც წინა კვირაში კვიპროსის ნაკრების წინააღმდეგ მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩის წინა დღეს მარცხენა ფეხის ტრავმა მიიღო, 4-დან 6 კვირამდე იუქმებს. იანკოვს წინა ტერფის მოტეხილობა დაუდგინდა.

## სამუკაშვილმა ევროპირველობა ტრავმის გამო ვერ დაასრულა

რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში დაწყებულ ევროპის ჩემპიონატზე ძალოსნობაში ქართველმა ზვიად სამუკაშვილმა ტრავმა მიიღო და ასპარეზობის დასრულება ვერ შეძლო. 56 კგ. წონით კატეგორიაში სამუკაშვილმა ატაცში 95 კგ-იანი შტანგა ასწია, თუმცა 100 კგ-ის დაჭიდებისას დაშავდა და აკვრაში ფიცარნაგზე აღარ გამოსულა. ცხადია, უძლიერეს A ჯგუფში ზვიადი ბოლო ადგილზე დარჩა, ჩემპიონობა კი ბელგიელმა ტომ გოეგებუერმა იზეიმა. მან 252 ქულა (115+137) მოაგროვა. 11 აპრილს ევროპის ჩემპიონატში კიდევ ორი ქართველი ძალოსანი ჩაებმება - ალბერტ კუზილოვი და გია მაჭავარიანი 105 კგ. წონით კატეგორიაში მოსინჯავენ ძალებს.

## დაეის ნაცვლად - მაიელიკოჰანი

ირანის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად, გუნდიდან დათხოვნილი ალი დაეის ნაცვლად, დანიშნეს მოჰამედ მაიელიკოჰანი, რომელსაც ამ თანამდებობაზე ადრეც უმუშავია. დაეი 28 მარტს, 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საუდის არაბეთთან 1:2 წაგებული მატჩის შემდეგ გაუშვეს პოსტიდან. მაიელიკოჰანი, რომელმაც ჯგუფში ირანელთა სატურნირო მდგომარეობა უნდა გამოასწოროს (6 ქულით მე-4 ადგილი 5 მატჩის შემდეგ), ნაკრებს 1995-1997 წლებში წვრთნიდა.

## კატანეცი გადადგა

მაკედონიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სრეჩკო კატანეცმა დაკავებული თანამდებობა დატოვა.

კატანეცის გადადგომის მიზეზი აღმოჩნდა 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჰოლანდიასთან 0:4 წაგებული მატჩის წინ მწვრთნელსა და გუნდის თავდამსხმელ გორან პანდევთან მომხდარი კონფლიქტი.

გუნდიდან 0:4 წაგების გამო არ მივდივარ. ამის მიზეზი ჩემსა და პანდევს შორის მომხდარი მცირე კონფლიქტია, რის გამოც ნაკრებში ცუდი ატმოსფერო შეიქმნა. ზოგიერთმა ფეხბურთელმა მომხდართან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება მასმედიასაც გაუზიარა, რაც ჩემთვის მიუღებელია. მსგავსი ვითარება გუნდში მუშაობას შეუძლებელს ხდის , - ნათქვამია კატანეცის ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც მაკედონიის ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდმა გამოაქვეყნა. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ მაკედონიას მე-9 შესარჩევ ჯგუფში, რომელშიც, ბალკანელების გარდა, ჰოლანდია, შოტლანდია, ისლანდია და ნორვეგია გამოდიან, მეორე ადგილის დაკავების შანსი კიდევ აქვს, რაც გუნდს პლეი-ოფში თამაშის საშუალებას მისცემს. თუმცა, კატანეცის აზრით, ამისთვის მაკედონიელებს ისეთი მწვრთნელი სჭირდებათ, რომელიც ნაკრებში ნორმალურ სამუშაო ატმოსფეროს აღადგენს.

## რიბერი "ბაიერნში" რჩება

მიუნხენის ბაიერნის მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა Muenchner Merkur-ისთვის მიცემულ ინტერვიუში კიდევ ერთხელ და ალბათ საბოლოოდ განაცხადა, რომ ფრანკ რიბერი მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ არსად არ მიდის. ფრანკი ყველა შემთხვევაში ჩვენთან რჩება, ეს გადაწყვეტილია, - თქვა მან, - ეს მანაც იცის. მან ისიც იცის, რომ ბაიერნის სახით ისეთი კლუბი იპოვა, რომელსაც ევროპის ყველა ზეკლუბთან ტოლსწორად შეუძლია პაექრობა, შიდასაკლუბო ურთიერთობათა თვალსაზრისით კი ჩვენ, შესაძლოა, სხვებს ვჯობივართ კიდეც. უკვე რამდენიმე თვეა ევროპულ პრესაში განუწყვეტლივ ქვეყნდება ცნობები ამა თუ იმ ბობოლა ევროპულ კლუბში რიბერის შესაძლო გადასვლის შესახებ. თავად რიბერის თქმით, მას ეს მითქმა-მოთქმა უკვე აღიზიანებს.

ჭორები ჩემი მომავლის შესახებ ძალიან მანერვიულებს, - უთხრა მან ევროსპორტს , - ბოლო დროს მედიაში სულ ჩემს შესაძლო ტრანსფერზე საუბრობენ. ყველა მეკითხება, ვრჩები თუ მივდივარ, თუ მივდივარ, სად და ასე შემდეგ. ეს ამბავი ხელს მიშლის და დიდი ენერგია მიაქვს. აქ თავს მშვენივრად ვგრძნობ, კლუბთან კონტრაქტი 2011 წლამდე მაკავშირებს და მინდა მასთან ერთად არაერთი ტიტული მოვიგო. ის, რომ საფრანგეთის ნაკრებში მისი ბოლოდროინდელი დიდებული გამოსვლების შემდეგ ფრანგული პრესა რიბერის ნაკრების შესაძლო კაპიტნად განიხილავს, კლინსმანისთვის დიდი პატივია. ჩვენ ძალიან გვახარებს ის, რომ მისი პოზიცია ევროპულ ფეხბურთში სულ უფრო და უფრო ანგარიშგასაწევი ხდება, - თქვა მან, - ეს ხომ ბაიერნის მიერ გაწეულ სამუშაოზეც მეტყველებს. რაც უფრო მეტად დააფასებენ მას, მით უფრო დიდი კომპლიმენტი იქნება ეს ბაიერნისთვის . თავად რიბერისთვის მისი შესაძლო კაპიტნობა მეორეხარისხოვანი საკითხია.

ჩემი მიზანია თანაგუნდელებს ჩემი კარგი განწყობა და მოტივაცია გადავდო, - დასძინა მან.

# მალხაზ ასათიანი: საუკეთესო ქართველი ფეხბურთელი კახა კალაძეა

მალხაზ ასათიანმა მოსკოვის ლოკომოტივი იმიტომ დატოვა, რომ იქ თამაშის საშუალება არ ჰქონდა, თუმცა კიევში გადასვლით ვითარება დიდად არ შეცვლილა. დინამოში ათი მცველი ირიცხება, კონკურენცია დიდია და ასკა ძირითადში ვერ ხვდება. ძირითადს ვინ ჩივის, ქართველ ფეხბურთელს თამაშის საშუალება საერთოდ არ ეძლევა. სამაგიეროდ ჟურნალისტებთან ურთიერთობისთვის მალხაზს დიდი დრო რჩება. ერთ-ერთმა უკრაინელმა ჟურნალისტმა ქართველ მცველს ვრცელი ინტერვიუ ჩამოართვა, რომელშიც მალხაზი თავის დღევანდელ ყოფაზეც საუბრობს და საქართველოს ნაკრებზეც. გთავაზობთ ამ ინტერვიუს მცირეოდენი შემოკლებით.

**- მალხაზ, მოედანზე როდის გიხილავთ?**

- აბა, რა გითხრათ. ჩემზე არაფერია დამოკიდებული. როდესაც მწვრთნელი მათამაშებს, მინდორზეც მაშინ გავალ.

**- ფიზიკურად რამდენად კარგად ხართ მომზადებული?**

- ჩემი აზრით, სათამაშო ფორმა აღვიდგინე და 90 წუთი სათამაშოდ მზად ვარ.

**- დინამოს შემადგენლობაში ათი მცველია. ეს ბევრი ხომ არ არის?**

- ალბათ ეს კითხვაც სხვას უნდა დაუსვათ. გუნდის სტრატეგიას და სატრანსფერო პოლიტიკას მე არ განვსაზღვრავ. რაკი გუნდში ამდენი მცველია, ესე იგი, კლუბის მესვეურებს ასე მიაჩნიათ საჭიროდ.

**- თანაგუნდელებიდან ვისთან გაქვთ ყველაზე კარგი ურთიერთობა?**

- ვინმეს გამოყოფა არ მინდა. გუნდში საუცხოო ატმოსფეროა და თავს კომფორტულად ვგრძნობ.

**- თქვენი სატრანსფერო უფლებები ისევ მოსკოვის ლოკომოტივს ეკუთვნის. რუსულ კლუბთან კონტრაქტი როდის გიმთავრდებათ?**

- 2010 წლის ბოლოს.

**- მოდი, ვისაუბროთ საქართველოს ნაკრებზე, რომელშიც 35 მატჩი ჩაატარეთ და 4 გოლი გაიტანეთ. ბოლოს ეროვნულ გუნდში როდის ითამაშეთ?**

- გასულ წელს, ირლანდიასთან, შუა თამაშში შევედი მოედანზე. ის მატჩი 1:2 წავაგეთ.

**- შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ნაკრებს კრიზისი აქვს. რას უკავშირდება მთლიანად ქართული ფეხბურთის რეგრესი?**

- პრინციპში ეს მოსალოდნელი იყო. თავად განსაჯეთ: ეროვნული ჩემპიონატის დონე კატასტროფულად დაბალია. მაღალი კლასის ფეხბურთელების მოძიება შეუძლებელი ხდება. ადრე ქართველი ფეხბურთელები მრავლად თამაშობდნენ ევროპულ კლუბებში, თანაც საკმაოდ მაღალ დონეზე. ახლა კი ევროპას ვეტერანებიღა შემორჩნენ. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ საქართველოს ნაკრებს მძიმე პერიოდი უდგას.

**- არადა, იყო დრო, როცა საქართველოს ნაკრების 8-9 ფეხბურთელი ძლიერ ევროპულ კლუბებში თამაშობდა. მაშინ რატომ ვერ მოხერხდა წარმატების მიღწევა?**

- ლოგიკურია, რომ ეს კითხვა ყველას უჩნდება. ათი წლის წინ საუკეთესო თაობა გვყავდა. მაშინ ევროპის ან მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა სულაც არ იყო არარეალური. ჩემი აზრით, იმ პერიოდში ქარიზმატული მწვრთნელი არ გვყავდა, ისეთი, როგორიც თუნდაც გუს ჰიდინკია. არ მინდა ამით საქართველოს ნაკრების ყოფილ თავკაცებს ვაწყენინო. უბრალოდ, არ აღმოჩნდა ადამიანი, რომელიც ყველას ჩაუნერგავდა, რომ, რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, ევროპის ან მსოფლიო ჩემპიონატზე გავსულიყავით.

**- ვინ მიგაჩნიათ საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად - ვგულისხმობთ დამოუკიდებელი საქართველოს საფეხბურთო ისტორიას.**

- კახა კალაძეს, შოთა არველაძეს, თემურ ქეცბაიას, გიორგი ქინქლაძეს, ზურაბ ხიზანიშვილს, ალექსანდრე იაშვილს, ლევან კობიაშვილს, რომლებიც ძალიან ძლიერი ფეხბურთელები არიან. მათ შორის საუკეთესო კი ალბათ მაინც კახა კალაძეა, რომელმაც მილანთან ერთად ორჯერ მოიგო ჩემპიონთა ლიგა.

**- ვინ მიგაჩნიათ ყველაზე პერსპექტიულ ქართველ ფეხბურთელად?**

- ლევან ყენია.

**- უკვე 27 წლის ხართ. კიდევ რამდენ ხანს შეძლებთ მაღალ დონეზე თამაშს?**

- თუ ჯანმრთელობამ ხელი შემიწყო და ტრავმები ავიცილე, სულ მცირე, ხუთ წელიწადს კიდევ ვითამაშებ.

**- კარიერის დასრულების შემდეგ სად აპირებთ ცხოვრებას?**

- თბილისში.




*ასათიანის აზრით, ნაკრებში არსებული კრიზისი ლოგიკურია*

# აბრამოვიჩმა ჰიდინკის შემცვლელი მონახა

ლონდონის ჩელსის მფლობელი რომან აბრამოვიჩი თავისი გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტის დაკავებას იტალიური მილანის მწვრთნელ კარლო ანჩელოტის შესთავაზებს. სავარაუდოდ, კარლიტო ჩელსის ჩაიბარებს 2009 წლის ზაფხულში, როდესაც არისტოკრატიულ კლუბს ჰოლანდიელი გუს ჰიდინკი დატოვებს. ამის თაობაზე ინფორმაციას ბრიტანული გამოცემა The Daily Mail ავრცელებს.

გამოცემის ცნობით, აბრამოვიჩმა უკვე აუწყა თავისი გუნდის ფეხბურთელებს, რომ ვერ შეძლებს ჰიდინკის შენარჩუნებას და ამას პოლიტიკური მიზეზები აქვს. კერძოდ რა მიზეზებზეა საუბარი, ამას ბრიტანული გაზეთი არ აკონკრეტებს. არც ისე დიდი ხნის წინ ჩელსის ფეხბურთელებმა თხოვნით მიმართეს აბრამოვიჩს, რომ მას ჰიდინკი დაეტოვებინა მწვრთნელად, თუმცა ჰოლანდიელი სპეციალისტი რუსეთის საფეხბურთო კავშირთან კონტრაქტის გაწყვეტას არ აპირებს, ასე რომ, ზაფხულში სრულფასოვნად დაუბრუნდება თავის სამუშაოს რუსეთის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე.

მას შემდეგ, რაც ფეხბურთელებმა გაიგეს, რომ ჰიდინკის შენარჩუნება არარეალურია, მათ აბრამოვიჩს სთხოვეს ჟოზე მოურინიოს დაბრუნება, რომლის ხელმძღვანელობით ჩელსი ორჯერ გახდა ინგლისის ჩემპიონი, თუმცა რუსმა მილიარდერმა პორტუგალიელის დაბრუნებაზე საუბარიც არ ისურვა.

სამაგიეროდ აბრამოვიჩმა აქტიურად დაიწყო მოლაპარაკება ანჩელოტისთან და მას სამწლიანი კონტრაქტი შესთავაზა.

კარლო ანჩელოტის კონტრაქტი მილანთან სწორედ 2009 წლის ზაფხულში იწურება. იტალიურ გრანდთან ერთად კარლიტომ ორჯერ მოიგო ჩემპიონთა ლიგა და ერთხელ ამ ტურნირის ფინალში ითამაშა.

თავად ანჩელოტიმ მარტში განაცხადა, რომ მილანის დატოვება არ სურს. თუმცა აქ გასათვალისწინებელია ერთი დეტალი. როსონერის ვიცე-პრეზიდენტის ადრიანო გალიანის განცხადებით, ანჩელოტისთან ახალი კონტრაქტი მხოლოდ იმ შემთხვევაში გაფორმდება, თუ გუნდი, სულ მცირე, მესამე ადგილს დაიკავებს იტალიის ჩემპიონატში. ახლა მილანი სწორედ მესამე ადგილზეა და მეოთხე ადგილზე მყოფ გუნდს ოთხი ქულით უსწრებს.

ლონდონელებს ანჩელოტის გადაბირება 2008 წლის ზაფხულშიც სურდათ, მაგრამ იტალიელმა ჩელსიში გადასვლაზე უარი თქვა. მაშინ აბრამოვიჩმა გუნდის მთავარ მწვრთნელად დანიშნა ბრაზილიელი ლუიშ ფელიპე სკოლარი, რომელიც შუა სეზონში თანამდებობიდან დაითხოვა.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერია (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7) აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში სანიაღვრე ქსელის მოწყობის და კოლექტორის აღდგენა-რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**1. შესყიდვის ობიექტი -** ქ. თბილისში სანიაღვრე ქსელის მოწყობის და კოლექტორის აღდგენა-რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა;

**შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 6 (ექვსი) ლოტად:**

**ლოტი N1** - ქ.თბილისში, ყაზბეგის ჩიხში (ფიზიკის ინსტიტუტთან) სანიაღვრე ქსელის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა;

**ლოტი N2** - ქ.თბილისში, დიღმის მასივი, II კვ. N12 კორპუსის მიმდებარედ სანიაღვრე ქსელის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა;

**ლოტი N3** - ქ.თბილისში, დიღმის მასივი, VI კვ. N7 კორპუსის მიმდებარედ სანიაღვრე ქსელის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა;

**ლოტი N4** - ქ.თბილისში, გლდანის მასივი, VII მ/რ. N21 კორპუსის მიმდებარედ სანიაღვრე ქსელის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა;

**ლოტი N5** - ქ.თბილისში, ბ. ხმელნიცკის ქ. N48, კორპუსი N1, 2, 2აბ, 3, 3აბვგ, 4, 4აბ, 5, 6, 7, 8, 10-ის მიმდებარედ სანიაღვრე ქსელის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა;

**ლოტი N6** - ქ.თბილისში, "პატარა ხევძმარის" კოლექტორის (ჩარგლისა და ლეკიშვილის ქუჩების გადაკვეთასთან, ყოფილ "გაგარინის სკოლასთან") აღდგენა-რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა;

***საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების სავალდებულო ვადა - ლოტი N1, N2, @3, N4, N5 ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვე; ლოტი N6 ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვე;***

2. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 28 აპრილის 11:00 საათიდან 2009 წლის 28 აპრილის 16:30 საათამდე, მისამართზე: **ქ.თბილისი, ჟ. შარტავს ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური**.

3. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**3.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**3.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**3.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:**

ა) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ბ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიციკაციის და გამოცდილების შესახებ, მ. შ. ანალოგიური საქმიანობის სფეროში;

გ)ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

4.პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

*შენიშვნა: მომსახურების გასაწევად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-3 მუხლის მიხედვით;*

*ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.*

5.თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით უნდა იყოს გადახდილი შემდეგ რეკვიზიტებზე:

**მიმღების დასახელება**: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიში: N200122900, ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174.

**გადახდის დანიშნულება** - სატენდერო მოსაკრებელი, **ქ. თბილისში სანიაღვრე ქსელის მოწყობის და კოლექტორის აღდგენა-რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების (6 ლოტიანი)** სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

7.სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 8 აპრილის 11:00 საათიდან 2009 წლის 28 აპრილის 11:00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

8.პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

8.შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

9. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე, ცირა მაღრაძე, ტელეფონი - (995-32) 37-85-72

**სატენდერო კომისია**

---

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ''სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური''**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ''სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური'' აცხადებს ტენდერს მცენარეთა დაცვის 2009 წლის მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში ტალონური სისტემით საწვავის შესყიდვაზე სამ ლოტად**

***ლოტი I***

***ბენზინი "რეგულარი" ოქტანური რიცხვით 91 - 92 --- 7 000 ლიტრი:***

***ლოტი II***

***დიზელი (ევრო) - 8 000 ლიტრი.***

***ლოტი III***

***დიზელი (ლ - 62) - 80 000 ლიტრი***

და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. საქონლის (ტალონების) მიწოდება უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს

2009 წლის 25 მაისისა, ხოლო მომსახურება გაწული უნდა იქნეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მიმწოდებლის კუთვნილ ბენზინგასამართ სადგურებზე მოწოდებული ტალონების სრულ განაღდებამდე;

2. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტით, ორ ეგზემპლარად (*ორიგინალი და ასლი*) უნდა წარმოადგინონ **2009 წლის 28 აპრილს 10 საათიდან 15 საათამდე** შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, მის: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ.N15ა.

3. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება **2009 წლის 28 აპრილს 15 საათზე** ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) მონაწილე პირის რეკვიზიტებს (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ ტენდერში მონაწილე პირის ქონებაზე არ არსებობს საჯაროსამართლებრივი შეზღუდვა.

დ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ

ე) ცნობას საგადასახადო ორგანოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია; (იურიდიული პირის შემთხვევაში).

ვ) ცნობას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

5. შერჩევის ეტაპზე შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება განცხადების მე-4 პუნქტში

მითითებული ინფორმაცია (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საჭირო გახდება

საკვალიფიკაციო მონაცემების ხელახალი დადასტურება და ასევე "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის, თუ პრეტენდენტები დადგენილ ვადაში არ წარმოადგენენ მე-4 პუნქტში მითითებულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას და/ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი.

7. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

8. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ **200 (ორასი)** ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ ***მ/წლის 8 აპრილის 10 საათიდან 2009 წლის 27 აპრილის 18 საათამდე,*** შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ.N15ა.

9. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს შეუძლია მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

10. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, რომლის ოდენობა უნდა შეადგენდეს სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ს.

11. სატენდერო წინადადებების წარდგენისა და კონვერტების გახსნის ალტერნატიული წესი არ განიხილება.

12. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით.

13. სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ რეკვიზიტებზე: მიმღები: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი 220101222, ანგარიშის N200122900, დანიშნულების კოდი: 300773174, ინფორმაცია: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება "სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური", ს/კ: 205142200.

14. დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ბატონ გერონტი ფრუიძეს სატენდერო კომისიის აპარატში, მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ.N15ა, მე-4 სართული, ოთახი N21; ტელ: (995 032) 39 22 56; 899 38 14 06.

*საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო*
*საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის,*
*ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის*
*სატენდერო კომისია*

# ალმოაჩინე ქართული რაგბი



*ქართულ ხასიათთან ყველაზე ახლოს მდგომი სპორტის სახეობა რაგბი კიდევ ერთხელ ალმოვაჩინეთ. ალმოვაჩინეთ ფოტოებში, რომელიც ბორჯღალოსანთა შერკინებებზე, მოლსა თუ რაქზე და, რა თქმა უნდა, ლელოებზე მოგვითხრობდა. საქართველოს რაგბის კავშირის, შპს ქართული რაგბისა და კაფე-ბარი დისქავერის ინიციატივითა თუ იდეით ფოტოკონკურსი ალმოაჩინე ქართული რაგბი მოეწყო.*

ერთი სიტყვით, იდეა სპონტანურად გაჩნდა. ამგვარმა სპონტაურობამ კი გუშინ კაფე-ბარ დისქავერში მიგვიყვანა, სადაც ფოტოკონკურსის ორგანიზატორებსა თუ მასპინძლებს ქართველ ფოტოჟურნალისტთა 39 ნამუშევარი გამოეფინათ. მართალია, ასეთი ნამუშევრები მთლიანობაში ხუთ ათეულს აღემატებოდა, მაგრამ სეკვესტრი ვიწრო სივრცემ განაპირობა.

ზოგადად კი კონკურსში მონაწილეობა მიიღო ქართული სპორტული სამყაროსთვის კარგად ნაცნობმა ფოტოჟურნალისტებმა: ეკა ელოშვილმა, ბადრი კეთილაძემ, გოგა ჩანადირმა, ზურაბ გენგიურმა, ნუგზარ სუარიძემ, დათო ცხადაძემ, სანდრო კოტორაშვილმა, გიორგი ჭანიშვილმა, ავთანდილ გურასაშვილმა და გოგიტა ბუხაიძემ.

იდეა მართლაც კარგი გამოდგა.

- გამოფენა კონკურსით კმაყოფილი ჩანდა საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი გია ნიჟარაძე. - პირადად მე აქ გამოფენილი ფოტოების ნახევარს საუკეთესოდ ვაღიარებდი, მაგრამ ვინაიდან კონკურსია მათ შორის ერთი შევარჩიე.

რჩეულთა შორის რჩეულის გამოვლენამდე კონკურსის ორგანიზატორებმა საარჩევნო კოდექსი გაგვაცნეს, რომლის მიხედვითაც დამსწრეთ საშუალება მოგვეცა საკუთარი რჩეული ნამუშევრები მათთვის განკუთვნილი ნომრებითურთ მომცრო ფურცლებზე აღგვენიშნა და შემდგომ უკვე ერთგვარ აკვარიუმში ჩაგვეყარა.

ხმის დათვლამ დაახლოებით 40 წუთს გასტანა. ბოლოს კი გამარჯვებულთა ვინაობაც შევიტყვეთ. დიახ, გამარჯვებულთა და არა გამარჯვებულის. საქმე ისაა, რომ გოგიტა ბუხაიძის, ავთანდილ გურასაშვილისა და სანდრო კოტორაშვილის ფოტოებმა ხმათა თანაბარი რაოდენობა (8-8) დააგროვეს. ფოტოკონკურის ორგანიზარტორებსაც ბევრი არ უფიქრიათ და სამივე მათგანი გამარჯვებულებად გამოაცხადა. საგულისხმოა ისიც, რომ გოგიტა ბუხაიძე და ავთანდილ გურასაშვილი ჩვენი გაზეთის ჟურნალისტები თუ ფოტო-რეპორტიორები არიან.

24 საათი
The New York Times
Articles selected for 24 საათი
Weekend
1 მარტიდან

საცალო ვაჭრობაში “24 საათის” სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება.

მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც.

ასეთ შემთხვევაში ხელმოწერის ფასები შესაბამისად იქნება:

1 წლით ———————— 52 ლარი;
6 თვით ———————— 26 ლარი;
3 თვით ———————— 13 ლარი;
1 თვით ———————— 4 ლარი.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალეკო ლომიძე;





**შპს „ჰაიდელბერგცემენტ კავკასუსი" აცხადებს ტენდერს**

შემდეგი სახის სამუშაოების ჩატარებაზე: რუსთავის ცემენტის ქარხნის ტერიტორიაზე არსებულ სასწორებზე (სარკინიგზო PC-150Ц-13B1 ( 3 ცალი) და საავტომობილო PC-60Ц-13AC):

1. მექანიკური შეკეთება
2. დაკალიბრება
3. დამოწმება

დაინტერესებულ კომპანიებს სატენდერო მასალების წაღება შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან, ქვემოთ მოცემულ მისამართზე:
შპს „ ჰაიდელბერგცემენტ კავკასუსი"
წინამძღვრიშვილის ქ. № 90
ტელ: +995 77 57 75 12;
−995 32 47 47 47
ელ. ფოსტა: tamriko.darakhvelidze@heidelbergcement.com
თამარ დარახველიძე
წინადადებების მიღების ბოლო ვადაა: 2009 წლის 16 აპრილი

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**
**ტენდერში ცვლილების შეტანის შესახებ**

თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2009 წლის 1 აპრილს გამოცხადებულ ტენდერში, დაფინანსების წყარო სახელმწიფო ბიუჯეტი, **შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება"** ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

**შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:**

**ლოტი 1. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2 ცალი ჭაბურღილის ბურღვის და ექსპლუატაციაში გაშვების სამუშაოები.**

თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა. სატენდერო კომისიის აპარატი. ტელ: 8 250 7 31 05.

# განცხადება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ფოთის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) აცხადებს ღია აუქციონს შპს „პორტ მეტალ სერვისი"-ს ს/ნ 215112937 (მდებარე: ქ. ფოთი, 9 აპრილის ხეივანი №29/34) დაყადაღებული ქონების რეალიზაციის მიზნით. სარეალიზაციოდ გამოტანილ იქნება შპს „პორტ მეტალ სერვისი"-ს შემდეგი დასახელების ქონება:

| № | საგნების დასახელება და აღწერა (განმასხვავებელი ნიშნები, ცვეთა და სხვა). | ზომის ერთეული (ზომა, წონა, მეტრაჟი და სხვა): | თითოეული საგნის შეფასება ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | | | ერთეულის ფასი | საბაზრო ღირებულება |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | ამწეკრანი „სიდერ პიომბინო" | 2001 | | 2425000 |
| 2 | ასლგადამღები აპარატი (ქსეროქსი) cenon 6512 | 2001 | | 350 |
| | სულ ჯამი | | | 2425350 |

ქონების საერთო ღირებულება: 2425350 (ორიმილიონოთხასოცდახუთიათას სამასორმოცდაათი) ლარი

ქონების ადგილმდებარეობის ფაქტიური მისამართია: ქ. ფოთი, ფოთის საზღვაო ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორია

აუქციონი გაიმართება 2009 წლის 11 მაისს 16 სთ-ზე შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. №7, ფოთის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შენობაში.

აუქციონზე ქონების შეძენის მსურველებმა აუქციონის ჩატარებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე უნდა შეიტანონ შესაძენი ქონების ღირებულების 2% (მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ცენტრალიზებული ანგარიშის ნომერი 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი 302006000). მესამე პირებს, რომლებსაც გააჩნიათ რაიმე უფლება აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანილ ქონებაზე, შეუძლიათ მიმართონ ფოთის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) აუქციონის ჩატარებამდე. დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ: ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. №7. ტელ.: 8(22)26-18-19; 8(22)26-18-21.

# განცხადება ტენდერის ჩატარების თაობაზე

1. სსიპ ქ. ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატი (მისამართი; ქ. ქუთაისი სოლომონ მეორის მე-4 ჩიხი N6, ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებით)
აცხადებს ტენდერს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე.

2. **შესყიდვების ობიექტია:**
სსიპ ქ. ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონაის საცხოვრებელი კორპუსის სარემონტო სამუშაოები.
სამუშაოების სრული ჩამონატვალი იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში, რომლის გაცნობა შესაძლებელი იქნება ადგილზე, სატენდერო მოსაკრებლის შეტანამდე.

3. **სამუშაოს მოწოდებს სავალდებულო ვადაა:** ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან (დაკვეთიდან) 4 თვე

4. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება ტენდერში მონაწილეობის შესახებ (დაულუქავი), ხოლო საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად დედნისა და დამომწმებული ასლის სახით, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 27 აპრილს 15 საათამდე, სსიპ ქ.ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატის სატენდერო კომისიის აპარატში. დალუქული პაკეტის გახსნა მოხდება 2009 წლის 27 აპრილს 15 საათზე პრეტენდენტთა თანდასწრებით.

4. **საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციებს:**

5.1 **იურიდიული პირისათვის:**
ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის გაკოტრებისა და სანაციის საქმე.
ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
გ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ რეესტრიდან.

5.2 **ფიზიკური პირისათვის:**
ა) ცნობა, რომ მას სამართლიანად, ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითარიანობა-გაცემული სამედიცინო დაწესებულებიდან.
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე
გ) პირადი მოწმობის ასლი.
დ) ინდმეწარმის მოწმობა.

5.3 **როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისთვის აუცილებელია წარმოადგინოს:**
ა) რეკვიზიტები: მისამართი, ტელეფონის, ფაქსი საბანკო რეკვიზიტები.
ბ) ცნობა სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.
გ) მონაცემები ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ- საგადასახადო ინსპექციიდან.
დ)ცნობა ტენდერში მონაწილის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (აუდიტის დასკვნა)

6. **სატენდერო მოსაკრებელი** - 200 (ორასი) ლარი შეტანილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:
მიმღები -ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, საქართველოს სახელმჭიფო ხაზინა, კოდი N 220101222 ანგარიშის N 200122900
საბიუჯეტი შემოსავლის სახაზინო კოდი N 302003000 (სატენდერო მოსაკრებელი)
სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2009 წლის 27 აპრილამდე სსიპ ქ. ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატში, სატენდერო კომისიის აპრატში.

7. წარმოდგენილი ცნობები და დოკუმენტები შეიძლება დამოწმდეს კომისიის მიერ.
8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგი პირისგან: ლენა დევიძე ტ: 5-49-86

მისამართზე: **ქ. ქუთაისი შოლომონ მეორის მეოთხე ჩიხი N6 სსიპ ქ. ქუთაისის შოლომონ II-ის IV ჩიხი N6, სსიპ ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატი**

## ცვლილება სატენდერო განცხადებაში

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 7 აპრილს გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში შეტანილ იქნა ცვლილება და მერვე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

8.სატენდერო დოკუმენტაცია(ქართულ ენაზე) გაიცემა განცხადების გამოქვეყნებიდან 27 აპრილის 17:00 საათამდე ზემოთ აღნიშნულ მისამართზე სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ.

სატენდერო კომისია

## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა
## ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტების შესახებ

"სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2009 წლის 6 მარტს გამოცხადებულ ტენდერში (გაზეთი "24 საათი" N49) "ქალაქ ხაშურში და დაბა სურამში ცენტრალური ქუჩების დაგვა-დასუფთავების, კიუვეტების გაწმენდის, ქალაქ ხაშურის, დაბა სურამისა და სოფელ ქვიშხეთის ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის და ნაგავსაყრელზე დამარხვის, ადმინისტრაციული შენობის დასუფთავების მომსახურების" შესყიდვაზე გამარჯვებულად I, III და IV ლოტებზე გამოვლინდა - შპს "სანიტარული დასუფთავება" და "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" ხელშეკრულება დაიდო 2009 წლის 1 აპრილს, II ლოტზე გამარჯვებულად გამოვლინდა - შპს "სურამის კომუნალური სამსახური" და "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" ხელშეკრულება დაიდო 2009 წლის 1 აპრილს, ხოლო V ლოტზე გამარჯვებულად გამოვლინდა შპს "ოაზისი 2008" და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" ხელშეკრულება დაიდო 2009 წლის 1 აპრილს.

## მუდმივმოქმედი არბიტრაჟი , დავების განმხილველი ცენტრი" DDRC-ს სასამართლო

მხარისათვის შეტყობინების მიზნით
სხდომის დღის პუბლიკაციის მიზნით

DDRC- ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი რესპუბლიკა"-ს

საარბიტრაჟო პრეტენზია ალექსანდრე მუკბანიანის მიმართ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 16 აპრილს 12:30 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ დავების განმხილველ ცენტრში'' შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, 1-ლი სართული.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე ალექსანდრე მუკბანიანი მცხოვრები ბაღდათი, რუსთაველის ქ. N16.

## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
## ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ინდექსი 383790. ქ. ნინოწმინდა, პუშკინის ქ.43, FAX 8(261) 2-24-14. ტელ. 2-27-30, 2-24-14

№ 113
07.04 2009 წ.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
საქონლის – ფქვილის შესყიდვის ტენდერის შესხებ

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგეობის სატენდერო კომისია აცხადებს ტენდერს ნინოწმინდის მოსახლეობისთვის ფქვილის შეძენაზე. რაოდენობა 8597 ტომარა. დასახლებულ პუნქტებეში მიტანით.

I. ტენდერში მონაწილეების მსურველებმა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი ინფორმაცია:

1. ინფორმაცია ტენდერში მონაწილე პირის შესახებ შემდეგი მონაცემების მითითებით:
ა) განცხადება სატენდერო კომისიის სახელზე
ბ) კომპანიის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, იურიდიული სტატუსი
გ) საგადასახადო სარეგისტრაციო კოდი და გადამხდელის სტატუსი (დღგ-ს გადამხდელი და „ შეღავათის მქონე გადამხდელი")
დ) მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია.
ე) ბანკის მიერ გაცემული ცნობა საბანკო რეკვიზიტების შესახებ.
ვ) მოკლე ინფორმაცია კომპანიის, პროფილის, კადრების და ტექნიკური შესაძლებლობის შესახებ.
ზ) ბოლო ორი წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოები და რეკომენდაციები.

შენიშვნა: ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტი უნდა იყოს დედანი ან ნოტარიალურად დამოწმებული.

- სატენდერო წინადადების მისაღებად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სატენდერო მოსაკრებლის დამადასტურებელი ბანკის ქვითარი, რომელიც განსაზღვრულია 200 ლარით.

სახალხო ბანკი, ნინოწმინდა თავისუფლების ქუჩა, კოდი 3174

I სატენდერო წინდადება რომელიც შეიცავს

1. შესასყიდი საქონლის დეტალურ ხარჯთაღრიცხვას.
2. საქონლის მოწოდების გრაფიკს.

დაინტერესებულმა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულად ( დამატებითი ენა შეიძლება შეთანხმებულ იქნას კომისიასთან) დალუქული კონვერტით.
საბუთები მიიღება 2009 წლის 07 აპრილიდან 27 აპრილამდე 17:00-მდე.
სრული ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ მისამართზე:
ქ. ნინოწმინდა, პუშკინის ქ. № 43
მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, სატენდერო კომისიაში ტელ; 8-261-2-27-27
8-261-2-24-56
FAX 8-261-2-24-14

კომისიის თავმჯდომარე ჯ. გელაშვილი

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
## ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს **2009** წლისათვის **15 (თხუთმეტი) ერთეული მსუბუქი ავტომანქანის** სახელმწიფო შესყიდვაზე. დაფინანსების წყაროა – სახელმწიფო ბიუჯეტი.

| ლოტის № | საქონლის ძირითადი მახასიათებლები | რაოდენობა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|
| ლოტი №1 | მსუბუქი ავტომანქანა (სედანი) – ახალი 2009 წლის მოდელი, ძრავის მოცულობა 1600 სმ³, სიმძლავრე 115-120 ცხენის ძალა, საწვავის ტიპი - ბენზინი, 4 ცილინდრი, 5 სიჩქარიანი მექანიკური კოლოფი, 4 კარიანი, სიგრძე – არანაკლებ 4500 სმ, საჭის ჰიდროგამაძლიერებელი, მძღოლის უსაფრთხოების ბალიში, კონდიციონერი, ცუდი გზის პაკეტი, ფერი – მუქი. | 15 (თხუთმეტი) ერთეული | ქ.თბილისი, ჭოროხის ქ.№6 |

**2.** ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა ბანკი კოდი 220101222, ა/ა №200122900, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სადეპოზიტო-სახაზინო კოდი 302004500, მიუთითონ სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭოროხის ქ.№6, რის შემდგომაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

**3.** ტენდერში მონაწილეობის მსურველ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

**4.** ტენდერში გამარჯვებულმა მსუბუქი ავტომანქანების მოწოდება უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 დღის განმავლობაში.

**5.** ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

**6.** პრეტენდენტებისათვის სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 2009 წლის 8 აპრილიდან 28 აპრილის ჩათვლით.

**7.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ორ (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) ეგზემპლარად მ.წ. 28 აპრილიდან 29 აპრილის 12.00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგ მისამართზე ქ.თბილისი, ჭოროხის ქ.№6 საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური.

**8.** სატენდერო წინადადება ძალაში უნდა დარჩეს 2009 წლის 10 მაისამდე.

**9.** გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომელიც 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას, ხოლო ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია – ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით.

**10.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**10.**1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**10.2** ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**11.** კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს ავტომანქანის მწარმოებელი ქარხნის გარანტიის დამადასტურებელი სერთიფიკატი (3 წელზე ან 100000 კმ-ზე).

**12.** პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას, თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

**13.** დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება სატენდერო კომისიის აპარატში, შემდეგ მისამართზე: **ქ.თბილისი, ჭოროხის ქ. №6. ტ: 923321.**

**სატენდერო კომისია**

# განცხადება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ფოთის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) აცხადებს ღია აუქციონს სს „ვაზი"-ს ს/ნ 239862396 (მდებარე: სენაკი რ-ნი, გამარჯვების ქ. №21) დაყადაღებული ქონების რეალიზაციის მიზნით. სარეალიზაციოდ გამოტანილ იქნება სს „ვაზი"-ს შემდეგი დასახელების ქონება:

| № | საგნების დასახელება და აღწერა (განმასხვავებელი ნიშნები, ცვეთა და სხვა). | ზომის ერთეული (ზომა, წონა, მეტრაჟი და სხვა): | თითოეული საგნის შეფასება ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | | | ერთეულის ფასი | საბაზრო ღირებულება |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | ადმინისტრაციული შენობა | 44,50მX9მ | | 20000 |
| 2 | ღვინის სარდაფი | 570.3 კვმ | | 3000 |
| 3 | სპირტსახდელი | 487.7 კვმ | | 24000 |
| 4 | საქვაბე მეურნეობა | 11მX3.9მ | | 700 |
| 5 | საქვაბე მეურნეობა | 7მX12.30მ | | 1200 |
| 6 | საპირფარეშო | 3მX3მ | | 200 |
| 7 | წყლის კოშკი | 1ც | | 350 |
| 8 | რკინის ცისტერნა (200 ტ-ნი) | 2ც | 1000 | 2000 |
| 9 | სახანძრო ავზი | 1ც | | 150 |
| 10 | სასწორი | 1ც | | 800 |
| 11 | ღვინის საცავი | 9მX10მ | | 400 |
| 12 | სპირტსაცავის I განყოფილების შენობა | 30მX23მ | | 5000 |
| 13 | სპირტსაცავის II განყოფილების შენობა | 12.50მX23მ | | 500 |
| 14 | დამხმარე ნაგებობა | 30,5მX7მ | | 2000 |
| 15 | საყარაულო ჯიხური | 5.30მX6.90მ | | 700 |
| 16 | რკინის ჭიშკარი | 1ც | | 300 |
| 17 | ღობე ეზოს ირგვლივ | | | 3500 |
| 18 | რკინა-ბეტონის ბუტები | | | 3000 |
| 19 | ავზები | | | |
| ა) | 25 ტონიანი | 4ც | 600 | 2400 |
| ბ) | 16 ტონიანი | 29ც | 500 | 14500 |
| გ) | 6 ტონიანი | 1ც | | 200 |
| 20 | სატვირთო ავტომობილის ნახევარ მისაბმელი „ოდაზ-885" | 1987 | | 1200 |
| 21 | სატვირთო ავტომობილი „კაზ-608" უნაგირა საწევარი | 1987 | | 3300 |
| | სულ ჯამი | | | 89400 |

ქონების საერთო ღირებულება: 89400 (ოთხმოცდაცხრაათასოთხასი) ლარი

ქონების ადგილმდებარეობის ფაქტიური მისამართი: სენაკი რ-ნი, გამარჯვების ქ. №21

აუქციონი გაიმართება 2009 წლის 13 მაისს 12 სთ-ზე შემდეგ მისამართზე: ქ. სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №111, ფოთის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) სენაკის ოფისის შენობაში.

აუქციონზე ქონების შეძენის მსურველებმა აუქციონის ჩატარებამდე ხაზინის სადეპოზიტო ანგარიშზე უნდა შეიტანონ შესაძენი ქონების ღირებულების 2% (მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ცენტრალიზებული ანგარიშის ნომერი 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი 302006000). მესამე პირებს, რომლებსაც გააჩნიათ რაიმე უფლება აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანილ ქონებაზე, შეუძლიათ მიმართონ ფოთის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) აუქციონის ჩატარებამდე. დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ: ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. №7. ტელ.: 8(22)26-18-19; 8(22)26-18-21.

# განცხადება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ფოთის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) აცხადებს ღია აუქციონს შპს „ლაზი"-ს ს/ნ 215084691 (მდებარე: ქ. ფოთი, 9 აპრილის ხეივანი №30/48) დაყადაღებული ქონების რეალიზაციის მიზნით. სარეალიზაციოდ გამოტანილ იქნება შპს „ლაზი"-ს შემდეგი დასახელების ქონება:

| № | საგნების დასახელება და აღწერა (განმასხვავებელი ნიშნები, ცვეთა და სხვა). | ზომის ერთეული (ზომა, წონა, მეტრაჟი და სხვა): | თითოეული საგნის შეფასება ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | | | ერთეულის ფასი | საბაზრო ღირებულება |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | დამტვრეული კონტეინერი | 1 კვმ | 15 | |
| 2 | ხის საშრობი აგრეგატი (in coman mac 251) | 1 ც | | 24000 |
| 3 | ხის საშრობი აგრეგატი (in coman, in coman mec 35/5) | 2ც | | 58000 |
| 4 | როლგანკა | 1 ც | | 800 |
| 5 | დიზელგენერატორი | 60 კვტ | | 1000 |
| 6 | დიზელგენერატორი | 75 კვტ | | 2000 |
| 7 | რეისმუსი | 1 ც | | 3500 |
| 8 | ხის გადამუშავების არხი | 1 ც | | 1000 |
| 9 | სტაბილიზატორი (დენის მარეგულირებელი) | 55 კვტ | | 4000 |
| 10 | ჩარხი ხის სახერხისათვის makiwitlcapet | | | 4000 |
| 11 | სტაბილიზატორი | 100 კვტ | | 6500 |
| 12 | ჩარხი c-25-1-A | 1 ც | | 2500 |
| 13 | კონცენტრატის დამუშავების ბუნკერი | 1 ც | | 1000 |
| 14 | დიზელგენერატორის სათავსო | 5.90მX3.60მ | | 2000 |
| 15 | ხის საშრობი აგრეგატის სათავსო | 7.0მX9.30მ | | 12000 |
| 16 | საპირფარეშო | 2.20მX2.30მ | | 600 |
| 17 | დამჭერი (ზახვატი) | 4ც | | 200 |
| 18 | ხის საშრობი აგრეგატის სათავსო | 19.4 კვმ | | 20000 |
| 19 | რ/ბ სამშენებლო კონსტრუქციები | 85 ც | 150 | 12750 |
| 20 | რ/ბ კონსტრუქციები | 16ც | 60 | 960 |
| 21 | ავტომობილი „მან 1922" უნაგირა საწევარი | 1992 | | 38000 |
| 22 | ნახევარმისაბმელი „შმიცი" | 1997 | | 19000 |
| 23 | ავტომობილი „მერსედეს-ბენცი 1840" უნაგირა საწევარი | 1999 | | 73000 |
| 24 | ავტომობილი "დაფ-95 ხ" უნაგირა საწევარი | 1996 | | 55000 |
| 25 | ნახევარმისაბმელი, კარკასული ფურგონი „შმიც პსც 24" | 1997 | | 18500 |
| 26 | ნახევარმისაბმელი „შმიც" | 1997 | | 19500 |
| 27 | ავტომობილი „მერსედეს-ბენცი 1840" უნაგირა საწევარი | 2000 | | 75000 |
| 28 | მისაბმელი, ლითონის პლატფორმა „მოდ. spr 24" | 1998 | | 19500 |
| 29 | ავტომობილი "ვოლვო fh12/380" უნაგირა საწევარი | 1996 | | 45000 |
| 30 | ნახევარმისაბმელი ფურგონი „koegel-sn-24 | 1999 | | 17000 |
| 31 | ავტომობილი „დაფ ft 85.380" უნაგირა საწევარი | 1995 | | 52000 |
| 32 | ნახევარმისაბმელი „ასკერმან პ ს 22" | 1994 | | 14000 |
| 33 | მისაბმელი „გრეი ენდ ადამს", იზოთერმული ფურგონი | 1994 | | 22000 |
| 34 | მისაბმელი „გრეი ენდ ადამს", იზოთერმული ფურგონი | 1994 | | 22000 |
| 35 | მისაბმელი „გრეი ენდ ადამს", იზოთერმული ფურგონი | 1994 | | 36000 |
| 36 | ნახევარმისაბმელი „დესოტ" | 1996 | | 19500 |
| 37 | ავტომობილი „მერსედეს-ბენცი აქსტროს 1840" უნაგირა საწევარი | 1999 | | 75000 |
| 38 | ავტომობილი „მერსედეს-ბენცი 1843" უნაგირა საწევარი | 1999 | | 73000 |
| 39 | ავტომობილი „დაფ. თ. 95" უნაგირა საწევარი | 1996 | | 56000 |
| 40 | ავტო ამწე | 1989 | | 5000 |
| | სულ ჯამი | | | 910810 |

ქონების საერთო ღირებულება: 910810 (ცხრაასათიათასრვაასათი) ლარი

ქონების ადგილმდებარეობის ფაქტიური მისამართი: ქ. ფოთი, ლარნაკას ქ.

აუქციონი გაიმართება 2009 წლის 11 მაისს 12 სთ-ზე შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. №7, ფოთის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შენობაში.

აუქციონზე ქონების შეძენის მსურველებმა აუქციონის ჩატარებამდე ხაზინის სადეპოზიტო ანგარიშზე უნდა შეიტანონ შესაძენი ქონების ღირებულების 2% (მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ცენტრალიზებული ანგარიშის ნომერი 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი 302006000). მესამე პირებს, რომლებსაც გააჩნიათ რაიმე უფლება აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანილ ქონებაზე, შეუძლიათ მიმართონ ფოთის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) აუქციონის ჩატარებამდე. დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ: ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. №7. ტელ.: 8(22)26-18-19; 8(22)26-18-21.

## მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე
საქართველო
## რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი

კრედიტის ნომერი: N4516 GE

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში სოფლების: ბორბალო-ვაშლოვანი-ერტისთან და ენაგეთთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზების რეაბილიტაციის ქვეპროექტი

RMIDP/tetritsk/CW/NCB/18-2009

წინამდებარე მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე მოჰყვება ზოგად სატენდერო განცხადებას მოცემული პროექტისათვის, რომელიც გამოქვეყნდა Development Business-ის N729 ნომერში 2008 წლის 30 ივნისს.

საქართველომ მიიღო კრედიტი საერთაშორისო განვითარების ასოციაციისაგან (IDA) რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და განზრახული აქვს ამ კრედიტის სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდებისთვის: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში სოფლების: ბორბალო-ვაშლოვანი-ერტისთან და ენაგეთთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზების რეაბილიტაცია (კონტრაქტის # RMIDP/Tetritsk/CW/NCB/18-2009).

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ და კვალიფიცირებულ კონკურსის მონაწილეებს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში სოფლების: ბორბალო-ვაშლოვანი-ერტისთან და ენაგეთთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზების რეაბლიტაციის სამუშაოების ჩასატარებლად.

გზების რეაბილიტაცია მოიცავს სოფლების: ბორბალო-ვაშლოვანი-ერტისთან და ენაგეთთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზების რეაბილიტაციას. სამუშაოები მოიცავს გზის საფარის აღდგენასა და ხელოვნური ნაგებობების შეკეთებას.

**ძირითად სამუშაოთა მოცულობები**

1. ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი 3582 კუბ.მ;
2. ფრაქციული ღორღი 2457 კუბ.მ;
3. ლითონის მილების მოწყობა D=1მ. 2ც;
4. ბეტონი 76.8 კუბ.მ;
5. თხევადი ბიტუმი 21.4 ტ;
6. მსხვილმარცვლოვანი ასფალტობეტონის ფენა 21 417 კვ.მ;
7. წვრილმარცვლოვანი ასფალტობეტონის ფენა 21 157 კვ.მ;
8. მისაყრელი გვერდულების მოწყობა 611 კუბ.მ.

საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება მსოფლიო ბანკის მიერ 2004 წლის მაისში გამოცემული და 2006 წლის ოქტომბერში კორექტირებული „რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებითა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებით განხორციელებული შესყიდვების სახელმძღვანელო დებულებაში" აღწერილი საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესაბამისად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს, სახელმძღვანელო დებულებაში განსაზღვრული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება შეუძლიათ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00-დან 18:00 საათამდე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში ქვემოთ მოცემულ მისამართზე, ელ. მისამართი: procurement@mdf.org.ge; აღმასრულებელი დირექტორი - ბ-ნი ლაშა გოცირიძე.

დაინტერესებულ კონსკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტი ქართულ ენაზე ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის არაანაზღაურებადი 200 ლარის (ან თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის) გადახდის შემდეგ, რასაც დაემატება კურიერის მომსახურების ხარჯები (კურიერის საჭიროების შემთხვევაში). გადახდა ხორციელდება თანხის გადარიცხვით საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შემდეგ საბანკო ანაგარიშზე:

**მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

**მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი, საქართველო**

**უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)**

**ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)**

**SWIFT Code: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company Americas, NY**

**SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104**

საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს შემდეგს:

კონტრაქტის მისაღებად კონკურსის მონაწილემ უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი კრიტერიუმები და წარმოადგინოს ქვემოთ მოცემული მინიმალური მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტები:

1. კონკურსანტის საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს არანაკლებ 5.7 მილიონი ლარის ექვივალენტი;
2. კონტრაქტის განხორციელებისათვის საჭირო ლიკვიდური აქტივების ან საბრუნავი კაპიტალის მინიმალური ოდენობა, უნდა იყოს 1.3 მილიონი ლარი.

საკონკურსო წინადადები ქვემოთ მოცემულ მისამართზე წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 2009 წლის 6 მაისის 14:00 საათისა. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება.

საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს 57 000 (ორმოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარის ოდენობის ან კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის ოდენობის საკონკურსო წინადადების გარანტია.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმ კონკურსის მონაწილეთა წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირის თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ პირად დასწრებას ქვემოთ მოცემულ მისამართზე 2009 წლის 6 მაისის 14 საათზე.

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

**ბ-ნი ლაშა გოცირიძე, აღმასრულებელი დირექტორი**

მისამართი: ოთახი 413, მეოთხე სართული, დ. აღმაშენებლის გამზირი 150, 0112, თბილისი, საქართველო,

ტელ: +995-32-306189

ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

## განცხადება
## ს/ს "ვითიბი ბანკი ჯორჯია" აცხადებს ღია ტენდერს ბანკომატებისა და მათი მომსახურეობის შესყიდვაზე ორ ლოტად.

1) შესყიდვის ობიექტი: კედლის და შენობის ბანკომატები, ბანკომატების მომსახურეობა.

ლოტი I:- ბანკომატი კედლის 8 (რვა) ცალი; ბანკომატი შენობის 2 (ორი) ცალი.

ლოტი II:- ს/ს ვითიბი ბანკი ჯორჯიას" მფლობელობაში არსებული ბანკომატების მომსახურეობა კვირაში 6 დღის განმავლობაში

2) ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ქართულ და უცხოურ იურიდიულ პირს.

3) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე პრეტენდენტებს გადაეცემათ, მოთხოვნისთანავე, სამუშაო საათებში 22. 04. 2009წ. 18..00 საათამდე შემდეგ, მისამართზე - ქ. თბილისი, დ.უზნაძის ქ. N37, მე-4 სართული, შესყიდვების კოორდინაციის ჯგუფი.

4) პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებები უნდა შეადგინონ მიღებული სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად, შესყიდვის ობიექტის და ლოტების მიხედვით, ტენდერში ერთ ლოტზე გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

5) ტენდერში გამარჯვებულმა პრეტენდენტმა, ბანკომატები უნდა მოგვაწოდოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახთი) კალენდარული დღის განმავლობაში, ხოლო მომსახურება უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2010 წლის 1 იანვრამდე, ხელშეკრულებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პირობების შესაბამისად.

6) ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, სხვა მოთხოვნილი ინფორმაცია და სატენდერო წინადადებები დედნების სახით, უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე (ან ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით), ორი დახურული კონვერტით (სატენდერო წინადადება და შევსებული ფასების ცხრილი ცალკე კონვერტში, ხოლო საკავალიფიკაციო მონაცემების დამდასტურებელი და სხვა მოთხოვნილი დოკუმენტები და ინფორმაცია ცალკე კონვერტში) ხელმძღვანელის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მეშვეობით, მისამართზე: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N37, მე-4 სართული, შესყიდვების კოორდინაციის ჯგუფი,

7) ტენდერში მონაწილე პრეტენდნენტებმა, საკვალიფიკაციო მონაცემების დამდასტურებელი და სხვა მოთხოვნილი დოკუმენტები და შევსვებული სატენდერო წინადადებები, უნდა წარმოადგინონ **2009.წ 24 აპრილს 16.00** საათამდე: სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ და ფაქტიურ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანაგრიშსწორების ზუსტ რეკვიზიტებს.

8) პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედდასმული პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ, ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

9) ალტერნატიული სატენდერო წინადადებების წარმოდგენა დაუშვებელია.

10) დაგვიანებით შემოსულ განაცხადებს, საკვალიფიკაციო მონაცემებს და სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

11) პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ქ. თბილიში, დ. უზნაძის ქ. N37, ს/ს ვითიბი ბანკი ჯორჯიას" სათაო ოფისში წარმოდგენის ვადის დასრულებისთანავე.

12) **საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

- ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ პრეტენდენტის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა; (უცხოური კომპანიის შემთხვევაში - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან
- ცნობას სასამართლოდან, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, (უცხოური კომპანიის შემთხვევაში - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.)
- ცნობას საგადასახადო სამსახურიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგნიზაცია ან ლიკვიდაცია; (უცხოური კომპანიის შემთხვევაში - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან
- ამონაწერი საგადასახადო სამსახურიდან რეგისტრაციის შესახებ.
- სატენდერო წინადადების უზრუნველყოფა, სატენდერო წინადადების ჯამური ღირებულების 1%-ის ოდენობით, საბანკო გარანტია, საქართველოში რეგისტრირებული, ს/ს ვითიბი ბანკი ჯორჯიასათვის" მისაღები, (ბანკები მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართში) რომელიმე ბანკიდან.
- დეტალური ინფორმაცია მსგავსი მიწოდების და საქმიანობის განხორციელების შესახებ, მეორე ლოტის შემთხვევაში, პრეტენდენტს და/ან მის საკვანძო თანამდებობებზე მომუშავე პერსონალს უნდა გააჩნდეს მსგავსი საქმიანობის განხორციელების მინიმუმ ერთ წლიანი გამოცდილება და ბანკომატებთან მუშაობის ტრეინინგის გავლის დამდასტურებელი დოკუმენტი.
- ბანკომატების წარმოშობის და ხარისხის შესაბამისობის დამდასტურებელი სერთიფიკატები, (და/ან სხვა შესაბამისი დოკუმენტები).
- ს/ს ვითიბი ბანკი ჯორჯიაში" ანგარიშსწორების ანგარიშის გახსნის წერილობით ვალდებულებას, ხელმოწერილს პრეტენდენტის ხელმძღვანელის მიერ, (იხ.პუნქტი 15.)

13) საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. პრეტენდენტები, რომელთა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი ან სხვა მოთხოვნილი დოკუმენტაცია არ იქნება წარმოდგენილი სრულყოფილად ან ყალბი აღმოჩნდება ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას და არ დაიშვებიან შეფასებისათვის;

14) იმ პრეტენდენტებს, რომელთაც გახსნილი აქვთ ანგარიშსწორების ანგარიში ს/ს ვითიბი ბანკი ჯორჯიაში" (მინიმუმ ერთი წლის ბრუნვით,) სატენდერო წინადადებების შეფასებისას სხვა პრეტენდენტებთან თანაბარ პირობებში აღმოჩენის შემთხვევაში მიენიჭებათ უპირატესობა.

15) ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტი, ვალდებულია გახსნას ანგარიში ს/ს ვითიბი ბანკ ჯორჯიაში", ბანკის მიერ, გამარჯვებულ პრეტენდენტთან საქონლის მიწოდებასთან და მომსახურეობის დაკავშირებით, ანგარიშსწორება განხორციელდება ამ ანგარიშის მეშვეობით, ანგარიშის გახსნის ვალდებულება წერილობითი სახით (ხელმძღვანელის ხელმოწერით) წარმოდგენილ უნდა იქნას სატენდერო წინადადებასთან ერთად.

16) ტენდერში გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი, სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ფორმით.

17) ტენდერში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ სატენდერო პროცედურებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ნებისმიერი მათთვის საჭირო ინფორმაცია, მიიღო საკონტაქტო პირებისაგან:

სალომე კალანდაძე, გიორგი ჩიხრაძე, ტელ: 822 505-589; მობ: 895 58-14-58; ლევან ჯაბუა 89511-77-41

G.chikhradze@vtb.com.ge;

S.kalandadze@vtb.com.ge

LL.jabua@vtb.com.ge

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი" აცხადებს ტენდერს საახალწლო გადაცემის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვის ობიექტია**: მუსიკალურ-გასართობი ხასიათის, 1.30 სთ-დან 1.40 სთ-მდე ქრონომეტრაჟით განსაზღვრული, 2009 წლის საახალწლო გადაცემის დამზადება.

**შენიშვნა:** დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში.

2. მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადა: არაუგვიანეს 2009 წლის 1 დეკემბერი.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის **2 აპრილის 12:00 საათიდან** - 2009 წლის **21 აპრილის 12:00 საათამდე,** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა N68, მესამე სართული, ოთახი N341, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის'' შესყიდვების ჯგუფი. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

4. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, რეკვიზიტები: მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგ. N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი N220101222, სახაზინო კოდი N302008000;

**გადახდის დანიშნულება**: სატენდერო მოსაკრებელი, საახალწლო გადაცემის შესყიდვის ტენდერი, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი" (2585). (გადახდის დანიშნულება მითითებული უნდა იყოს სრულად).

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2009 წლის **1 ივნისის 14:00 საათიდან 16:00 საათამდე,** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა N68, მესამე სართული, ოთახი N341, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის" შესყიდვების ჯგუფი.

6. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

**6.1 იურიდიული პირებისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

**6.2 ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**6.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

ბ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;

გ) ინფორმაცია მის მიერ განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად.

**შენიშვნა:** პრეტენდენტებმა წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში გაცემული (შედგენილი) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, უნდა წარმოადგინონ დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

7. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და ინფორმაცია საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

8. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

9. **პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი ან რამდენიმე ალტერნატიული სატენდერო წინადადება.**

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნათია ზამთარაძე, ტელ: (995-32) 40-91-45, ან მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა N68, მესამე სართული, ოთახი N341, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის'' შესყიდვების ჯგუფი.

care

## ქეა საერთაშორისო კავკასიაში

**პროექტის "ფერმერები და ბაზარი" ფარგლებში აცხადებს**

**საკონსოლიდაციო ცენტრებისათვის ბიზნეს პარტნიორების შესარჩევ კონკურსს**

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია "ქეა საერთაშორისო კავკასიაში" პროექტის "ფერმერები და ბაზარი" ფარგლებში აცხადებს კონკურსს, რომელიც მოიცავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საკონსოლიდაციო ცენტრებისათვის ბიზნეს პარტნიორების შერჩევას.

საკონსოლიდაციო ცენტრების ბიზნეს პარტნიორის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

1. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში რეგისტრირებულ კომპანიებს და ორგანიზაციებს (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, ასოციაცია, ინდივიდუალური მეწარმე და სხვა), რომლებიც მუშაობენ კვების პროდუქტების წარმოების, გადამუშავების, იმპორტის, ექსპორტის, დისტრიბუციის სფეროში, აქვთ მუშაობის მინიმუმ ერთი წლის გამოცდილება და წარმოადგენენ 100% კერძო საკუთრებას.
2. საპროექტო წინადადების წარმომდგენ იმ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს, რომელთა მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე, არ გააჩნიათ საბიუჯეტო დავალიანება და მათი საბანკო ანგარიშები, ასევე ქონება არ არის დაყადაღებული.

კონკურსში გამარჯვებული პროექტების დაფინანსება განხორციელდება თანადაფინანსების პრინციპით. პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბებული საკონსოლიდაციო ცენტრები დარეგისტრირდება, როგორც კომერციული იურიდიული პირები, სადაც პარტნიორების სახით წარმოდგენილი იქნებიან კონკურსის საფუძველზე შერჩეული ბიზნეს პარტნიორი და "ქეა საერთაშორისო კავკასიაში". პროექტი "ფერმერები და ბაზარი" დააფინანსებს კონკურსში გამარჯვებული განაცხადის ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯების 50%-ს, მაქსიმუმ 50,000 აშშ დოლარის ოდენობით. პროექტის "ფერმერები და ბაზარი" დასრულების შემდეგ "ქეა საერთაშორისო კავკასიაში"-ს წილი კაპიტალი გადაეცემა პროექტის პარტნიორ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს.

**საპროექტო განაცხადის სტანდარტული ფორმა, ასევე განმცხადებლის სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია ვებ გვერდებზე: www.care-caucasus.org.ge; www.bpgeorgia.ge**

შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად **კვალიფიციურმა საწარმოებმა** (იხილეთ განმცხადებლის სახელმძღვანელო) უნდა შეავსონ და "ქეა საერთაშორისო კავკასიაში"-ს ცენტრალურ ოფისში წარმოადგინონ საპროექტო განაცხადის შევსებული ფორმა. საპროექტო განაცხადის შევსება შესაძლებელია ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენაზე.

***საპროექტო განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2009 წლის 15 მაისი, 18:00 საათი.***

საპროექტო განაცხადების (როგორც დაბეჭდილი, ასევე ელექტრონული ვერსია კომპაქტ დისკზე/CD) წარდგენა შეგიძლიათ "ქეა საერთაშორისო კავკასიაში"-ს ცენტრალურ ოფისში: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №74ა/მოსაშვილის ქ.11, მე-5 სართული, ტელ: (+995 32) 291941, 291378, 291531; ფაქსი: (+995 32) 294307.

**კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირებს და ორგანიზაციებს განაცხადის შევსების თაობაზე კონსულტაციების მისაღებად შეუძლიათ დაესწრონ "ღია კარის დღეს", რომელიც გაიმართება "ქეა საერთაშორისო კავკასიაში" ცენტრალურ ოფისში ა.წ. 14 აპრილს და 5 მაისს, 12:00სთ-ზე.**

***პროექტი "ფერმერები და ბაზარი" BP-სა და ნავთობისა და გაზის სფეროში მისი ბიზნეს-პარტნიორების მიერ ინიცირებული და დაფინანსებული საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ნაწილია. საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის მიზანია მილსადენის გასწვრივ განლაგებული თემების მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.***

bp btc SCP South Caucasus Pipeline GPC Georgian Pipeline Company

2009 წლის 31 მარტის გაზეთ "24 საათში" ქ. თბილისის მთავრობის მიერ გამოცხადებულ აუქციონში შეტანილ იქნეს ცვლილება და ლოტი N256 და ლოტი N265 ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

***ლოტიN256***

სატრანსპორტო საშუალება "შევროლე მალიბუ", სახელმწიფო ნომერი N ABY-845

საწყისი საპრივატიზებო ფასი: 1500 ლარი

"ბე"-ს ოდენობა -600 ლარი;

აუქციონის მონაწილის ბილეთის საფასური 10 ლ.

აუქციონის ბიჯი - 10 ლ.

**აუქციონის პირობებად განისაზღვროს:**

- მაქსიმალური ღირებულების გადახდა;
- აუქციონში გამარჯვებულმა, საკუთარი სახსრებით განახორციელოს სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაცია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- აუქციონში გამარჯვებულმა, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს სატრანსპორტო საშუალების გასაფორმებელი ხარჯების გადახდა.

**ლოტიN265**

**31 ცალი კონდიციონერი**

**საწყისი საპრივატიზებო ფასი: 490 ლარი**

**ბე"-ს ოდენობა 196 ლარი;**

**აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური 5 ლარი;**

**აუქციონის ბიჯი - 5 ლარი;**

**აუქციონის პირობებად განისაზღვროს:**

- **მაქსიმალური ღირებულების გადახდა;**
- **აუქციონში გამარჯვებულმა, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს ქონების ტრანსპორტირება და შენობიდან გატანის ხარჯების გაღება.**

**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის პედიატრიული სამსახური მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ქეთევან ბარაბაძის ხელმძღვანელობით გთავაზობთ:**

- ბავშვთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროულ, ზუსტ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად უახლესი ლაბორატორიული, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, რენტგენოლოგიური, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და სხვა მეთოდების გამოყენებით
- დღის სტაციონარს თანამედროვე ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევებისა და მკურნალობისთვის საჭირო მანიპულაციების სრული კომპლექსით
- ბავშვთა ვაქცინაციას უმაღლესი ხარისხის კომბინირებული ვაქცინებით, რაც უზრუნველყოფს მყარ იმუნიტეტს აცრის შემდგომი გართულებების მინიმუმამდე დაყვანით

**ბავშვთა მოვლისა და მკურნალობის ნებისმიერ საკითხზე მიმართეთ პედიატრიულ სამსახურს**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების" ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (893) 28 24 20;**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობა (დაბა ხულო, ღ. ალმაშენებლის ქ №21) აცხადებს ტენდერს, ხულოს მუნიციპალიტეტში საცხოვრებელი სახლების სახურავების შეკეთება-გადახურვის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
ლოტი№1. დაბა ხულოში №29 სახლის სახურავის გადახურვა;
ლოტი№2. დაბა ხულოში №27 სახლის სახურავის გადახურვა;
ლოტი№3. დაბა ხულოში №52 სახლის სახურავის გადახურვა;
ლოტი№4. დაბა ხულოში №56 სახლის სახურავის გადახურვა;
ლოტი№5. დაბა ხულოში №40 სახლის სახურავის გადახურვა;
ლოტი№6. დაბა ხულოში №54 სახლის სახურავის გადახურვა;
ლოტი№7. სოფ. სალიბაურის №2 სახლის სახურავის გადახურვა.
**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა **ხელშეკრულების გაფორმებიდან სამი თვე.**
**3. სატენდერო დოკუმენტაციის (ქართულ ენაზე) გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 08 აპრილის 11:00 საათიდან 2009 წლის 28 აპრილის 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: დაბა ხულო, ალმაშენებლის ქ.№21, ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობა.**
**4.** სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:
მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო-ხულო, ანგ №200122900, სახელმწიფო ხაზინა - ბანკის კოდი 220101222, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი 300733174.
გადახდის დანიშნულება: ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი.
**5. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 29 აპრილს 10 საათიდან 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: დაბა ხულო, ღ. ალმაშენებლის ქ. №21. III-ე სართული, ოთახი №12, სატენდერო კომისიის აპარატი.**
**6.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
**6.1 იურიდიული პირისათვის:**
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდის უუნარობის საქმის წარმოება (გაკოტრება და რეაბილიტაცია);
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;
დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.
**6.2. ფიზიკური პირისათვის:**
ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება.
**6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**
ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;
ბ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;
გ) პრეტენდენტი პირების რეკვიზიტები (მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი გვარი, ტელეფონი/ფაქსი, მობილური, ელექტრონული ფოსტა e-mail).
დ) ინფორმაცია ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის მიერ ბოლო სამი წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ.

| № | სამუშაოების დასახელება (თითოეული ობიექტის მიხედვით) | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შენიშვნა: სასურველია ხელშეკრულების ასლების წარმოდგენა, თუ კონფიდენციალური არ არის |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ | | | | |

ე) ინფორმაცია 2009 წლის 1 აპრილის მდგომარეობით დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ, მითითებული იქნას მსხვილი დებიტორ-კრედიტორები და დავალიანების წარმოშობის თარიღი.
ვ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

| | |
|---|---|
| **შენიშვნა:** | პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად; |
| | განცხადების მე-6 პუნქტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული არაუმეტეს სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე. |

7. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება. ტენდერში ლოტების მიხედვით გამოვლინდება რამოდენიმე გამარჯვებული.
8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან – მანუჩარ მანველიძე ტ. 5 93 27 მისამართზე: დაბა ხულო ღ. ალმაშენებლის ქ. №21.
<u>სატენდერო კომისია</u>

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს მიერ 50 000 ლარზე მეტი ღირებულების სახელმწიფო შესყიდვაზე გაფორმებული ხელშეკრულება

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | მონტენეგრო-საქართველოს (2009 წლის 10 ოქტომბერი) ეროვნული ნაკრების საფეხბურთო მატჩის ტრანსლიაციის უფლება. | შპს „საერთაშორისო სპორტის მედია ჯგუფთან" | 122 650 ლარი. |

**მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია** და **USAID-ის მიწის ბაზრის განვითარების პროექტი** აცხადებს ინტერესთა გამოხატვას და იწვევს მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან იძულებით გადაადგილებული პირებისათვის (დაახლოებით 4500 დევნილი) კახეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში და მცხეთა-მთიანეთში გამოყოფილი მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების აგეგმვითი და სარეგისტრციო სამუშაობის ჩატარების თაობაზე.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

1) პროფესიული სერტიფიკაციის ორგანოს (<u>www.certification.org.ge</u>) მიერ გაცემული საჯარო რეესტრის უფლებათა რეგისტრაციის ელექტრონული პროგრამის მომხმარებლის შესაბამისობის სერტიფიკატის ასლი (მინიმუმ 1 თანამშრომლის);
2) პროფესიული სერტიფიკაციის ორგანოს (<u>www.certification.org.ge</u>) უძრავი ქონების ამგეგმავის შესაბამისობის სერტიფიკატის ასლი (მინიმუმ 1 თანამშრომლის);
3) ინფორმაცია ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ;

მოწოდებული დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს განმცხადებლის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებსა და ხელმძღვანელის სახელსა და გვარს

დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქული კონვერტით არა უგვიანეს 2009 წლის 15 აპრილის 17:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: თბილისი, პეკინის გამზირი №27, მე-5 სართული (ტელ: 206 207), მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია.

## განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მის. ქ. ქარელი, ნინოშვილის ქ.№3, აცხადებს აუქციონს ყოფილი კომუნალური მეურნეობის შენობის (შენობა იმყოფება ნახევრად ამორტიზირებულ და გაძარცვულ მდგომარეობაში) რეალიზებასთან დაკავშირებით და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

შენობის საწყისი ღირებულებაა 3300 (სამი ათას სამასი) ლარი, ხოლო ბიჯის მინიმალური ღირებულება 50 (ორმოცდაათი) ლარი. აუქციონი შედგება ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში განცხადების გამოქვეყნებიდან ოცდამეათე დღეს, 12 საათზე.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის კომისიას მისამართზე: ქ. ქარელი, ნინოშვილის ქ.№3.

**ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობა**

## სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობა (მის. ქ სამტრედია, რაზმაძის ქ. N2) აცხადებს ტენდერს ქალაქის N8 საჯარო სკოლაში, ასევე სოფელ ეწრში, სოფელ ნაბაკევსა და სოფელ ტოლების საჯარო სკოლებში სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავების შეცვლა-შეკეთებაზე

ტენდერი ცხადდება 2 ლოტად, I ლოტი- სამტრედიის N8 და სოფელ ეწრის სკოლების სახურავების შეცვლა-შეკეთება და II ლოტი - სოფელ ნაბაკევისა და სოფელ ტოლების სკოლების სახურავების შეცვლა-შეკეთება

ორივე ლოტით გათვალისწინებული სამუსაოების დაწყების სასურველი ვადებია: 2009 წლის 1 მაისი ხოლო დასრულების ვადა 2009 წლის 1 ივნისი; ზემოთაღნიშნულ ვადაში სამუშაოთა ვერ დასრულების შემთხვევაში, სამუშაოების დასრულების ვადა არ უნდა გადაცდეს 2009 წლის 15 ივნისს.

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა პირებმა, სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები 2009 წლის **28 აპრილის 16 სთ-მდე**, ქართულ ენაზე, შემდეგ მისამართზე: ქ სამტრედია რაზმაძის ქ.N2 სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-3 სართული, საერთო განყოფილების ოთახიN 305,

საკვალიფიკაციო მონაცემებისათვის საჭირო დოკუმენტაცია

იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი გაკოტრება

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არა ხორციელდემა მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია .

გ) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა

დ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ არის მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე;

ე) რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები) და საწარმოს ხელმძღვანელის სახელი და გვარი.

ვ) ზოგადი მონაცემები გამოცდილების შესახებ.

*ფიზიკური პირებისათვის:*

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მოქმედებს გაკოტრების საქმე;

გ) ცნობა, რომ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ არის მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ-სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულზე

ე) რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები).

ვ) ზოგადი მონაცემები გამოცდილების შესახებ ;

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ . პრეტენდენტის მოთხოვნისთანავე შემდეგ მისამართზე ქ. სამტრედია, რაზმაძის ქუჩა N2, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-3 სართული, საერთო განყოფილების ოთახი N 305, 2009 წლის **28 აპრილის 16 საათამდე.**

სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის გარანტიის ფორმა გამოყენებული არ იქნება.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იყოს მხოლოდ ქართულ ენაზე ;

სატენდერო მოსაკრებლის ოდენობაა 200 (ორასი) ლარს, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ სახაზინო კოდზე 30021 3174

სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შემსყიდველს შეუძლია გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას შემდეგ მისამართზე: სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-3 სართული, საერთო განყოფილების ოთახი N 305, 10-დან 18 საათამდე,

სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნას დახურული კონვერტით;

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების გახსნა და პრეტენდენტთა დასახელება მოხდება კომისიურად **2009 წლის 28 აპრილს 16 საათზე.**

სატენდერო დოკუმენტაციის შეფასება მოხდება პრეტენდენტთა დასახელებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

ტენდერში მონაწილეობით დაინტერესებულმა პირმა დამატებითი ინფორმაციისათვის უნდა მიმართოს სატენდერო კომისიის აპარატის წევრს - ია ხოშტარიას, შემდეგ მისამართზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-3 სართული, საერთო განყოფილების ოთახი N 305, 10-დან 18 საათამდე, ტელ 895332225

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**ხობის რაიონის სოფლებში განთავსებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების სარემონტო სამუშაოები**

**სატენდერო პაკეტის ნომერი: SB/IDP/CW/45-2009**

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს **ხობის რაიონის სოფლებში განთავსებული იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების სარემონტო სამუშაოები** (ტენდერის ნომერი: **SB/IDP/CW/45-2009).**

2. დაინტერესებულ პირებმა ტენდერში მონაწილოების მისაღებად უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:

ბანკი "რესპუბლიკა", ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2, თბილისი, საქართველო

ბანკის კოდი: 220 101 757

სალარე ანგარიშის N: 340 800 01

საიდენტიფიკაციო კოდი: 206 074 193

ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და წერილობითი განაცხადის წარმოდგენის შემდეგ, მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში ქვემოთ მითითებულ მისამართზე, დაინტერესებულ პირებს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გატანის ვადაა 2009 წლის 8 აპრილის 10:00 საათიდან 27 აპრილის 17:00 საათამდე.

3. შესყიდვის ობიექტი:

**ხობის რაიონის სოფლებში განთავსებული იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების სარემონტო სამუშაოები:**

**ლოტი I - ხობის რაიონის სოფელ ნოჯიხევის პროფ. სასწავლებლის სახლებში (N1, N2, N3, და N4) და სოფელ ხეთას პროფ. სასწავლებლის კორპუსებში განთავსებული იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების რემონტი - SB/IDP/CW/45-2009-L1**

**ლოტი II - ხობის რაიონის სოფელ თორსა დღვაბაში მდებარე სახლების (N1, N2 და N3) და ქ. ხობის დადიანის ქუჩაზე მდებარე სპორტ. სკოლა ინტერნტატის შენობაში განთავსებული იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების რემონტი - SB/IDP/CW/45-2009-L2**

სამუშაოების სასურველი ვადა შეადგენს 8 თვეს.

*დეტალები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.*

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბკონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):

- სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების შესახებ;

5. შერჩევის პროცესში საკვალიფიკაციო მონაცემები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

6. სატენდერო დოკუმენტაციით პრეტენდენტისთვის მოთხოვნილი სავალდებულო სამშენებლო სამუშაოების ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში ჯამში უნდა შეადგენდეს ლოტზე N1: მინიმუმ 7.5 მლნ. ლარს, ხოლო ლოტზე N2 - 6 მლნ. ლარს. აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება ერთ ლოტზე. შესაბამისად, ორივე ლოტში მონაწილეობის შემთხვევაში მოთხოვნილი მოცულობა დაჯამდება.

7. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან ორი გამარჯვებული თითოეულ ლოტზე ცალცალკე ან ერთობლივად ყველა ლოტზე.

8. დაინტერესებულ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია და გაეცნონ სატენდერო დოკუმენაციას მუნიციპალური განვითარების ფონდში ქვემოთ მოცემულ მისამართზე 2009 წლის 8 აპრილიდან, სამუშაო დღეებში 10:00 საათიდან 13:00 საათამდე.

9. სატენდერო წინადადება ძალაში უნდა იყოს ტენდერის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში.

10. სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ფორმის მიხედვით, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით. წარმოდგენილი გარანტიის მოქმედები ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

11. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, ერთ დალუქულ კონვერტში **2009 წლის 28 აპრილის 16:00 საათამდე**, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

12. სატენდერო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე, სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2009 წლის 28 აპრილის 16:00 საათზე**, დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

13. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება საბანკო გარანტია სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობით (აღნიშნული გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს ხელშეკრულების გაფორმებისას).

14. ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენა დაუშვებელია.

15. 2009 წლის 28 აპრილის 16:00 საათის შემდეგ შემოსული სატენდერო წინადადებები არ მიიღება.

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

**ბ-ნი ლაშა გოცირიძე, აღმასრულებელი დირექტორი**

**მისამართი: მესამე სართული, დ. აღმაშენებლის გამზირი 150, 0112, თბილისი, საქართველო,**

**ტელ: +995 32 48 45 09; 48 45 10; 48 45 11; 48 45 15**

**ფაქსი: +995 32 48 45 55**

**ელ-ფოსტა: procurement@mdf.org.ge**

**ინტერნეტ-გვერდი: www.mdf.org.ge**

## განცხადება

სპს ხაჩიძე & გოჩელაშვილების საკონსულტაციო ჯგუფთან არსებული საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის წარმოებაშია **ლავრენტი კიკვიძის პრეტენზია ნუკრი ვახტანგიშვილის** მიმართ დავალიანების გადახდევინების თაობაზე.

მოპასუხე **ნუკრი ვახტანგიშვილი** უნდა გამოცხადდეს არბიტრაჟში საარბიტრაჟო პრეტენზიის ჩასაბარებლად მ/წ 10 აპრილამდე. ა/წ 15 აპრილს, 17 სთ. დანიშნულია საქმის განხილვა.

**გამოუცხადებლობის შემთხვევაში** არბიტრაჟი საქმეს განიხილავს მოპასუხის დასწრების გარეშე.

მისამართი: 0160, ქ. თბილისი, იპ. ხვიჩიას ქ. №21, ბინა №2.

ტელ/ფაქსი: (+995 32) 389 554

არბიტრაჟის თავმჯდომარე: ლ. გოჩელაშვილი

# ქალაქ თბილისის მერი
## 01.04..2009წ.
## 010.260.040.38.101.012.968 ბრძანება N30

30 მარტი 2009წ.

ქ. თბილისის დიდგორის რაიონის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2007 წლის 8 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის დიდგორის რაიონის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2007 წლის 8 იანვრის N3 ბრძანებაში და ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-18 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. გამგეობის წარმომადგენელი - გამგეობის რწმუნებული (შემდგომში რწმუნებული) არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელე, რომელსაც საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით, 1 წლის ვადით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი".

2. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქ. თბილისის მერი გიორგი უგულავა

**გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი**

***"ქ. თბილისის დიდგორის რაიონის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2007 წლის 8 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე***

**1. ზოგადი ინფორმაცია ქალაქ თბილისის მერის ბრძანების პროექტის შესახებ**

**ა.ა. ქალაქ თბილისის მერის ბრძანების პროექტის მიღების მიზეზი**

ქალაქ თბილისის მერის ბრძანების პროექტის მიღების მიზეზია ქ. თბილისის დიდგორის რაიონის გამგეობის წარმომადგენლის - რწმუნებულის დანიშვნის ვადასთან დაკავშირებული ხარვეზის აღმოფხვრა.

**ა.ბ. ქალაქ თბილისის მერის ბრძანების პროექტის მიზანი**

ქალაქ თბილისის მერის ბრძანების პროექტის მიზანია მოხდეს ქალაქ თბილისის დიდგორის რაიონის გამგეობის დებულების "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონთან შესაბამისობა.

**ა.გ. ქალაქ თბილისის მერის ბრძანების პროექტის ძირითადი არსი**

ქ. თბილისის დიდგორის რაიონის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2007 წლის 8 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მერის ბრძანების პროექტის თანახმად რაიონის გამგეობის წარმომადგენელი-რწმუნებული რაიონის გამგებლის მიერ ინიშნება 1 წლის ვადით.

**ბ. ქალაქ თბილისის მერის ბრძანების პროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა. ქალაქ თბილისის მერის ბრძანების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო**

ქალაქ თბილისის მერის ბრძანების პროექტის მიღება დაკავშირებული არ არის ბიუჯეტის სახსრების ხარჯვასთან.

**ბ.ბ. ქალაქ თბილისის მერის ბრძანების პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე**

ქალაქ თბილისის მერის ბრძანების პროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ. ქალაქ თბილისის მერის ბრძანების პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე**

ქალაქ თბილისის მერის ბრძანების პროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ. სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები**

სახელმწიფოს რაიმე, ახალი ფინანსური ვალდებულება არ უჩნდება.

**ბ.ე. ქალაქ თბილისის მერის ბრძანების პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება ქალაქ თბილისის მერის ბრძანების პროექტის მოქმედება**

პირებს, რომლებზედაც გავრცელდება ქალაქ თბილისის მერის ბრძანების პროექტის მოქმედება არ წარმოეშობათ რაიმე სახის ფინანსური ვალდებულება.

**ბ.ვ. ქალაქ თბილისის მერის ბრძანების პროექტის დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი**

რაიმე სახის გადასახადი, მოსაკრებელი ან გადასახდელი არ დგინდება.

**გ. ქალაქ თბილისის მერის ბრძანების პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა. ქალაქ თბილისის მერის ბრძანების პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან**

ქალაქ თბილისის მერის ბრძანების პროექტის შინაარსი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ. ქალაქ თბილისის მერის ბრძანების პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან**

ქალაქ თბილისის მერის ბრძანების პროექტის არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ. ქალაქ თბილისის მერის ბრძანების პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან**

ქალაქ თბილისის მერის ბრძანების პროექტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ)D ქალაქ თბილისის მერის ბრძანების პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**დ.ა)Dსახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია, დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს შემუშავებაში**

ქალაქ თბილისის მერის ბრძანების პროექტის შემუშვებაში ამ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

**დ.ბ)D ქალაქ თბილისის მერის ბრძანების პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაცია-დაწესებულების ან/და ექსპერტების შეფასება**

ასეთი არ არსებობს.

**დ.გ) ქალაქ თბილისის მერის ბრძანების პროექტის ავტორი**

ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაცია

**დ.დ) ქალაქ თბილისის მერის ბრძანების პროექტის ინიციატორი**

ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაცია

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერია (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7) აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში, ავლაბრის საავტომობილო გვირაბის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**1. შესყიდვის ობიექტი -** ქ. თბილისში, ავლაბრის საავტომობილო გვირაბის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა;

***საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვე;***

2. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 28 აპრილის 11:00 საათიდან 2009 წლის 28 აპრილის 16:00 საათამდე, მისამართზე: **ქ.თბილისი, ჟ. შარტავს ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური**.

3. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**3.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**3.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**3.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:**

ა) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ბ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიციკაციის და გამოცდილების შესახებ, მ. შ. ანალოგიური საქმიანობის სფეროში;

გ)ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

4.პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის პროცესში შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

*შენიშვნა: მომსახურების გასაწევად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-3 მუხლის მიხედვით;*

*ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.*

5.თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით უნდა იყოს გადახდილი შემდეგ რეკვიზიტებზე:

**მიმღების დასახელება**: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიში: N200122900, ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174.

**გადახდის დანიშნულება** - სატენდერო მოსაკრებელი, **ქ. თბილისში, ავლაბრის საავტომობილო გვირაბის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების** სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

7.სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 8 აპრილის 11:00 საათიდან 2009 წლის 28 აპრილის 11:00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

8.პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

8.შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

9. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე, ცირა მაღრაძე, ტელეფონი - (995-32) 37-85-72

**სატენდერო კომისია**

## ქალაქ თბილისის მთავრობა

**01.04.2009წ.**

**040.030.000.37.101.012.969 დადგენილება N08.03.246**

**25 მარტი 2009წ**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრის" შექმნისა და მისი წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მთავრობის 2009 წლის 24 თებერვლის N05.12.121 დადგნილებით დამტკიცებულ წესდებაში (დებულებაში) ცვლილებების შეტანის შესახებ

"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილებები საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრის" შექმნისა და მისი წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მთავრობის 2009 წლის 24 თებერვლის N05.12.121 დადგნილებით დამტკიცებულ წესდებაში (დებულებაში):

ა) წესდების (დებულების) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ე) ქალაქ თბილისის მთავრობასთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, განსაზღვრავს საშტატო ნუსხასა და ხელფასის ფონდს;"

ბ) წესდების (დებულების) მე-7 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

6. საბჭოს სხდომებზე ხდება დამსწრეთა რეგისტრაცია. საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა; თუ სხდომა არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ არაუადრეს სამი დღისა მოიწვევა ახალი სხდომა იგივე დღის წესრიგით."

2. დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

**ქ. თბილისის მერი გიორგი უგულავა**

# განცხადება

**შპს "თბილისის მეტრო"-ს საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) 22,5 კვ.მ არასაცხოვრებლი ფართის იჯარით გაცემაზე აუქციონის ჩატარების შესახებ**

ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 6 სექტემბრის №10-54 გადაწყვეტილებით დამტკიცებული "დედაქალაქის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის დებულების დამტკიცების შესახებ" და ქ. თბილისის მთავრობის 01.04.2009 წლის № 09.12.90 დადგენილების საფუძველზე, შპს "თბილისის მეტრო" აცხადებს პირობებიან აუქციონს, შპს ,,თბილისის მეტროს" ბალანსზე რიცხულ მეტროსადგურებში 1,5 კვადრატული მეტრის - სულ 22,5 კვ.მ ფართის (დანართი 1), დროებით სასყიდლიან სარგებლობით, იჯარის ფორმით გაცემაზე 5 (ხუთი) წლის ვადით. აუქციონის საწყისი წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 38 000 (ოცდათვრამეტი ათასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით. "ბე"-ს სიდიდე შეადგენს - 3 000 (სამი ათასი) ლარს. აუქციონზე სავაჭრო ბიჯის ოდენობა შეადგენს 1000 (ათასი) ლარს. აუქციონში მონაწილეობის მსურველმა პირებმა უნდა შეიძინონ აუციონში მონაწილის ბილეთი, რომლის საფასური განსაზღვრულია 100 (ასი) ლარის ოდენობით.

*„ბე"-ს და აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის საბანკო რეკვიზიტები:*
*სს „საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი*
*ბანკის კოდი: №220101502*
*ანგარიშსწორების ანგარიში: №340298102013395500000*
*საიდენტიფიკაციო კოდი: №202886788*
*შპს "თბილისის მეტრო"*

**აუქციონის პირობები:**

- იჯარის ვადა შეადგენს 5 (ხუთი) წელიწადს;
- აუქციონის საწყისი წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 38 000 (ოცდათვრამეტი ათასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით;
- "ბე"-ს სიდიდე შეადგენს - 3 000 (სამი ათასი) ლარს;
- აუქციონზე სავაჭრო ბიჯის ოდენობა შეადგენს 1000 (ათასი) ლარს;
- აუციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 100 ლარს;
- ფართის გაცემა განხორციელდება ერთ ლოტად;
- იჯარის ქირის გადახდა უნდა მოხდეს ყოველთვიურად, წინასწარი გადახდის წესით;
- საიჯარო ფართობზე არ დაიშვება კონსტრუქციული სახის ცვლილება;
- მოიჯარის მიერ დაცული უნდა იქნას სანიტარულ-ჰიგიენური და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმები;
- მოიჯარის მიერ უზრუნველყოფილი უნდა იქნას „საწარმოში" ტექნიკური უსაფრთხოების მიზნით შემოღებული წესების დაცვა;
- მოიჯარის მიერ საიჯარო ფართი შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ „სწრაფი ფოტო გადაღების აპარატურის" (რომლებსაც უნდა ჰქონდეთ თვითმოსახურების, სწრაფი ფოტო გადაღების, ფოტოს დაბეჭვდის და ნაღდი ფულის მიღების ფუნქცია) განთავსების მიზნით;
- თითოეულ მეტროს სადგურის ვესტიბიულში უნდა განთავსდეს არაუმეტეს 1 (ერთი) „სწრაფი ფოტო გადაღების აპარატურა"

**აუქციონში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი საბუთები**

**იურიდიული პირის შემთხვევაში:**

- სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

**ფიზიკური პირის შემთხვევაში:**

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლი.

**როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირის შემთხვევაში:**

- "ბე"-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის, "საწარმოს" ანგარიშზე გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტი;
- ნოტარიალურად დამოწმებულ მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
- განაცხადი, რომელიც უნდა შეიცავდეს აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტებს და საიჯარო ქონების საწყის წლიურ ფასს, რომლითაც მონაწილე იწყებს აუქციონში ვაჭრობას. განაცხადი ასევე უნდა შეიცავდეს მონაწილის ცალსახა თანხმობას, რომ აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში, მის მიერ აუქციონის პირობები სრულად იქნება შესრულებული.

აუქციონში მონაწილეობის განაცხადები მიიღება განცხადების გამოქვეყნებიდან ყოველ დღე 10:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე, განცხადების მიღების ბოლო დღეა 2009 წლის 08 მაისის 11:30 საათი.

აუქციონი შედგება 2009 წლის 08 მაისს 12:00 საათზე.

აუქციონში გამარჯვებულ პირსა და "საწარმოს" შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც აისახება აუქციონის პირობები და აუქციონის შედეგად გამოვლენილი ფასი. აუქციონში დამარცხებულ პირს გადახდილი "ბე" უბრუნდება აუქციონის შედეგების შემაჯამებელი ოქმის დამტკიცებისა და აუქციონში მონაწილის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

*დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე:*

ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2, მე-2 სართული, ტელ: 357777/ 12-01;12-02.

***განცხადების დანართი № 1***

| № | მეტროს სადგურები | იჯარით გასაცემი ფართი (კვ.მ) |
|---|---|---|
| 1 | ახმეტელის თეატრი | 1,5 |
| 2 | სარაჯიშვილი | 1,5 |
| 3 | ღრმა-ღელე | 1,5 |
| 4 | დიდუბე | 1,5 |
| 5 | ნაძალადევი | 1,5 |
| 6 | ვაგზლის მოედანი 1 | 1,5 |
| 7 | ვაგზლის მოედანი 3 | 1,5 |
| 8 | მარჯანიშვილი | 1,5 |
| 9 | რუსთაველი | 1,5 |
| 10 | ავლაბარი | 1,5 |
| 11 | 300 არაგველი | 1,5 |
| 12 | ისანი | 1,5 |
| 13 | სამგორი 2 | 1,5 |
| 14 | ვარკეთილი | 1,5 |
| 15 | პოლიტექნიკური 1 | 1,5 |
| | სულ | **22,5** |

2009 წლის 14 აპრილს სს საქართველოს საზღვაო ბანკი განმეორებით აცხადებს საჯარო აუქციონს საწყისი ფასის 50%-ის ფარგლებში, ბანკის კრედიტორულ მოთხოვნებზე. გასაყიდად გამოტანილი იქნება ბანკის მოთხოვნები სუბიექტების (იურიდიული და ფიზიკური პირები) მიმართ. თითოეული სუბიექტის მიმართ მოთხოვნის გაყიდვა მოხდება დამოუკიდებელ ლოტად.

აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 14 აპრილს, 12 საათზე. სს საქართველოს საზღვაო ბანკის შენობაში, მისამართი: ქ. ბათუმი, 26 მაისის ქ.№33.

აგრეთვე 2009 წლის 14 აპრილს სს საქართველოს საზღვაო ბანკი, ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების რეალიზაციის მიზნით განმეორებით მეხუთედ აცხადებს საჯარო აუქციონს. გასაყიდად გამოტანილი იქნება კონიაკი 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლიტრი. საწყისი ფასი 500 (ხუთასი) ლარი. ბე 100 (ასი) ლარი. ბიჯი 10 (ათი) ლარი.

აუქციონები ჩატარდება 2009 წლის 14 აპრილს, 14 საათზე.

აუქციონში მონაწილეობის შესახებ განაცხადი და დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს 2009 წლის 14 აპრილის 11 სთ-სა და 30 წუთამდე, სს საქართველოს საზღვაო ბანკის შენობაში, მისამართი: ქ. ბათუმი, 26 მაისის ქ.№33.

ყველა სხვა პირს, რომელთაც აქვთ უფლებები აუქციონზე გასაყიდად გატანილ ნივთზე ვალდებულნი არიან ამ უფლების დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინონ აუქციონის დაწყებამდე.

**დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ ტელ: 7-60-03.**

**სს საქართველოს საზღვაო ბანკის საააუქციონო კომისია**

# განცხადება
## საერთაშორისო ერთეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი" თბილისი, 0177 ვაჟა ფშაველას გამზ. №33 საკუთარი შემოსავლების ფარგლებში საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს საერთაშორისო ტენდერს მედიკამენტების შესყიდვაზე (ოთხ ლოტად) და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. ***შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი:***

| | |
|---|---|
| ლოტი №1 | ნარკოტიკული საშუალებები |
| ლოტი №2 | სპეც კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებები |
| ლოტი №3 | სხვადასხვა სახის მედიკამენტები |
| ლოტი №4 | ანტიბაქტერიული პრეპარატები |

3. ***საქონლის მიწოდების პირობები*** საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, ცალკეული პოზიციების მიხედვით, შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე 2009 წლის მაისიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. ***მიწოდების ადგილი:*** სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი" თბილისი, 0177 ვაჟა ფშაველას გამზ. №33 და უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები (კლინიკები).

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ პაკეტებში), ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 28 აპრილის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი" თბილისი, 0177 ვაჟა ფშაველას გამზ. №33, მე-3 სართული, ოთახი №319. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე (II სართ. ოთახი №225) 2009 წლის 28 აპრილის 16 საათზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სატენდერო წინადადებების გახსნას).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**6.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) იურიდული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

**6.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;

დ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ე) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ).

7. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბკონტრაქტორებისათვის.

8. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო დოკუმენტების დამადასტურებლი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნების შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმნის სახით.

9. საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით და ერთი ეგზემპლარი ქსეროასლის სახით).

10. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

11. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 28 აპრილის 12 საათამდე, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, ანგარიშზე: მიმღები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ს/კ 211328703, „თი-ბი-სი" ბანკის მარჯანიშვილის ფილიალი, კოდი 220101850, ა/ა №609229. გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, მედიკამენტების შესყიდვა. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა მოხდება შემდეგ მისამართზე: სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი" თბილისი, 0177 ვაჟა ფშაველას გამზ. №33, ოთახი №319.

12. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია, სატენდერო წიანდადების საერთო ფასის 1%-ს ოდენობით.

13. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მექანიზმი, სახელშეკრულებო ღირებულების 2%-ის ოდენობით.

14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: თინათინ ჭანტურიძე. მისამართზე: სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი" თბილისი, 0177 ვაჟა ფშაველას №33, ოთახი №319 ტელ: 39-57-22.

სატენდერო
კომისია

# Advertisment
## For international One-Step Tender

1. The legal entity of public and common law "Tbilisi State Medical University, Tbilisi, 0177, #33Vazha-Pshavela ave., according to the Georgian law in the frame of its own incomes is announcing the international tender for purchasing the medicines (for 4 Lot) and invites all interested persons to participate in it.

2. ***The list of products:***

| | |
|---|---|
| Lot #1. | drugs (narkotiks) |
| Lot #2. | Special controlized drugs |
| lot №3 | Various drugs |
| lot №4 | Antibaccterial drugs |

3. ***Terms of goods' deliver*** – Delivering goods will be fulfilled stage by stage, on the base of separate positions and request/demand of purchaser from may 2009 to December 31, 2009

4. ***Delivery place/destination:*** The legal entity of public and common law - the "Tbilisi State Medical University", Tbilisi, 0177, 33, Vazha-Pshavela ave. and the structural units (clinics) of the University.

5. Interested persons should submit qualification data and tender proposal (in sealed package), in Georgian, till april 28, 2009, 16.00 on the followinf address: The legal entity of public and common law - the "Tbilisi State Medical University", Tbilisi, 0177, 33, Vazha-Pshavela ave., 3rd floor, room #319. Tender proposals will be opened on the above-mentioned address (2nd floor, room #225) on april 28, 2009 (persons, taking part in tender process are allowed to presence opening of packages).

6. Qalification data should include the certificates and information as follows:

**6.1. For legal Entity:**

a) Document certifying the registration of the legal entity;

b) No objection certificate from the National Agency of Public Registry of the Ministry of Justice of Georgia on arresting of the property of person, participating in Tender process.

c) Certificate from the tax inspection certifying that there is not going or expectd its liquidation or reorganization.

**6.2. Physical Person:**

a) Medical Certificate from legal medical Institution that its activities are not limited fully or partially

**6.3. As For Physical Person as Legal Entity:**

a) Certificate from the Court of Justice that there is not pleaded any case of rehabilitation or bankruptcy against them;

b) Non objection certificate from the tax inspection concerning to the budget of Georgia;

d) Data of the person (address, Tel., Fax, Bank properties) participating in tender process;

e) Power of attorney given to a subscriber of tender proposal (if needed)

f) Submittion of the above-mentione documentations for subcontractors of the participating person is obligatory as well.

7. Submission of above-mentioned data of qualification is obligatory for the subcontractors of the participating person.

8. Non-resident physical person and legal entity should submit the documents certifyinf the documents on qualification taken from the appropriate authorities of their country in Georgian, and translated notarially approved.

9. Documentation certifying the qualification should be submitted in triplicate (one should be original document or notarially approved copy)

10. Physical person and legal entity won't be able to undergo election process in case if they don't submit all the documents and information required in item-6 in established dates or any of them appears to be forged document.

11. Pretendents participating in tender process will be able to receive tender documentation (in Georgian) till april 28, 2009, 12.00 from the day of tender announcement, after paying the tender fee in amount of 200GEL on the following Bank account number:
Receiver: the Tbilisi State Medical University, s/k 211328703, MARJANISHVILI BRANCH OF JSC TBC BANK, code 220101850, ა/ა №609229. Purpose of payment – tender fee (tax), purchasing medicines. Issue of tender documents will be carried out on the following address: the legal entity of public and common law - the "Tbilisi State Medical University", Tbilisi, 0177, 33, Vazha-Pshavela ave., 3rd floor, room #319.

12. In tender the guarantee of tender proposal fulfillment is used, 1% of total price of the proposal.

13. To guarantee fulfillment of the contract on state purchasing will be used the mechanism of guarantee of the contract, 2% of contract value (cost)

14. Persons interested can get additional information from the following authorities: Tinatin Chanturidze; Address: the legal entity of public and common law - the "Tbilisi State Medical University", Tbilisi, 0177, 33, Vazha-Pshavela ave., 3rd floor, room #319. Tel: 39-57-22.

Tenter Comission

# საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადება

2009 წლის 10 მარტის გაზეთ „24 საათში" საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გამოქვეყნდა ინფორმაცია „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ". აუქციონში გამოცხადებული ობიექტებიდან №1, №6, №7, №8, №16 და №17 სალიცენზიო ობიექტებზე სამინისტროში არ იქნა წარმოდგენილი არც ერთი განცხადება აუქციონში მონაწილეობის მიღების თაობაზე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ" დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად, აღნიშნულ ობიექტებზე აუქციონი ითვლება ავტომატურად გამოცხადებულად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვაქვეყნებთ ინფორმაციას №1, №6, №7, №8, №16 და №17 სალიცენზიო ობიექტებზე აუქციონის გამოცხადების შესახებ შესაბამისი პირობებითა და სარგებლობისათვის დადგენილი მოთხოვნებით

| ობიექტის № | ქალაქი, რაიონი, სოფელი ან დასახლებული პუნქტი | საბადო ან გამოვლინება | კატეგორია | ლიცენზიის მოქმედების ვადა | მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა | აუქციონის საწყისი ფასი (ლარი) | „ბე" საწყისი ფასის 20% (ლარი) | სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასური (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **1** | წყალტუბო, სოფ. ბანოჯა | „ბანოჯას" ტეშენიტის (მოსაპირკეთებელი) გამოვლინება | **P** | 20 წელი | 176 000 მ$^3$ | **10 000** | **2 000** | **1 601,4** |
| **6** | ხონი, სოფ. ხიდი | კირქვის ლოდნარის (საღორღე) გამოვლინება | **P** | 1 წელი | 2 100 მ$^3$ | **10 000** | **2 000** | **472** |
| **7** | მარტვილი, სოფ. ლეხაინდრაო | მდ. ცხენისწყლის ქვიშა, ხრეშის საბადო | **$C_1$** | 5 წელი | 30 000 მ$^3$ | **4 023** | **805** | - |
| **8** | მცხეთა, სოფ. წიწამური | მდ. არაგვის ქვიშა, ხრეშის გამოვლინება | **P** | 5 წელი | 20 000 მ$^3$ | **2 682** | **536** | **862,2** |
| **16** | გორი სოფ. ახალდაბა | მდ. ლიახვის ქვიშა, ხრეშის საბადო | **$C_1+C_2$** | 5 წელი | 800 000 მ$^3$ | **107 269** | **21 454** | **2 116.4** |
| **17** | ბოლნისი, სოფ. წითელსოფელი | მდ. ხაჩინჩაიზე ქვიშა, ხრეშის გამოვლინება | **P** | 5 წელი | 103 500 მ$^3$ | **13 878** | **2 776** | **1 204.2** |

| | |
|---|---|
| აუქციონის ჩატარების ადგილი | საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. ჭანტურიას ქ. №12; ტელ. 98 23 62<br>აუქციონი ჩატარდება აუქციონში მონაწილეობის მიღების თაობაზე პირველი განაცხადის შემოტანიდან მე-4 სამუშაო დღეს 12 საათზე, ხოლო განცხადებების მიღება მთავრდება აუქციონის ჩატარების წინა სამუშაო დღეს. |
| ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი **200 ლარის** ოდენობით წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. | **სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (თბილისი), ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 300773069 |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს „ბე"-ს შემოტანის ქვითარი | **„ბე"-ს გადახდის ანგარიში:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302005000 |
| 1-ლ; მე-6; მე-8; მე-16 და მე-17 ობიექტებზე გამარჯვებული პირები ვალდებულნი არიან ლიცენზიის მიღებამდე გადაიხადონ სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" მიერ გაწეული მომსახურების საფასური | **სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო":** ს/ს „პროკრედიტ ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი: 220101922, ანგარიშის № 360801011300180, საიდ. კოდი: 204559691 |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.<br>ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი.<br>ბ)ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები.<br>გ)საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.<br>ე)„ბე"-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის ვადა განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ" დებულების მე-11 მუხლის შესაბამისად.<br>მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სალიცენზიო პირობები და სარგებლობისათვის განსაზღვრული მოთხოვნები | დაცული იქნეს წიაღით, როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „წიაღის შესახებ" და „წყლის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მოთხოვნები. |
| **აუქციონზე „ბიჯის" სიდიდე შეადგენს საწყისი ფასის 10 პროცენტს** | |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |


**დავით ტატიშვილის**

**სამედიცინო**

**ცენტრის პედიატრიული**

**სამსახური**

**მედიცინის მეცნიერებათა**

**დოქტორის,**

**პროფესორ ქეთევან ბარაბაძის**

**ხელმძღვანელობით გთავაზობთ:**

- ბავშვთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროულ, ზუსტ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად უახლესი ლაბორატორიული, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, რენტგენოლოგიური, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და სხვა მეთოდების გამოყენებით
- დღის სტაციონარს თანამედროვე ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევებისა და მკურნალობისთვის საჭირო მანიპულაციების სრული კომპლექსით
- ბავშვთა ვაქცინაციას უმაღლესი ხარისხის კომბინირებული ვაქცინებით, რაც უზრუნველყოფს მყარ იმუნიტეტს აცრის შემდგომი გართულებების მინიმუმამდე დაყვანით

**ბავშვთა მოვლისა და მკურნალობის ნებისმიერ საკითხზე**

**მიმართეთ პედიატრიულ სამსახურს**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი

თბილისი, თენგიზ აბულაძის 20

(ვაკე, „სამების" ეკლესიის უკან)

**ტელ.:** 91 31 19; 91 32 42; (893) 28 24 20;

# მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

მოთხოვნა ინტერესის გამოხატვის წერილებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენაზე

**მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ მასწავლებელთა ინფორმირებულობისა და განწყობა-დამოკიდებულების კვლევა**

**GEP/TA/001/CQ/TPDC/2009**

**1. ზოგადი აღწერა**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტს (შემდგომში - პროექტი), რომლის მიზანია დაწყებითი საბაზო და საშუალო განათლების რეფორმის განხორციელება, სწავლებისა და სწავლის პროცესის ახლებურად წარმართვა და თითეული სკოლისთვის ახალი სტანდარტების დასახვა. პროექტის დაფინანსება ხდება სახელწიფო ბიუჯეტიდან, ასევე საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (IDA) მიერ გამოყოფილი კრედიტის მეშვეობით (კრედიტის ნომერი 4246 GE) და იაპონიის მთავრობის მიერ ტექნიკური დახმარების პროგრამის ეგიდით გამოყოფილი გრანტით (PHRD GrantNo.TF057515).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პროექტის ფარგლებში დააფუძნა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (შემდგომში - ცენტრი). ცენტრის ძირითადი ფუნქციებია: ა) მასწავლებელთა სერთიფიცირების პროცესის წარმართვა; ბ) მასწავლებლის სტანდარტის შემუშავება და მასწავლებელთათვის შესაბამისი სასწავლო მასალის მიწოდება; გ) აკრედიტაციის მექანიზმების შემუშავება მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამებისათვის; დ) მასწავლებელთათვის, მასწავლებლობის კანდიდატებისა და ტრეინინგ-პროგრამებისათვის რეგისტრაციის სისტემის შექმნა.

**მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის შესახებ**

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი არის მასწავლებლის პროფესიის მარეგულირებელი ორგანო. ცენტრის მიზანია სკოლებში სწავლისა და სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მასწავლებლების მომზადებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მასწავლებლის პროფესიის რეგულირება და მასწავლებლის სტატუსის ამაღლება.

მასწავლებელთაA პროფესიული განვითარების ცენტრი თავისი მიზნების განსახორციელებლად შემდეგი მიმართულებებით მუშაობს: სერტიფიცირება, სტანდარტები, მაძიებლობა, აკრედიტაცია, რეგისტრაცია, ეთნიკურ უმცირესობათაA მასწავლებლების პროფესიული განვითარება, მასწავლებელთა დამხმარე სახლემძღვანელოებით უზრუნველყოფა.

**2. შესასრულებელი სამუშაოს აღწერა**

**კვლევის მიზანი**

ზემოაღნიშნული მიმართულებების საქმიანობათა განხორციელებისა და ცენტრის პოლიტიკის სწორი დაგეგმვისათვის საჭიროა კვლევა, რომელიც შეისწავლის/დაადგენს ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობებისადმი მასწავლებლების განწყობა-დამოკიდებულებას და ამ საქმიანობების შესახებ მათ ინფორმირებულობის ხარისხს. კვლევის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით საშუალებით ცენტრი შეეცდება თავისი საქმიანობა უფრო პროდუქტული და მასწავლებელზე მორგებული გახადოს.

ცენტრის მიმართულებების მიერ განსახორციელებელი საქმიანობების შესაფასებლად საჭიროა იმ ინდიკატორთა გაზომვა, რომლებიც ცენტრის მიერ განხორციელებული სახელწიფო პროგრამების და პროექტების ლოგიკურ ჩარჩოშია გაწერილი. ამ ინდიკატორთა გაზომვის ძირითად მექანიზმს კვლევა წარმოადგენს.

**კვლევის თემები**

კვლევა უნდა წარიმართოს რამოდენიმე მიმართულებით, თითოეული პროგრამის საჭიროებიდან გამომდინარე.

**3. მენტორობა-მაძიებლობა**

/მაძიებელი არის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც მასწავლებლის კარიერის დასაწყისში 1 წლის განმავლობაში მენტორის (გამოცდილი მასწავლებლის) დახმარებით სკოლაში ეუფლება პედაგოგიურ უნარ-ჩვევებს/

**თემები მასწავლებლებისათვის**

- მაძიებლობის ინსტიტუტის შესახებ ინფორმირებულობა;
- მაძიებლობის ინსტიტუტის დანერგვის საჭიროება;
- მაძიებლობის დადებითი და უარყოფითი მხარეები, მაძიებლობის ინსტიტუტის დანერგვის სირთულეები;
- მენტორად მუშაობის მოტოვაცია;
- მენტორი მასწეავლებლის როლი მაძიებლობის პროცესში;
- მოთხოვნები მენტორის მიმართ;
- მასწავლებლების დამოკიდებულება მაძიებლებისადმი.

**თემები დირექტორებისათვის**

- სკოლის როლი მაძიებლობის პროცესში;
- სკოლის მხრიდან მაძიებლის რესურსის გამოყენების შესაძლებლობა;
- დირექტორების დამოკიდებულება მაძიებლობის ინსტიტუტის მიმართ.

**4. მასწავლებლის სტანდარტი**

/მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი არის ის მოთხოვნები (საგნობრივ და პედაგოგიური უნარ-ჩვევები, ცოდნა და კომპეტენციები) რომელსაც მასწავლებელი უნდა აკმაყოფილებდეს/

**თემები მასწავლებლებისათვის**

- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესახებ ინფორმირებულობა;
- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დანიშნულება;
- სტანდარტის განხილვაში მასწავლებლების ჩართულობა;
- დამოკიდებულება მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მიმართ;
- მასწავლებლის ეთიკის კოდექსის სამუშაო ვერსიის შესახებ ინფორმირებულობა;
- მასწავლებლის ეთიკის კოდექსის მოთხოვნების მიმართ დამოკიდებულება;
- მასწავლებლის ეთიკის კოდექსის შიდა სასკოლო განხილვებში ჩართულობა.

**თემები დირექტორებისათვის**

- დაბეჭდილი პროფესიული სანდარტის ხელმისაწვდომობა მასწავლებლებისათვის;
- მასწავლებლის ეთიკის კოდექსის და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შიდა სასკოლო განხილვებში ჩართულობა;
- სამუშაო დოკუმენტთან დაკავშირებით წარდგენილი შენიშვნებისა და წინადადების ასახვა სტანდარტის საბოლოო ვერსიაში;
- მასწავლებელთა დამოკიდებულება პროფესიული სტანდარტის მიმართ;
- სკოლის შინაგანაწესი - მასწავლებლების ჩართულობა მის შემუშავებაში;
- კონფლიქტური სიტუაციები სკოლაში.

**5. სერტიფიცირება**

/სასერტიფიკაციო გამოცდა არის სერტიფიცირების შემადგენელი ნაწილი, ის მასწავლებელს შესაძლებლობას აძლევს დაადასტუროს თავისი პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესაბამისობა დადგენილ სტანდარტთან/

**თემები მასწავლებლებისა და დირექტორებისათვის**

- ინფორმირებულობის ხარისხი სერტიფიცირების პროცესის შესახებ;
- სასერტიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის მზაობა და მასწავლებელთა დამოკიდებულება სასერტიფიკაციო გამოცდებისადმი;
- სერტიფიცირებისთვის მოსამზადებული ღონისძიებები;
- დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისათვის სერტიფიკატის ტიპების განსაზღვრა.

**6. მასწავლებელთა დამხმარე სახელმძღვანელოები**

**თემები მასწავლებლებისა და დირექტორებისათვის**

- რამდენად ხელმისაწვდომია მასწავლებლებისათვის დამხმარე სახემძღვანელოები: სასწავლო და პროფესიული გარემო, განვითარებისა და სწავლების თეორიები, სწავლება და შეფასება (მოთხოვნა/მიწოდება);
- რამდენად აკმაყოფილებს სახელმძღვანელოს თემატიკა მიზნობრივი ჯგუფის მოთხოვნას;
- მასწავლებლისათვის სჭირო/სასურველი სახელმძღვანელოები და მათი თემატიკა.

**7. პროფესიული ჟურნალი მასწავლებლებისათვის**

**თემები მასწავლებლებისა და დირექტორებისათვის**

- ჟურნალ  მასწავლებლის" ძლიერი და სუსტი მხარეები;
- ჟურნალის გამოწერის, ან საცალო რეალიზაციის ქსელში შესყიდვის პირობები და უპირატესობები;
- ჟურნალის შინაარსობრივი ნაწილის დახასიათება;
- ჟურნალ  მასწავლებლის" სასურველი თემატიკა;
- ჟურნალ  მასწავლებლის" ზოგადი სტილისტიკა;
- დამოკიდებულება ჟურნალის მიმართ;
- ჟურნალთან დაკავშირებით დისკუსიები კოლეგებთან;
- მასწავლებლებისათვის სასურველი ჟურნალის ავტორები;
- განათლების სისტემის კომპეტენტური ექსპერტები;
- მასწავლებლების მიერ ინტერნეტის, როგორც სასრგებლო რესურსის გამოყენება.

**8. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამები**

/მასწავლებელთა პროფესიული მომზადების პროგრამები საშუალებას აძლევს მასწავლებელს სათანადოდ მოემზადოს სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის და აიმაღლოს კვალიფიკაცია/

**თემები მასწავლებლებისა და დირექტორებისათვის**

- პროფესიული განვითარების პროგრამების სახელმწიფო ვაუჩერით დაფინანსების შესახებ ინფორმირებულობა;
- პროფესიული განვითარების პროგრამების ვაუჩერული პრინციპით დაფინანსების შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები/მექანიზმები;
- პროფესიული განვითარების პროგრამების ხელმისაწვდომობა;
- პროფესიული განვითარების პროგრამებში არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილეობასთან დაკავშირებული სირთულეები;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამებით დაინტერესების ხარისხი;
- მასწავლებელთა ინფორმირებულობა პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის პროცესის შესახებ;
- პროფესიული განვითარების პროგრამების შესაბამისობა მასწავლებელთა საჭიროებებთან.

**9. მასწავლებლების ვაკანსიების ვებ გევრდი**

**თემები მასწავლებლებისათვის**

- ინფორმირებულობა მასწავლებელთა ვაკანსიების ვებ. გევრდის შესახებ;
- ვებ გვერდის გამოყენების შესაძლებლობა;
- მასწავლებელთა ვაკანსიების ვებ გვერდის ეფექტურობა და ეფექტურობის გაზრდის მექანიზმები.

**თემები დირექტორებისათვის**

- ინფორმირებულობა მასწავლებელთა ვაკანსიების ვებ გევრდის შესახებ;
- დირექტორების მიერ ვაკანსიების გამოქვეყნების პირობები;
- მასწავლებელთა ვაკანსიების ვებ გვერდის ეფექტურობა და ეფექტურობის გაზრდის მექანიზმები;
- ვაკანსიების გამოქყვენება, როგორც ნორმატიულად რეგულირებადი პროცედურა.

**10. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ვებ გვერდი**

**თემები მასწავლებლებისა და დირექტორებისათვის**

- ინფორმირებულობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ვებგვერდს www.tpdc.ge შესახებ;
- ვებრვერდის, როგორც სასარგებლო რესურსის ინფორმატულობა და ეფექტურობა;
- ვებ გვერდზე დასადები მასწავლებლისათვის საინტერესო საკითხები.

**11. თანამშრომლობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან**

**თემები მასწავლებლებისა და დირექტორებისათვის**

- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან თნამშრომლობა და თანამშრომლობის ფორმები;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან თანამშრომლობისადმი დამოკიდებულება;
- მასწავლებლისათვის ცენტრისგან მისაწვდელი ინფორმაცია, ინტესიურობა და მექანიზმები.

**12. სხვა საინტერესო ფაქტორების კვლევა**

კვლევა არ არის შეზღუდული მხოლოდ ამ თემებისა და ფაქტორების შესწავლით/დადგენით. თუ კვლევის პროცესში, ან კვლევის დაწყებამდე გამოიკვეთა სხვა ფაქტორები, რომლებიც მასწავლებლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის საქმიანობისათვის მნიშვნელოვანი/გამოსადეგი იქნება და გავლენას მოახდენს ცენტრის მიმართულებების საქმიანობის სამომავლო წარმართვაზე მაშინ კვლევა უნდა ჩატარდეს ამ ფაქტორების ზომისა და გავლენის დასადგენადაც. რათა საბოლოო შედეგი შეძლებისდაგვარად ყველაფერს ითვალისწინებდეს.

**13. ინფორმაციის შესაძლო წყაროები**

სამინისტროში არსებობს ინფორმაცია დღევანდელი (და ბოლო 2 წლის) მდგომარეობით თითოეულ სკოლაში და კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ. თითოეულ საგანში საათობრივი დატვირთვის გამოანგარიშება შესაძლებელია ეროვნული სასწავლო გეგმების მიხედვით.

ცენტრში არსებობს მასწავლებლების მონაცემთა ბაზა, რომელშიც მოცემულია მოქმედი პედაგოგების დაბადების წლები, რის მიხედვითაც შეიძლება მასწავლებლების ასაკობრივი და საგნობრივი განაწილების მიახლოებით გამოთვლა. სულ რეგისტრირებულია 2500-მდე საჯარო და კერძო სკოლა და 72000-ზე მეტი მასწავლებელი.

**14. მოთხოვნები კონტრაქტორის მიერ განხორციელებული სამუშაოების მიმართ**

- კვლევა და ლიტერატურის მიმოხილვა სამიზნე ჯგუფის შესახებ: მასწავლებლები და სკოლის დირექტორები;
- კონტრაქტორმა უნდა შეიმუშაოს კვლევის სპეციალური მეთოდები კვლევითი დასადგენი საკითხების შესასწავლად და თითოეულ დასმულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად;
- რეკომენდირებულია კვლევის მასშტაბის და შერჩევის მოცულობის ისე გადანაწილება რომ თითოეული რეგიონისათვის შერჩევითი ცდომილება არ იყოს 7%-ზე მეტი, 93%-იანი საიმედობით, ხოლო მთელ ქვეყანასთან მიმართებაში შერჩევის მოდელი უნდა უზრუნველყოფდეს შეფასების მაქსიმუმ 5%-იან ცდომილებას;
- აღნიშნული მეთოდიკა წინასწარ უნდა იქნას განსახილველად წარდგენილი ცენტრისათვის და უშუალოდ კვლევა მხოლოდ მას შემდეგ განხორციელდეს, რაც მიღწეული იქნება შეთანხმება კვლევის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, ცენტრის წარმომადგენელს საშუალება უნდა ქონდეს სურვილის შემთხვევაში მონიტორინგი გაუწიოს კვლევის მოსამზადებელ და საველე სამუშაოებს;
- კონტრაქტორმა კვლევის თემების ანალიზი უნდა მოახდინოს, სხვადასხვა ჭრილში/განზომილებაში: რეგიონული, საგნობრივი, გენდერული, ასაკობრივი.
- კონტრაქტორმა ცენტრს უნდა წარუდგინოს არა მხოლოდ კვლევის საბოლოო შედეგები, არამედ კვლევის პერიოდში მოძიებული ყველა მონაცემი, რომელიც ცენტრის სამომავლო მუშაობისთვის მნიშვნელოვანია;
- კონტრაქტორის მიერ მომზადებულ დოკუმენტაციას უნდა დაერთოს ლიტერატურეს ნუსხა, რომელიც გამოყენებული იქნა კვლევის დიზაინის, ან ანგარიშის მომზადების პროცესში;
- გამოიყენოს ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის თანამედროვე სტატისტიკური და კომპიუტერული მეთოდები/პროგრამები (Excel, Stata, SAS, SPSS da sxv.);

**15. კონტრაქტორის მიერ წარმოსადგენი პროდუქტები**

ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲠᲐᲓᲒᲘᲜᲝᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲡ:

- კითხვარი;
- კვლევის მეთოდოლოგია და მისი განხორციელების სტრატეგია;
- ➢ შერჩევა და კვლევის ინსტრუმენტი;

- კვლევის დროს შეგროვებული ინფორმაციის ანალიზი;
- კვლევის საბოლოო ანგარიში და დასკვნები;
- შეგროვებული ინფორმაცია, როგორც შევსებული კითხვარების, ასევე ელექტრონული ვერსიის სახით.

**16. განხორციელების ვადები**

კონტრაქტორი წარმოადგენს კვლევის კითხვებს, ლიტერატურის მიმოხილვას, კვლევის ინსტრუმენტს, რომელიც პასუხობს კვლევის საჭიროებებს. მოცემული ღონისძიება განხორციელდება კვლევის დაწყებამდე და გადაეცემა ცენტრს განხილვისა და რეკომენდაციებისათვის.

კონტრაქტორმა 6 კვირის ვადაში უნდა დაამთავროს საველე სამუშაოები;

კონტრაქტორმა საველე სამუშაოების დამთავრებიდან 1 თვის ვადაში უნდა წარადგინოს კვლევის ანგარიში.

**ანგარიშგება**

კონტრაქტორი ანგარიშვალდებული იქნება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორის წინაშე.

ანგარიშები და სხვა სახის დოკუმენტაცია (ელექტრონული, სტატისტიკური ინფორმაციის გარდა) წარმოდგენილი უნდა იქნას 3 ნიმუშად, როგორც ქაღალდის, ასევე ელექტრონული ვერსიის სახით ქართულ და ინგლისურ ენებზე.

კვლევის მეთოდოლოგია და მისი განხორციელების სტრატეგია წარმოდგენილი უნდა იქნას ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები**

- სოციოლოგიური და/ან მარკეტინგული კვლევების არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება;
- ზემოთ აღნიშნული ჩასატარებელი კვლევის მსგავსი სირთულისა და მასშტაბის მინიმუმ ერთი განხორციელებული პროექტი.

ფირმის შერჩევისას პროექტის საკოორდინაციო ცენტრი იხელმძღვანელებს კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაფუძნებული შერჩევის მეთოდით (სახელმძღვანელო: მსოფლიო ბანკის სესხის მიმღების მიერ კონსულტანტების შერჩევსა და დაქირავების შესახებ *გამოცემული 2004 წლის მაისში).*

დაინტერესებულმა ფირმებმა უნდა წარმოადგინონ ინტერესის გამოხატვის წერილები და სამუშაო გამოცდილების, კვლევების სფეროში განხორციელებული პროექტებისა და კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაცია შემდეგ მისამართზე:

**მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი**
0102 თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52, ოთახი N123
ტელეფონი: 95-58-36
ელ-ფოსტა: tbakradze@tpdc.ge
საკონტაქტო პირი: ქ-ნი **თამუნა ბაქრაძე**

**ინტერესის გამოხატვის წერილებისა და კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის საბოლოო ვადაა 2009 წლის 17 აპრილი, 17:00 სთ.**

# საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი**
**შესყიდვის ობიექტი – საკანცელარიო საქონელი**

**1.** საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მის: ქ. თბილისი, ვ. გორგასლის №16) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს საკანცელარიო საქონლის შესყიდვაზე 4 ლოტად.

**შესყიდვის ობიექტი:**

| ლოტი № | საქონლის დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | საკანცელარიო ურნა | ცალი | 300 |
| | საფერფლე ურნა | ცალი | 100 |
| 2 | მაგიდის სანათი | ცალი | 100 |
| 3 | ჩასანიშნი ფურცლები ფერადი | შეკვრა | 100 |
| | ჩასანიშნი ფურცები წებოვანი (დიდი) | შეკვრა | 100 |
| | ჩასანიშნი ფურცლები წებოვანი (პატარა) | შეკვრა | 100 |
| | ჩასანიშნი ფურცლები ფერადი (კოლოფში) | შეკვრა | 100 |
| | ბლოკნოტი A5 ზომის (წიგნი ბლოკნოტი) | ცალი | 100 |
| | ბლოკნოტი ზამბარიანი A4 ზომის | ცალი | 100 |
| | სწრაფჩამკერი მუყაოს საქაღალდე | ცალი | 200 |
| | პლასტიკური საქაღალდე | ცალი | 200 |
| | პლასტიკური სწრაფჩამკერი საქაღალდე | ცალი | 1000 |
| | საკანცელარიო დანა | ცალი | 100 |
| | საშლელი | ცალი | 100 |
| | სკოჩი დიდი | ცალი | 50 |
| | სტეპლერი საშუალო | ცალი | 50 |
| | მაკრატელი | ცალი | 100 |
| | ორგანაიზერი (დიდი) | ცალი | 50 |
| | დირაკოლი | ცალი | 50 |
| | ფანქარი | ცალი | 500 |
| | შტრიხი ფუნჯით | ცალი | 50 |
| | კლიპსი დიდი | ცალი | 100 |
| | კლიპსი საშუალო | ცალი | 200 |
| | კლიპსი პატარა | ცალი | 200 |
| | მშრალი წებო | ცალი | 200 |
| 4 | ბურთულიანი ლურჯი კალამი | ცალი | 500 |
| | ბურთულიანი შავი კალამი | ცალი | 100 |
| | ბურთულიანი წითელი კალამი | ცალი | 50 |
| | მელნიანი ლურჯი კალამი | ცალი | 1100 |
| | მელნიანი შავი კალამი | ცალი | 100 |

**2.** ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

**3.** საკანცელარიო საქონლის მიწოდება სასურველია განხორციელდეს ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე. პირველი მიწოდება სასურველია განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში. მიწოდება უნდა განხორციელდეს ქ. თბილისში, ვ. გორგასლის №16-ში.

**4.** პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში 2009 წლის 29 აპრილის 09:00 საათიდან 16:00 საათამდე მე-18 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

**5.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 **იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა შესაბამისად თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ;

**19.** .

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

5.2 **ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან პირის ქმედუნარიანობის შესახებ;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

5.3 **როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

ა) პრეტენდენტის დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი;

ბ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი, რომ პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში;

გ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ.

**6.** პრეტენდენტის მიერ ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში, ავანსის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი ლოტის ღირებულების 25%-ს.

**7.** სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი საბანკო გარანტია (გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას).

**8.** სატენდერო წინადადება შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

| № | შეფასების კრიტერიუმი | პრიორიტეტულობის კოეფიციენტები |
|---|---|---|
| 1 | **სატენდერო წინადადების ღირებულება** | **0,35** |
| 2 | **პროდუქციის ხარისხი** | **0,35** |
| 3 | **მიწოდების ვადები** | **0,15** |
| 4 | **ანგარიშსწორების პირობები** | **0,15** |
| სულ: | | **1,00** |

**9.** სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებაზე თუ პრეტენდენტი მე-4 პუნქტში დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს სატენდერო განცხადების მე-5 პუნქტში მოთხოვნილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, თუ რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო წინადადებაში გათვალისწინებული არ იქნება შეფასებისათვის აუცილებელი ინფორმაცია მე-8 პუნქტში განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

**10.** თუ წინამდებარე შესყიდვის ფარგლებში, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ გათვალისწინებული იქნება სუბკონტრაქტორების ჩართვაც, მაშინ, სატენდერო განცხადების მე-5 პუნქტის მოთხოვნები სავალდებულო იქნება ასევე ყველა სუბკონტრაქტორისათვის.

**11.** ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან მეტი გამარჯვებული, რომელმაც ხელშეკრულების გაფორმების დროს, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით.

**12.** შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება მე-5 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტები და ინფორმაცია.

**13.** ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს შეეძლებათ (მე-17 პუნქტში აღნიშნული მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) 2009 წლის 8 აპრილის 9:00 საათიდან 2009 წლის 28 აპრილის 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ქ. თბილისი 0114, ვ. გორგასლის ქ №16, მე-8 სართული ოთახი №8-9, სატენდერო კომისიის აპარატი.

**14.** ტენდერში მონაწილეობის მსურველ ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.

**15.** სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 29 აპრილს 16:00 საათზე.

**16.** ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

**17.** სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველმა პირებმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი - 200 ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე:

**მიმღები – ხაზინის ერთიანი ანგარიში**
**ანგ. №200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302006000**
**გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, საკანცელარიო საქონელი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო**

და წარადგინოს გადახდის დამადასტურებელი საბუთი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში მე-18 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

**18.** შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში. ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №16, მე-8 სართული, ოთახი №8-9; ტელეფონი: (+99532) 261-337; 261-335. საკონტაქტო პირი: ალექსანდრე თევდორაძე, ელ-ფოსტა: **a.tevdoradze@mof.ge**

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

# განცხადება საქართველოში საომარი მოქმედებების შედეგად დევნილი მოსახლეობის დახმარებისათვის ბავშვთა საწოლების და ლოგინის მოწყობილობების შესყიდვის შესახებ

UMCOR United Methodist Committee On Relief

გაერთიანებული მეთოდისტური კომიტეტის ჰუმანიტარული მისიის საქართველოს წარმომადგენლობა (ამქორ-საქართველო) აცხადებს ტენდერს საქართველოში საომარი მოქმედებების შედეგად დევნილი მოსახლეობის დახმარებისათვის ბავშვთა საწოლების და ლოგინის მოწყობილობების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ კომპანიას მონაწილეობის მისაღებად. პროექტი ფინანსდება OFDA/ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ.

ამქორი არის ჰუმანიტარული ორგანიზაცია რომელიც ფუნქციონირებს სამართლიანობის, სუვერენიტეტის და ნეიტრალიტეტის პრინციპებზე დაყრდნობით.

### შესასყიდი საგნის აღწერილობა:

**ლოტი № 1**

დასახელება: ბავშვის საწოლი

რაოდენობა: 800 ცალი

პარამეტრები: ზომები – 120სმX60სმX110სმ (სიგრძე, სიგანე, სიმაღლე), საწოლის თავი და ბოლო დახურული, გვერდები სვეტებით, ჩასაფენი ფსკერი მყარი - სიმაღლის რეგულირების საშუალებებით, საწოლის კედლების პერიმეტრი – უსაფრთხო წიბოებით, საწოლის ფეხები – გორგოლაჭებზე.

**ლოტი № 2**

ბავშვის ლოგინი

რაოდენობა: 800 ცალი

შემადგენლობა:

ლეიბი ბამბის (ზომები იხილეთ ლოტი № 1 პარამეტრების შესაბამისად)

საბანი ბამბის

ბალიში ბამბის

თეთრეული (ბალიშისპირი, ზეწარი, საბნისპირი)

### უფლებამოსილი კომპანიების კრიტერიუმები

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ყველა დაინტერესებულ რეზიდენტ იურიდიულ და მეწარმე ფიზიკურ პირებს, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ საქართველოში.

### დამატებითი პირობები

1. ზემოთხსენებული საგნების მიწოდება უნდა მოხდეს ქ. ქუთაისის საწყობში შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმებიდან ეტაპობრივად, მაგრამ არა უგვიანეს **ერთი თვის** ვადისა.
2. გადახდა იწარმოებს ეროვნულ ვალუტაში საბანკო გადარიცხვის გზით საქონლის სრულად მიწოდების შემდეგ 100% ოდენობით.

### ტენდერში მონაწილეობისათვის დაინტერესებულმა კომპანიებმა და მეწარმე ფიზიკურმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი ინფორმაცია

1. ინფორმაცია ტენდერში მონაწილე პირის შესახებ, შემდეგი მონაცემების მითითებით:
   - კომპანიის ან მეწარმე ფიზიკური პირის დასახელება;
   - იურიდიული სტატუსი;
   - იურიდიული მისამართი;
   - საკონტაქტო ინფორმაცია;
   - საგადასახადო კოდი;
   -
2. სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგს:
   - პრეტენდენტის წერილს ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ;
   - შემოთავაზებული ლოტის ფასი აშშ დოლარში დღგ-ს გარეშე;
   - მიწოდების ვადები/გრაფიკი;
   - სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად გამოიყენება საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების 2%-ის ოდენობით.
3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან საწარმოს რეგისტრაციის შესახებ;

**შენიშვნა: ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტი უნდა იყოს დედანი ან ნოტარიულად დამომწმებული ქსერო ასლი.**

### სატენდერო წინადადებების შერჩევა და სხვა პირობები

- სატენდერო წინადადებები გაიხსნება ამქორ-საქართველოს სატენდერო კომიტეტის მიერ;
- სატენდერო წინადადებები შეირჩევა შემოთავაზებული ფასის მიხედვითა და სატენდერო პირობების გათვალისწინებით.
- ტენდერში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მექანიზმი, ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.
- თუ კომიტეტი გამოიტანს დასკვნას, რომ არცერთი კომპანია ან ფიზიკური პირის შემოთავაზება არ აკმაყოფილებს ტენდერის პირობებს, ამქორ-საქართველო იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს გამოაცხადოს ახალი ტენდერი იგივე ან სხვა პირობებით.
- ამქორი იტოვებს უფლებას არ განაცხადოს საჯაროდ ტენდერში მონაწილე კომპანიების შემოთავაზებები.
- **ტენდერში გამოცხადებული საგნების შესყიდვა განხორციელდება დღგ-ს გარეშე.**
- ამქორი იტოვებს უფლებას, საჭიროების შემთხვევეში მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ტენდერში მონაწილე პირებისაგან.
- ტენდერში მონაწილეები არ იქნებიან უფლებამოსილი ჩაასწორონ, შეცვალონ ან გამოითხოვონ წინადადება მათი ჩაბარების ვადის გასვლის შემდეგ;
- ამქორ-საქართველო იტოვებს უფლებას უარყოს ნებისმიერი წინადადება ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე წარმომდგენის მიმართ;

### სატენდერო წინადადების წარდგენის პროცედურა

- დაინტერესებული კომპანიებმა და მეწარმე ფიზიკურმა პირებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე, დაბეჭდილი კონვერტით რომელზეც აღნიშნულია ტენდერში მონაწილე პირის დასახელება და აღნიშვნა, რომ დოკუმენტები წარმოდგენილია გამოცხადებული ტენდერისთვის;
- სატენდერო წინადადების შემოტანა უნდა მოხდეს UMCOR საქართველოს შემდეგ მისამართებზე:

  ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, VI სართული, ტელ: (995 32) 38 70 03, 206 800/801.

  ქ. ქუთაისი, რუსთაველის ქ. 27, ტელეფონი: 8 231 4 58 77
- სატენდერო დოკუმენტაციის მიღება განხორციელდება აღნიშნულ მისამართზე 2009 წლის 8 აპრილიდან 2009 წლის 15 აპრილის 14:00 საათამდე.
- ამ ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი წინადადებები არ განიხილება.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს ღია ტენდერს სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებზე:

ლოტი 1. **სოფელ აიაზმაში, რეხაში და ნარდევანში კულტურის ცენტრების (თავშეყრის ადგილების) სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;**

ლოტი 2. **ქ. წალკის პოლიციის შენობის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;**

ლოტი 3. **სოფელ ავრალოს, აშკალის, ჯინისის და გუმბათის სასმელი წყლის სისტემის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.**

2. ვიწვევთ ტენდერში ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომელმაც ბანკში უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ტენდერში მონაწილეობის მისაღებად, საქართველოს ბანკის შემდეგ ანგარიშზე: 300123174.

3. ნებისმიერი პრეტენდენტი, რომელიც წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის აპარატში (მისამართი: ქ. წალკა, არისტოტელეს ქ. №22) სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს, დაუყოვნებლივ მიიღებს სატენდერო დოკუმენტაციას.

4. პრეტენდენტების მიერ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის და მისთვის სატენდერო დოკუმენტაციის გადაცემის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

5. მონაწილე ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დახურულ კონვერტში შემდეგ მისამართზე: ქ. წალკა, არისტოტელეს ქ. №22, 2009 წლის 4 მაისს, 12:00 საათამდე.

6. პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ვერ წარმოადგენს მე-5 პუნქტში აღნიშნულ ვადაში მე-7 ან მე-8 პუნქტში ჩამოთვლილ დოკუმენტებს.

7. საკვალიფიკაციო მონაცემები იურიდიული პირისათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);

- მის მიმართ არ უნდა მიტმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნრბა სასამართლოდან);

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან).

8. საკვალიფიკაციო მონაცემები ფიზიკური პირისათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ცნობა შესაბამამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;

- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);

- ცნობა ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ (ცნობა საგადასახადოდან).

9. წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები სრულად უნდა შეესაბამებოდეს განცხადებაში მოთხოვნილ ცნობებს, რომლის არასრულად წარმოდგენის შემთხვევაშიც, ან თუ რომელიმე ცნობა ყალბი აღმოჩნდება, ტენდერში მონაწილე პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას.

10. საკვალიფიკაციო დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადების განხილვის ვადას დაადგენს სატენდერო კომისია საკვალიფიკაციო დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადების წარდგენის ვადის დასრულებისთანავე გამართულ კომისიის სხდომაზე, რომელიც ჩატარდება 2009 წლის 4 მაისს, 14:00 საათზე.

11. სახელმწიფო შესყიდვის პროცედურის დროს წარმოქმნილი მხარეთა პრეტენზიები განიხილება მოქმედი კანონმდებლობით.

12. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიას მისამართზე: ქ. წალკა, არისტოტელეს ქ. №22. ტელეფონი: 890726161; 899790533.

**სატენდერო კომისია**

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

UMCOR United Methodist Committee On Relief

# CRIB AND BEDDING TENDER ADVERTISEMENT FOR IDPs SUFFERED FROM HOSTILITIES IN GEORGIA

**UMCOR-Georgia**, the representation of the United Methodists Committee on Relief **(UMCOR)** in Georgia is pleased to announce a tender on procurement of **crib** and bedding for IDP infants suffered from hostilities in Georgia and invites bids from interested companies. The Project is financed by the OFDA/US Agency for International Development (USAID).

UMCOR is a humanitarian organization working on the principles of impartiality, independence and neutrality.

### DESCRIPTION OF GOODS

**Lot # 1**
**Name of the good: Crib**
**Quantity: 800 units**
**Specifications: dimensions – 120smX60smX110sm (length, width, height); top and the edge of the cot to be covered; sides to be latticed; bottom to be flat with the adjustable height mechanism; perimeter of the sides to be safe; legs of the cot with roller;**

**Lot # 2**
**Name of the good: Bedding for the crib**
**Quantity: 800 units**
